

825  
1990

ISSN: 0763-7247

სვ




ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# გუგაბი

ქართული ეროვნული პოლიტიკისა და ლიტერატურის ორგანო

პარიზი	N° 22	PARIS
ივნისი	1990	JUIN



22 ივნისს 150 წელი შეესრულდა  
სულმნათ აკაკის დაბადებიდან

კავკასიის მაღალ ქედზე  
მიჯაჭვული ამირანი  
არის მთელი საქართველო  
და მტრები კი ყვაფ-ყორანი.

მოვა დრო და თავს აიშვებს,  
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი!..  
სიხარულად შეეცვლება  
ამდენი ხნის გასაჭირი!..





ჩვენ კვლავ უცხოეთში ვიზიემთ 26 მაისობა, ჩვენი ეროვნული დღე-სასწაული. ამ დღესასწაულს 73 წლის ისტორია აქვს და მან განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა 1921 წლის შემდეგ, როცა ბოლშევიკურმა საბჭოთა რუსეთმა ისევ დაამხო ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფო და ქართველი ერის თვითხელმწიფება. მას შემდეგ მტრის მსახვრელ ხელს გადარჩენილმა მამულიშვილებმა და 26 მაისის დღეობამაც თავი შეაფარეს უცხოეთს, გადმოხვეწილობას. აქ იგი ტრადიციად იქცა. თაობები იცვლება. 26 მაისობის აღნიშვნა გრძელდება, თუმცა წელს, ჩვენდა საბედნიეროდ, პირველობა სამშობლომ ჩამოგვართვა.

ემიგრანტებს შორის ამ დღესასწაულის მიმართ ალბათ სხვადასხვა დამოკიდებულება იყო. ერთნი ალბათ გულისხმობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ისევ სოციალ-დემოკრატების მეთაურობით, მეორენი, პირიქით, მარქსისტების გავლენიდან განთავისუფლებულ, კერძო საკუთრებისა და პირად ინიციატივის პატივისცემელი წესწყობილებით, მესამენი კი განთავისუფლებულ ქართველ ხალხს ანიჭებს მისი წესწყობილებისა და რეჟიმის არჩევას და სასურველად არ თვლის ემიგრაციის ჩარევას ამ არჩევაში.

ჩვენც ამ უკანასკნელ წყებას ვეკუთნოდით, ამ აზრით ვხელმძღვანელობდით, მიგვაჩნდა, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ემიგრაციის მთლიანობის განხორციელება და ქართული საქმისადმი ეფექტიური სამსახური მის განთავისუფლებამდე, ხოლო განთავისუფლებულ საქართველოში ძალაუფლების ხელში აღება ჩვენს განზრახვაში არ შედიოდა და არ შედის. ჩვენ დაბეჯითებით ვიცავთ იმ აზრს, რომ ეროვნული ემიგრაციის მისია თავდება იქ სადაც იწყება ჩვენი მშობელი ერის თვითხელმწიფება.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი განმარტება: სანამ ჩვენი ქვეყანა დაპყრობილია ყველა ქართველმა პატრიოტმა განურჩევლად პარტიულობისა, სოციალური მდგომარეობისა და რელიგიურ-ფილოსოფიური მრწამსისა გულმხურვალედ უნდა მოეკიდოს 26 მაისობის დღესასწაულს, საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას, მის ალამს, ღერბს და ჰიმნს, მის კონსტიტუციას. არავის არ აქვს უფლება მათი შეცვლისა. ხოლო მას შემდეგ, როცა ქართველი ხალხი ხელახლა აღიდგენს სრულ და რეალურ სუვერენიტეტს,

\*\*\*\*\*



მაშინ იგი ისე მოიქცევა როგორც ინებებს: თუ უნდა დაელოდოს ბოლოებს დასტოვებს, თუ არადა - ახლებს დააწესებს.

\*

როგორც ითქვა, წელს 26 მაისობის ზეიმობაში პირველობა სამშობლომ ჩამოგვართვა. კიდევ მეტი, ჩვენს ზეიმში წილი დაიდევს სამშობლოდან მოწვეულმა ეროვნული განთავისუფლების მოძრაობის შემადგენელ პოლიტიკურ ძალთა წარმომადგენლებმა. ჩვენ თავს აღარ ვგრძნობთ ობლად, სამშობლოდან სრულიად მოწყვეტილად. გამთელებულა სულმნათ აკაკის ჩონგურის სიმები. დიახ, არის ცვლილება, არის პროგრესი ჩვენი სანუკვარი იდეალების ხორცშესხმის გზაზე, - მ ა გ რ ა მ - მაინც არსებობს ეს დაწყვეტილი „მ ა გ რ ა მ ი“ - ოდნავადაც ჯერ არ გაუმჯობესებულა ქართველი ხალხის საერთაშორისო უფლებები და სტატუსი, საქართველო კვლავ ოკუპირებულია უცხო-დამპყრობი ჯარებისაგან, იმ მხედრობისაგან, რომელმაც, ერთხელ კიდევ, გასული წლის ცხრა აპრილს ველური სისასტიკით დაარბია, ხოცა და ქლიტა უიარაღო მშვიდობიანი, სამშობლოს თავისუფლებისათვის მოლიტანიე ქართველი ხალხი, არ დაინდო არც მოზარდი, არც მანდილოსანი, არც ჭადაროსანი.

ამიტომაც, ჩვენ არ გვაქვს მორალური უფლება, თავი შევიქციოთ გრძელ-გრძელი სადღეგრძელოებით, ლხინითა და ზარ-ზეიმებით. ქვეყანა შრომით შენდება, თავისუფლება ბრძოლით მოიპოვება, ჰოდა, 26 მაისობა ჩვენი ეროვნული სიყვარულის და ძალების დათვალეობის დღეა. ვეცადოთ ვიყოთ ნათელმხილველნი და სიმაართლით მეტყველნი, რამდენადაც კი ამის უნარს გვანიჭებს ჩვენი დამბადებელი-მამაზეციერი.

სამწუხაროდ, როცა თვალს მიმოვაგვლებთ, უკმარისობის გრძობა გვეუფლება. 1988 წლის ნოემბერში ქართველი ხალხი მოწინავე იყო ეროვნული განთავისუფლების გზაზე. 1989 წლის გაზაფხული დიდი გამოცდა იყო ჩვენი ერისა, რაც მან ბრწყინვალედ დაიჭირა. მტერმა ვერ შეძლო მისი სულიერი გატეხა. პირიქით, გააკერპა და გაამტკიცა. მიუხედავად ამისა, ერთი წლისთავზე იგი შორს ჩამორჩა არა მარტო აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტურ ქვეყნებს, არამედ თვით საბჭოთა ბალტიისპირეთს: ლიტვას, ლატვიას, ესტონეთს. როცა ჩამორჩენაზე ვლაპარაკობთ, რასაკვირველია, რომ მასში არ ვდებთ სასპორტო აზრს. ეროვნული განთავისუფლების საქმეში უამრავი საშინაო და საგარეო ფაქტორი მოქმედებს და თუ ზოგიერთი

25832

ს ა ძ მ ა რ თ ე ვ ე ლ ო ს  
პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს  
ე რ ო ვ ე ნ უ ლ ი  
ა ი გ ლ ი ო მ ო ე კ ა

\*\*\*\*\*



მთავანის დაძლევა ჩვენს ეროვნულ ძალებს აღემატება ამ მომენტში, მაშინ, უდავოა, რომ გადამწყვეტი მოქმედება უნდა გადგინდეს მხოლოდ ისე კი, რომ საბრძოლო მზადყოფა და გამარჯვების რწმენა არ მოღუნდეს.

ჩვენი საუბარი აქ სწორედ ამ მზადყოფნას ეხება. ჩვენ გვგონია, ღმერთმა ინებოს რომ ჩვენ ვცდებოდეთ, რომ ჩვენი ეროვნული ძალები შეკავშირების მაგივრად კიდევ უფრო ქუცმაცდებიან „პატარაპატარა საქართველოებად“. დავით გურამიშვილის არ იყოს: „ქართულების აღმა ხნული, კახელებმა დაღმა ფოცხეს“.

თუ ვინმე ამ სიტყვებს მრავალპარტიულობის გმობაში ჩამოგვართმევს, ეს იქნება დიდი გაუგებრობა. ჩვენ ღრმად გვწამს მრავალპარტიული დემოკრატიის უპირატესობა ადამიანისა და ერის კეთილდღეობისა და თავისუფლებისათვის; მხოლოდ არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ დემოკრატიას ანარქია დარაჯობს, რაც მისი და მასთან ერთად ერის დამღუბველია. დემოკრატიის ბატონობისათვის საჭიროა კანონის ბატონობა, კანონის განუხრელი პატივისცემა; მაგრამ გარდამავალ, რევოლუციურ მომენტში (ეროვნული განთავისუფლება ყოველთვის რევოლუციურია. ჯერ არავის სმენია, რომ დაპყრობილი ერის განთავისუფლება დამპყრობლის კანონებით, კონსტიტუციით შესრულებულიყოს. აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების განთავისუფლებაც ამ აზრს ასაბუთებს და ჯერ ვერც ლიტვის მაგალითი დაგვაჯერებს წინააღმდეგში) აუცილებლად უნდა არსებობდეს, სამხედრო ტერმინი რომ ვიხმართ, ეროვნული განთავისუფლების მთავარი შტაბი, რომელშიც წარმოდგენილი იქნებიან ჩვენი ერის, თუ ყველა ვერა, დიდი უმრავლესობა მაინც, პოლიტიკური ძალები. მაშინ ამ ეროვნულ შტაბს შეეძლება წარმატებით უხელმძღვანელოს ჩვენი ერის განთავისუფლების საქმეს, ილაპარაკოს და იმოქმედოს ქართველი ერის სახელით.

ამ ეროვნულ შტაბს, ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლის ამ წარმომადგენლობით ორგანოს, თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერი სახელი უწოდოთ. რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ასეთი ქართული ორგანო იყო „საქართველოს ეროვნული საბჭო“. მაშინ „საბჭოები“ იყვნენ მოდაში. დღეს იგი საშინლად ჟღერს ყურში. მისი შეცვლა სხვა სიტყვით სასურველი იქნება, მაგრამ მთავარია არსი და არა გარსი.

ამრიგად, პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების უხვად



არსებობა როდია ჩვენი ქმუნვის მიზეზი, არამედ მათი ბლობა, კიდევ უარესი, ურთიერთისადმი დაპირისპირება.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ 13-15 მარტს, თბილისში, ადგილი ჰქონდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის მნიშვნელოვან პოლიტიკურ პარტიებისა და ორგანიზაციების საგანგებო კონფერენციას, რომელმაც პარიტეტულ საწყისებზე შექმნა ეროვნულ ფორუმად წოდებული ინტერპარტიული ორგანიზაცია, რომლის მიზანი იყო ეროვნული ყრილობის მოწყობა, რომელიც თავის მხრივ გაუძღვებოდა საქართველოს გარდამავალი კოალიციური ხელისუფლების საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების ორგანიზაციას. ჩვენ მაშინ დიდ იმედებს ვამყარებდით ეროვნულ ფორუმზე.

მაგრამ ეროვნულ ფორუმში მალე მოხდა, არ ვიცით რა ვუწოდოთ მას: განხეთქილება, ინცინდენტი, თუ განზრახ მოწყობილი პროვოკაცია, რის შედეგადაც ფორუმის რიგები დასტოვეს: ჰელსინკის კავშირმა, ილია მართლის საზოგადოებამ, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოებამ, მონარქისტულმა (კონსერვატორთა) პარტიამ და შექმნეს „მრგვალ მაგიდად“ წოდებული პოლიტიკური გაერთიანება, რომლის სპიკერიცაა ჰელსინკის კავშირისა და ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარე ბნი ზვიად გამსახურდია. დარჩენილმა ფორუმმა, როგორც უმრავლესობამ (რასაც მრგვალი მაგიდა უარყოფს), გააგრძელა საქმიანობა: მოიწვია „ეროვნული ყრილობა“ და საფუძვლები ჩაუყარა პარტიათა საკოორდინაციო ცენტრს, რომლის მოვალეობაცაა უხელმძღვანელოს არჩევნებს ეროვნული კონგრესისას, რომელიც იქნება ქართველი ერის ნებისყოფის გამომხატველი ორგანო.

ამრიგად, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში, წინანდელი თანამებრძოლები ახლა მტრებად ქცეულან და თუ ჯერ ერთმანეთს არ ებრძვიან, ხელს მაინც უშლიან. ჩვენ არ შეგვიფაროთ განსჯაში: ვინაა მართალი, ვინ—მტყუანი. ჩვენ მხოლოდ ვაკეთებთ ფაქტის კონსტატირებას და ვამბობთ, რომ ეს დამღუპველია თვით მათი პრესტიჟისათვის და ქართული საქმისათვის.

მეორეს მხრივ, იგივე მარტის თვეში, კერძოდ ცხრასა და ოცში, საბჭოთა საქართველოს ოფიციალურებმაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური სვლები გააკეთეს, მოწვეული იქნა უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიები, რომელმაც დაგმო, დაპყრობა, ოკუპაცია და ანექსია უწო-

\*\*\*\*\*

და 1921 წლის 25 თებერვლის „გასაბჭოების“ აქტს, ბათილად გამოაცხადა ყველა კანონები და დეკრეტები მიღებული მას შემდეგ ქართველი ხალხის სახელით, მათ შორის ბათილად იქნა გამოცხადებული 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე დაფუძნდა სსრ კავშირი. ამის კვალობაზე რიგგარეშე სესია, როგორც მას სჩვევია, ერთხმად, მორცხვად, მაგრამ არა ორაზროვნად აცხადებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას, მაგრამ მას „დაავიწყდა“ შეექმნა მექანიზმი ამ გადაწყვეტილებათა სისრულეში მოსაყვანად.

ამის შემდეგ გადის ორ თვეზე მეტი. 31 მაისს თბილისის სახ. უნივერსიტეტში საშემოილო გაფიცვას იწყებს 5 სტუდენტი, რომლებიც მოითხოვენ უმალესი საბჭოს რიგგარეშე სესიის დაუყოვნებლივ მოწვევას და მისგან დამოუკიდებლობის საკითხის განხილვას. „სიკვდილი ან თავისუფლება“, „ჩვენი შვილები მონობაში არ დაიბადებიან!“ — ნათქვამი იყო გაფიცულთა მიმართვაში. გაფიცვას დაუყოვნებლივ მხარი დაუჭირა ეროვნული განთავისუფლების მრგვალმა მაგიდამ, ხოლო ეროვნული კონგრესის საკოორდინაციო ცენტრმა უარყოფითი პოზიცია დაიკავა, რაც შემდეგი მოსაზრებით გაამართლა: ეროვნული კონგრესის არჩევის პერსპექტივამ შეაშფოთა ხელისუფლება, რომელიც ყველაფერს შვება, მას ჩამოაშოროს ქართული საზოგადოებრივობის ყურადღება და ყალბ პერსპექტივებისაკენ მიმართოსო. სხვა მრავალ ორგანიზაცია-დაწესებულებათა შორის მოშიმშილე სტუდენტებს მხურვალე მხარდაჭერა გამოუცხადეს მწერალთა კავშირმა, საქ. მეც. აკადემიის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტმა, საქ. მიწათმოქმედთა პარტიის მთავარმა კომიტეტმა, რომლის თავმჯდომარეცაა ბნმა რ. რამიშვილმა სხვათა შორის თქვა: საქ. მიწათმოქმედთა პარტია და მიწათმოქმედთა ასოციაცია მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ ძალას, რომელთაც ჭეშმარიტად შესტივით გული ეროვნული საქმისათვის, ვისაც სურს, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩიხში არ მოექცეს, დაუყოვნებლივ გაერთიანდეს ხუთი მოშიმშილის გარშემო ანუ „თავგანწირულთა კავშირში“ და ამით ბოლო მოეღოს იმ ბზარის გაღრმავებას, რომელიც უდიდეს საფრთხეს უქმნის ქართველი ერის მომავალს, მის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. დავძლიოთ წვრილმანი წყენა და პირადი ამბიციები! გავერთიანდეთ „თავგანწირულთა კავშირში“





რში“. ერთიანობა არის ერთადერთი გზა დიდი მიზნების მიწის  
წევად“. („ლიტ. საქ.“ 2 ივნისი 1990)

გაფიცვის ათი დღის თავზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნი-  
ვერსიტეტს ეწვია საქ. სსრ კომპარტიის პირველი მდივანი და უმ-  
ალლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ-ნი გივი გუმბარიძე,  
რომელიც დაპირდა გაფიცულებს, რომ მათი მოთხოვნა შესრულებული  
იქნებოდა უმოკლეს ვადაში. მართლაც, 20 ივნისისათვის მოწვეულ-  
ია საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე, მეთხუთმეტე სესია შე-  
მდევი დღის წესრიგით:

- 1) საქ. სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ. საქ. სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილებაში დამატების შეტანა (საქ. რეგკომის 1921 წლის 16 თებერვლის, 1921 წლის 24 მარტისა და საქ. დემოკრატიული რესპუბლიკის პოლი-  
ტიკური ინსტიტუტების გაუქმების სხვა აქტების სამართლებრივი შე-  
ფასება) და ამ დადგენილების შემდგომი რეალიზაციის ღონისძიება-  
ნი. მიმართვა რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოსადმი საქ. დემოკრატ-  
იული რესპუბლიკისა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალი-  
სტური რესპუბლიკის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვე-  
ვის სამართლებრივი და პოლიტიკური შედეგების შეფასების თაობა-  
ზე. 2) საქ. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის სამა-  
რთლებრივი მექანიზმის შექმნა. 3) საქ. მოქალაქეობის კანონპრო-  
ექტი. 4) საქ. სსრ უზენაესი საბჭოს საყოველთაო დემოკრატიული  
მრავალპარტიული არჩევნების კანონის პროექტი. 5) მოქალაქეთა  
საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის, პოლიტიკური პარტი-  
ების, მასობრივი მოძრაობების, პროფესიული და შემოქმედებითი კა-  
ვშირების, ნებაყოფლობითი საზოგადოებების, ასოციაციების კანონ-  
ის პროექტი. 6) საქ. ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლე-  
ბის კანონის პროექტი. 7) საბჭოთა არმიის ალტერნატიული სამ-  
სახურისა და მასთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი  
რეგლამენტაცია. 8) სსრ კავშირის მთელი რიგი კანონების შეფა-  
სება საქ. სსრ კონსტიტუციის 77 -ე მუხლის საფუძველზე.

როგორც ხედავთ, სესიის დღის წესრიგი მეტად დატვირთულია  
საქართველოსათვის დიდმნიშვნელოვანი საკითხებით. როცა ეს სტრი-  
ქონები იწერება ჩვენთვის ცნობილი არაა კიდევ  
უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებები, მაგრამ ეკვი არ გვებარება,  
რომ ის, როგორც წარსულში, ერთხმად მორჩილად დაადასტურებს

\*\*\*\*\*  
 ვეგეტაციის უკიდურესი

ყველა ტექსტს, რასაც მას გუმბარიძე წარუდგენს, შექმნილია საჭარბო  
 მიერ კომისიას, მაგრამ ამით ოდნავადაც წინ არ წაიწევეს საქა-  
 რთველოს დამოუკიდებლობის საქმე, რადგანაც ჩვენი სამშობლო იმ-  
 ყოფება მოჯადოებულ გარემოში. ოფიცოზი ვითომც ყველაფერს  
 აკეთებს, რაც სახალხო მღელვარებას დაამოშინებს, რომ დრო  
 მოიგოს. იგი ვალდებულია შეასრულოს მისი ბრძანებები, ვინც ის  
 მეფედ გახადა. ამხნის განმავლობაში ქვეყანაში მოქმედებენ ბნელი  
 ძალები, რომლებიც ძირს უთხრიან ერის დარაზმულობას, ქართული  
 საზოგადოების ერთ ეროვნულ ფრონტად დარაზმვას. ასეთ პირობებ-  
 ში შეუძლებლად აღარ ჩანს, რომ საქართველოს, ქართველ ხალხს  
 ქედზე დაადგან კრემლის ხაზინთა ახლად გამოკოპიტებული უღელი.

პატივცემული ბატონი აკაკი ბაქრაძე იძულებული გახდა სრულიად  
 საქართველოს რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარეობიდან გა-  
 დამდგარიყო. თუ რამ აიძულა, მან პასუხი გასცა წერილობით ვაზ.  
 „თბილისის“ რედაქტორს. ინტერესს არ იქნება მოკლებული მოვიტა-  
 ნოთ ამ წერილის ზოგიერთი ადგილი: „...ურთულესი პრობლემები  
 მაშინ მოგვარდება, თუ ძირფესვიანად შეიცვლება არსებული სინამ-  
 დვილე, ანუ საქართველო გახდება დამოუკიდებელი. მაგრამ შექმ-  
 ნილია ურთულესი ვითარება. დიდი ხანია უკვე ხალხს არ სჯერა  
 ოფიციალური ხელისუფლების. არავითარი იმედი იმისა, რომ ოფიცია-  
 ლური ხელისუფლება რაიმეს შეცვლის – აღარ არსებობს... 9 აპრილის  
 სისხლიან დღემდე ეროვნულმა მოძრაობამ მედგრად იარა წინ. ამ-  
 ის შემდეგ მდგომარეობა ერთბაშად შეიცვალა. გამოყენებული იქ-  
 ნა მზაკვრული ხერხი: არ გაუწიონ არავითარი წინააღმდეგობა ერ-  
 ოვნულ მოძრაობას... ასეთ ვითარებაში ჩნდება ყველაზე დიდი სა-  
 შიშროება: ეროვნული მოძრაობის გათიშვა, შინაბრძოლა. მზაკვ-  
 რული გეგმის ავტორი ამასაც ითვალისწინებდა. სამწუხაროდ,  
 ქართული ეროვნული მოძრაობის გათიშვა და შინა ბრძოლა რეალ-  
 ურ საფრთხედ იქცა...“

ბ-ნი აკაკის ამ საგანგაშო სიტყვებს კიდევ უფრო აძლიერებს  
 სამშობლოდან იენისში მიღებული ცნობები, რომ სულ უფრო ძლიერ-  
 დება ტერორი, ბრმა ტერორი, რომლის დანიშნულებაც ხალხის და-  
 შინება, ერთმანეთში ეჭვიანობისა და უნდობლობის გაღვივება.

რაც შეეხება ჩვენს ეროვნულ ემიგრაციას, მას უსათუოდ ესა-  
 ჭიროება ორგანიზაციული დარაზმვა, რათა უკედ ემსახუროს ჩვენი  
 სამშობლოს განთავისუფლების წმინდა საქმეს, რაც იყო და რჩება



ჩვენი ემიგრაციის არსებობის მიზანი და გამართლება. ეროვნული  
ემიგრაციის სუსტი დარაზმულობა და იმპროვიზაცია გამოვლინდა  
თუნდაც 26 მაისის დღესასწაულობისას. ორგანიზატორებმა უხვად  
მოიწვიეს ეროვნული განთავისუფლების მოძრაობის წარმომადგენლები  
სამშობლოდან, მაგრამ მათ ვერ შეუქმნეს სათანადო ტრიბუნა,  
მათ პრესკონფერენციას არ ესწრებოდნენ მნიშვნელოვანი საინფორ-  
მაციო საშუალებების წარმომადგენლები, ქართული საქმის მცოდნე  
და სიმპატიურად განწყობილი პოლიტიკური მოღვაწენი და პოლიტო-  
ლოგები.

ემიგრაციას საკუთარი დაშლილობაც საკმარისზე მეტი აქვს, იგი  
კიდევ უფრო მეტად არ უნდა დაჰყოს სამშობლოში მომქმედ ცალ-  
კეულ პარტიებში გაწევრიანებამ. მრავალფეროვანი, საქართველოს  
ეროვნული განთავისუფლების ხელის შეწყობის საერთო მიზნით  
დარაზმული, ის ერთად უნდა ეხმარებოდეს ჩვენი ერისთვის საჭი-  
რო და გამოსადეგ ყველა ჯანსაღ პოლიტიკურ ძალებს, ცდილობდეს  
მათ შეთანხმებას და ერთობლივ ბრძოლას. ჩვენ გვყავს აქ დაბა-  
დებულთა და აღზრდილთა შესანიშნავი პატრიოტი ახალგაზრდები,  
მათ უმრავლესობას ჩვენი დედაენა არ ესმის, მაგრამ ჩვენი ქვეყნის  
საბედნიეროდ უძველესი გული და ძალიც შესწევთ მსახურებისათვის,  
მათი ერთ მიზნისაკენ მიმართვა არის ჩვენი დღევანდელი გადაუ-  
დებელი ამოცანა.

დადგა მომენტი, როცა არცერთი წუთის უქმად დაკარგვა აღ-  
არ შეიძლება. გულგრილობა, პასიურობა მიმდინარე ეროვნულ-განმა-  
თავისუფლებელ ბრძოლისადმი უპატიებელი დანაშაულია. დავივიწყოთ  
ერთმანეთის წყენინება, ყველაფერი პირადული. ისევე, როგორც  
ჩვენს მამა-პაპათ სჩვეოდათ, ვახსენოთ ღმერთი, მივცეთ ერთიმეო-  
რეს მტკიცე უღალატო ხელი და გავსწიოთ წინ უშიშრად, გულდა-  
ჯერებით.

ღვთისმშობლის წილხდომილია საქართველო, ქართველი ხალხი,  
მისი კალთა დაიფარავს ახლაც მათ.

ქართველი ერი უთუოდ გაიმარჯვებს!

დიდება, ვინც დიადი საქმის მონაწილე იყო, არის და იქნება!



## მ კ ი თ ხ ვ ე ლ მ ა გ ა ნ ს ა ჯ ო ს

[ამ განყოფილებაში ჩვენ წარმოვადგენთ საქართველოს ეროვნული განთავისუფლების მოძრაობის პოლიტიკურ ძალთა ორივე დაჯგუფების ფუძემდებელ საჯარო განცხადებებს]

### ეროვნული ფორუმის განცხადება

„როგორც ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია უკვე, საქართველოს ეროვნული ფორუმი დატოვეს შემდეგმა ორგანიზაციებმა და პირებმა: საქართველოს ჰელსინკის კავშირმა, მონარქისტულმა პარტიამ, შალვა წიკლაურმა, ზვიად გამსახურდიამ, ვაჟა ადამიამ, ჯემალ გოლეითიანმა, რევაზ კემულარიამ. ეროვნული ფორუმი თვლის, რომ ზ. ა. ორგანიზაციათა და პირთა ეს საქციელი შეიძლება ჩაითვალოს ეროვნული მოძრაობის საწინააღმდეგოდ მიმართულ ნაბიჯად, რაც ჩვენი საერთო მტრების წისქვილზე ასხამს წყალს.

ეროვნული ფორუმი მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს, მიუხედავად ობსტრუქციებისა, ის შეძლებს საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ორგანიზებასა და ეროვნული კონგრესის არჩევას. ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!

### საქართველოს ეროვნული ფორუმი

გიორგი ქანტურია, ირაკლი წერეთელი, თორნიკე ფიფია, ვანო ხუხუნაიშვილი, გოჩა აბზიანიძე, მამუკა გიორგაძე, ზაზა სიხარულიძე, თემურ სუმბათაშვილი, ირაკლი ბათიაშვილი, რუსლან მიქაბერიძე, ლუიზა შაკიაშვილი, დათო გამყრელიძე, გიორგი კობახიძე, თენგიზ შარმანაშვილი, ვახტანგ ტალახაძე, ვასიკო ქყოიძე, გურამ გოგვაიძე, ჯაბა იოსელიანი, ჯემალ ბოჭორიძე, დავით ცისკარიშვილი.

27. 04. 1990 წ. („ქ. ქრონიკა“)

\*\*\*

საქ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის  
პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა  
მ რ გ ვ ა ლ ი მ ა გ ი დ ა

„საქ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის მონაწილეთა პირველი შეხვედრა გაიმართა სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების ოფისში ა. წ. 5 მაისს 21 საათზე. სხდომა მიჰყავდა მრგვალი მაგიდის სპიკერს ბატონ ზვიად გამსახურდიას.

\*\*\*\*\*



„მრგვალი მაგიდის მეორე შეხვედრა გაიმართა 8 მაისს იყოფილ შენობაში (მაჩაბელის ქ.) III სართ. „აკვარიუმში“.

შეიქმნა სპეციალური მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფი მრგვალი მაგიდის წესდების პროექტის წარმოსადგენად. სხდომა მიჰყავდა ბატონ ზვიად გამსახურდიას.

მრგვალი მაგიდის მესამე შეხვედრა გაიმართა 11 მაისს 20 საათ. საქ. ალკა ყოფილ შენობაში. მრგვალ მაგიდასთან სტუმრის სტატუსით წარმოდგენილი იყო ორი პოლიტიკური ორგანიზაცია: საქ. ფედერალურ-რესპუბლიკური პარტია: ბ-ნი ირაკლი შენგელაია (პარტიის თავ-რე) და ბ-ნი დავით მარღანი; საქართველოს მშენებთა პარტია: პარტიის სპიკერი ბ-ნი ზურაბ ჟვანია და ბ-ნი გიორგი ბარამიძე.

სხდომის მთავარი საკითხი იყო მრგვალი მაგიდის პროექტის წესდების შესახებ, რომელიც გამოტანილ იქნა მრგვალი მაგიდის მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფების საკოორდინაციო კოლეგიის წევრთა (ბ-ნი ვახტანგ ბახტაძე, ბ-ნი მერაბ ურდია, ბ-ნი ზვიად ბოკუჩავა და ბ-ნი ნუგზარ მოლოდინაშვილი) მიერ, პროექტი მრგვალი მაგიდის მონაწილეთა მცირეოდენი კორექტივებით მოიწონეს და მიიღეს.

დღევანდელი პოლიტიკური კონცეპციის პროექტი წარმოადგინა ბ-ნმა თედო პაატაშვილმა (წმ. ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრი). მან ვრცლად წარმოადგინა დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკური სიტუაციების გათვალისწინების აუცილებლობა. ამ საკითხის ირგვლივ გაიმართა საინტერესო აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო ბ-ნმა ირაკლი შენგელაიამ და ბ-ნმა ზურაბ ჟვანიამ. შეიქმნა სპეციალურ მრჩეველთა ჯგუფი: ბ-ნი თედო პაატაშვილი (წმ. ილია მართლის საზ-ბა), ბ-ნი ირაკლი შენგელაია (ს. ფედერალურ-რესპუბლიკური პარტია), ბ-ნი გიორგი ხონელიძე (ს. მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია), ბ-ნი გიორგი მარჯანიშვილი (ს. ჰელსინკის კავშირი), ბ-ნი დავით კუპრეიშვილი (სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზ-ბა) და ბ-ნი ვახტანგ ბახტაძე (ს. ინფორმაციის დამოუკიდებელი სააგენტო „მაცნე“.

სხდომა მიჰყავდა მრგვალი მაგიდის სპიკერს ბ-ნ ზ. გამსახურდიას.

მრგვალი მაგიდის მორიგი IV შეხვედრა გაიმართა 15 მაისს 20 საათზე იმავე მისამართით. სტუმრად მოწვეულნი არიან სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი ბ-ნი აკაკი ბაქრაძე და ს. სახალხო ფრონტის გამგეობის თავ-რე ბ-ნი ნოდარ ნათაძე.



\*\*\*\*\*



მრგვალი მაგიდის მონაწილენი:

სპიკერი: ზვიად გამსახურდია – საქ. ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარე; წმ. ილია მართლის საზ - ების თავმჯდომარე.

საქართველოს ჰელსინკის კავშირი: თემურ ქორიძე, ავთანდილ რცხილაძე, გოგი ხოშტარია, გიორგი მარჯანიშვილი;

ს. ილია მართლის საზ - ბა: თედო პაატაშვილი, თამაზ გველესიანი, მერაბ ურიდია, გელა ჩორგოლაშვილი; სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზ - ბა: ვაჟა ადამია, ჯემალ გოლეთიანი, დავით კუპრეიშვილი, ნუგზარ მოლოდინაშვილი;

ს. მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია: თემურ ჟორჟოლიანი თენგიზ კიტოვანი, გიორგი ხონელიძე, აკაკი ასათიანი.

მრგვალი მაგიდის მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფების საკოორდინაციო კოლეგია: მუღმივი წევრები სათათბირო ხმის უფლებით: თენგიზ სიგუა – პროფესორი, ს. მეცნიერებათა აკადემია; ვახტანგ ბახტაძე – ს. ინფორმაციის დამოუკიდებელი სააგენტო „მაცნეს“ პოლიტიკური დირექტორი, გიზო კორძაძე – ს. მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია, თენგიზ დიხამინჯია – ს. ჰელსინკის კავშირი, ალექს მელაძე – დამოუკიდებლობის ორგანიზაცია, ზვიად ბოკუჩავა – ს. მონარქისტული პარტია, გიორგი ხავთასი – ს. ს. მერაბ კოსტავას საზოგადოება.

სტუმრის სტატუსით მოწვეულნი არიან: ს. ფედერალურ-რესპუბლიკური პარტია ორი წარმომადგენლით: ირაკლი შენგელაია – პარტიის თავმჯდომარე და დავით მარღანია - წევრი; ს. მწვანეთა პარტია ორი წარმომადგენლით: ზურაბ ყვანია – პარტიის სპიკერი და გიორგი ბარამიძე – წევრი.

მრგვალი მაგიდის ოქმებს ადგენს მრგვალი მაგიდის მდივანი დალი ქვირია (ს. ი. დ. ს. „მაცნეს“ კორესპონდენტი).

წ ე ს დ ე ბ ა

(პრეამბულა)

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის მიზანია დღევანდელი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალისტური კონცეპციის შექმნა და მის გასატარებლად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. აუცილებელია უმოკლეს დროში პოლიტიკური კონცეფციის შემუშავება საქართველოს საკითხის ჰელსინკი-2 შეხვედრაზე გასატა-



პარლამენტი  
საქართველო

ნად.

მრგვალი მაგიდის შემქმნელ პოლიტიკურ ორგანიზაციებს დანაშაულებად მიაჩნიათ თანამშრომლობა ყველა იმპერიალისტური სტრუქტურების უარყოფელ არაკოლაბორაციონისტულ, მშვიდობიან, ძალადობის დამგმობ ორგანიზაციებთან და პიროვნებებთან, ამავე დროს გამოირიცხული არ არის დიალოგი ნებისმიერ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან თუ ცალკეულ პიროვნებასთან.

**მრგვალი მაგიდის სტრუქტურა**

1. მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ: მუდმივი წევრი-ორგანიზაციები, წევრები და მოწვეული სტუმრები.

მრგვალი მაგიდა დარგობრივი პრინციპებით ქმნის მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფებს, რომლებიც თავის მხრივ უფლებამოსილი არიან მოიწვიონ შესაბამისი დარგის, როგორც ქართული, ისე უცხოელი ექსპერტები.

**2. ა) მრგვალი მაგიდის მუდმივი წევრებია:**

საქ. ჰელსინკის კავშირი, საქ. მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია, წმინდა ილია მართლის საზ - ბა, სრულიად საქ. მერაბ კოსტავას საზოგადოება და ამ ორგანიზაციათა მიერ შექმნილი მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფების საკოორდინაციო კოლეგია.

ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციები მრგვალი მაგიდის მუშაობაში წარმოდგენილი არიან ოთხ-ოთხი წევრით.

ბ) მრგვალი მაგიდის წევრი-ორგანიზაცია (მუდმივი) აღჭურვილია გადამწყვეტი ხმისა და ორგანიზაციული ვეტოს უფლებით.

საკოორდინაციო კოლეგია მრგვალ მაგიდასთან სარგებლობს სათათბირო ხმის უფლებით.

3. **სტუმრები:** მრგვალი მაგიდის ოთხი მუდმივი წევრი-ორგანიზაცია აბსოლუტურად თავისუფალია თავისი ნების გამოხატვისას, უფლებამოსილია დიალოგისათვის მოიწვიოს ნებისმიერი ორგანიზაცია თუ ცალკეული პიროვნება ოპტიმალური ეროვნული კონცეფციის გამოსამუშავებლად.

**4. მრგვალი მაგიდის წევრები:**

ა) ის ორგანიზაციები, რომელთა წარმომადგენლები სტუმრის სტატუსით სისტემატიურად მონაწილეობას მიიღებენ მრგვალი მაგიდის მუშაობაში, გამონახავენ საერთო ენას მასში მონაწილე ორგანიზაციებთან, კონსენსუსის საფუძველზე შეიძლება მიღებულ იქნან მრგვალი მაგიდის წევრ-ორგანიზაციებად.

ბ) მრგვალი მაგიდის წევრი ორგანიზაცია მის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს თავისი ორი წარმომადგენლით გადამწყვეტი ხმის უფლებით.

### მრგვალი მაგიდის მუშაობის პრინციპები

1. მრგვალი მაგიდის სხდომები მიჰყავს სპიკერს. მრგვალი მაგიდის სხდომის მსვლელობის დროს მონაწილენი ვალდებული არიან, იმოქმედონ სპიკერთან შეთანხმებით.
2. მრგვალი მაგიდის წევრები ვალდებული არიან, ურთიერთ მიმართებაში დაიცვან საყოველთაოდ მიღებული ეთიკური ნორმები. თუ მრგვალი მაგიდის რომელიმე მონაწილის მოქმედება მრგვალი მაგიდის წევრთა მიერ შეფასებული იქნა არაეთიკურად, აღნიშნულმა პიროვნებამ უნდა დატოვოს მრგვალი მაგიდა.
3. მრგვალი მაგიდის მონაწილე პოლიტიკური ორგანიზაციები თავისუფალნი არიან თავიანთ მოქმედებებსა და გადაწყვეტილებებში, თუ ეს ქმედება დაკავშირებული არ არის მრგვალი მაგიდის მუშაობასთან.“

თბილისი, 11 მაისი, 1990 წ. („საქართველო“ 13/  
V / 1990 )

\*\*\*

### მრგვალი მაგიდის პოლიტიკური კონცეფცია

დღეს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე არის ქართველი ერი, საქართველოს კანონიერი მოსახლეობა. ამიტომ აუცილებელია სწორედ ქართველმა ერმა, საქართველოს კანონიერმა მოსახლეობამ გააკეთოს არჩევანი იმ გზისა, რომლითაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა უნდა აღსდგეს. რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, არსებობს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ორი შესაძლებლობა: 1. საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობა. 2. ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში, შეძლებისდაგვარად და მაქსიმალურად ერის ნების გამოხატველი, დროებითი უმაღლესი ხელისუფლების საყოველთაო არჩევნები.

საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობა საქართველოს ეთნიკურ (დამოუკიდებლობის არ მოსურნე არაქართული მოსახლეობა), მორალურ (კორუფცია, მომხვეჭელობა, კონფორმიზმი) და პოლიტიკური (იმპერიული მმართველობა, საოკუპაციო არმია) რეალიათა გათვალის-



წინებით შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ექსტრემალური პირობებში – შესაბამისი ძლიერი „მუხტის“ არსებობის შემთხვევაში. ასეთი მუხტი შეიძლება გაჩნდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რეალური ხელყოფის ან იმპერიისა თუ მისგან პროვოცირებული ძალების მიერ ქართველი ერის წინააღმდეგ განხორციელებული მასობრივი ტერორის დროს. მხოლოდ ასეთ უკიდურეს შემთხვევაშია შესაძლებელი სპონტანურად განხორციელდეს საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობა იმ მასშტაბებითა და ვადით, რომელიც უკიდურესი გაჭირვების, დიდი რისკისა და, იქნებ სისხლის ფასადაც ერს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობამდე მიიყვანს. მხოლოდ უკიდურესად ექსტრემალური სიტუაციისას არის რეალური საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობის განხორციელება. სხვა შემთხვევაში, მართოდენ რადიკალური, შეურიგებელი ოპოზიციის მოწოდებების ძალით საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობის განხორციელება სათანადო დიდი შემზადების გარეშე, უახლოეს ხანში ნაკლებ სავარაუდოა.

იმისთვის, რომ საქართველოში არჩეულ იქნას ჭეშმარიტად ერის ნების გამომხატველი და მისი ინტერესების დამცველი ორგანო, რომელიც მხოლოდ არსებული ობიექტური რეალობის გათვალისწინებით იმოქმედებს და არა ცენტრალური საოკუპაციო ხელისუფლების დიქტატით და მისდამი კომპრომისებით, აუცილებელია: არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურმა ოპოზიციამ, ჭეშმარიტმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, რათა მოსკოვისადმი მეტნაკლებად დაქვემდებარებული პოლიტიკური ძალები უმალღეს არჩევით ორგანოში უმცირესობაში აღმოჩნდნენ. სწორედ ამ უმალღესმა არჩევითმა ორგანომ უნდა იტვირთოს გარდამავალი პერიოდის მთელი სიმძიმე. საქართველოს უკიდურესად მძიმე გეოპოლიტიკური, პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური მდგომარეობის გამო, ყოველად დაუშვებელია საოცრად დინამიურ გარდამავალ პერიოდში ისეთი მოქმედება, რომელიც ერისა და ქვეყნის ინტერესებიდან არ გამომდინარეობს.

ვის აქვს უფლება საქ. კანონიერი მოსახლეობის სახელით ლაპარაკისა და როგორ უნდა მოხდეს ასეთი სამართლებრივი სუბიექტის შექმნა, როგორ გადასცემს მას ხალხი ნდობის მანდატს? საქართვე-



ლოში მიღებული უკანასკნელი უმნიშვნელოვნესი სამართლებრივი პოლიტიკური საერთაშორისო აქტი არის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის, რომელიც უკიდურესი – შეიარაღებული აგრესიის ფორმით დაირღვა საბჭოთა რუსეთის მიერ. ყოველივე ეს დეკლარირებულია, ხოლო მისი საბოლოო და სამართლებრივი გაფორმება მომავლის საქმეა. საქართველოში 1921 წლის 17 მარტს შემდგ (ამ დღეს საქ. დემოკ. რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ დროებით შეაჩერა საქართველოს კონსტიტუცია) ადგილი არ ჰქონია არც ერთ კანონიერ სახელმწიფოებრივ აქტს, რის დეკლარირებასაც თვით საქ. დღევანდელი უზენაესი საბჭო ახდენს, რომელიც ბათილად ცნობს, როგორც უკანონოს, ყველა შემდგდროინდელ სახელმწიფოებრივ დოკუმენტს ( მათ შორის საკუთარ თავსაც). იმისთვის, რომ კანონიერად წარიმართოს საქართველოში გარდამავალი პერიოდი, აუცილებელია მისი კანონიერი დაწყება. კანონიერებისაგან ყოველი გადახვევა გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე მხოლოდ გაართულებს ჩვენს ისედაც უკიდურესად მძიმე მდგომარეობას, რაც საბოლოო ჯამში კარგს არაფერს მოგვიტანს. ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია გარდამავალი ეტაპის ამოსავალ წერტილად გავიხადოთ 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება და 1921 წ. 27 იანვრის ერთა ლგის გადაწყვეტლება საქართველოს დემოკ. რესპუბლიკის საერთაშორისო სუფერენად ცნობის შესახებ და არა საკავშირო თუ რესპუბლიკური კონსტიტუციების „კარგი“ თუ „ცუდი“ მუხლები. ამ მიზეზით შეიქმნა

ერთგვარად ნაჩქარევად, ლიტერული პრეცედენტი, რომელიც უახლოეს მომავალში მეტროპოლიასთან მოლაპარაკებას აწარმოებს არა საბჭოურ კონსტიტუციათა, არამედ საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით. ამდენად, საქ. დღევანდელი უზენაესი საბჭო ვერაფრით ვერ იქნება საქ. კანონიერი მოსახლეობის ნების გამომხატველი. სწორედ ამიტომ სამართლიანად ამბობს უარს საქ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალური ფრთა საბჭოურ არჩევნებში მონაწილეობაზე და არა ახირებათა გამო.

მსოფლიო პოლიტიკაში ხალხის ნების გამომხატველი სამართლებრივი სუბიექტის შექმნის ყველაზე მისაღები ფორმა საყოველთაო დემოკრატიული არჩევნებია, რომლის დროსაც ხდება გარკვეული ვადით ნდობის მანდატის გადაცემა კანონიერ უმაღლეს ხელისუფლებაზე. საქართველოშიც უმოკლეს ვადაში უნდა ჩატარდეს საყოველთაო, მრავ-



\*\*\*\*\*



ვალპარტიული არჩევნები, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება კანონიერი (იმისდა მიუხედავად სცნობს თუ არა მას უცხოეთის შორისო პოლიტიკა), თუ ის არ იქნება საბჭოური. საქართველოში და არა მარტო საქართველოში საბჭოური და კანონიერი ერთმანეთს გამოირიცხავს

როგორ შეიძლება ჩატარდეს დღევანდელ პირობებში საქართველოში საყოველთაო არასაბჭოური დემოკრატიული არჩევნები? არსებობს ორი - ოფიციალური და არაოფიციალური საყოველთაო არჩევნების ჩატარების თეორიული შესაძლებლობა. არაოფიციალური არჩევნები იმთავითვე იხსნის საბჭოურობის ლაქას, მაგრამ აწყდება უაღრესად ძნელად დასაძლევ პრობლემებს. უპირველესად იმისათვის, რომ არაოფიციალური არჩევნები იყოს საყოველთაო, რათა მასში მონაწილეობა მიიღოს საქართველოს კანონიერი მოსახლეობის სულ მცირე 51 პროცენტმა. აუცილებელია, რათა ეს არაოფიციალური არჩევნები იყოს ერთადერთი, თუ ამ არჩევნების ჩატარებამდე არ გამოცხადდა მისი ერთადერთობა, მოსახლეობის და არა მხოლოდ არაქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი ალბათ ოფიციალურ საბჭოთა არჩევნებს დაელოდება. არ არის გამორიცხული ისეთი კუროზიცი, რომ ამომრჩეველთა გარკვეულმა ნაწილმა ორივე არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. ამასთან, არაოფიციალური საბჭოთა არჩევნების ორგანიზება თავისთავად კოლოსალურ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რომელსაც სულ ადვილად შეუძლია შეუშალოს ხელი რესპუბლიკის კომუნისტურმა მმართველობამ. მმართველობა ძლიერი დაწოლის გარეშე არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება წინასწარ გამოაცხადოს არაოფიციალური არჩევნების ერთადერთობა, რადგან ცხადია, რომ ის პოლიტიკური სარბიელის ასე ადვილად მიტოვებას არ აპირებს. ამასთან, ეროვნულ ფორუმს გადაწყვეტილი ჰქონდა მხოლოდ ეროვნული კონგრესის არჩევნების შემდეგ (ისიც, თუ ეროვნული კონგრესი მოსახლეობის 51 პროცენტით, ანუ უმრავლესობით, აირჩეოდა) მოეხდინა დაწოლა არსებულ კომუნისტურ მმართველობაზე მის გასაუქმებლად. ასე რომ, არაოფიციალური, წინასწარ ერთადერთად არ გამოცხადებული, არჩევნების შემთხვევაში საეჭვოა მასში კანონიერი მოსახლეობის უმრავლესობამ მიიღოს მონაწილეობა. არსებობს უმნიშვნელოვანესი, არაოფიციალურად არჩეული იურიდიული პირის საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის მქონე სუბიექტად გახდომის პრობლემაც. დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკური რეალებიდან

25832

ს ა ქ ა რ თ ი ვ ე ლ ო ს  
პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს  
ე რ ო ჳ ე უ ლ ი  
გ ი მ ლ ი ო ო ლ ი კ ა

გამომდინარე, გამორიცხულია, რომ საქართველოში არაოფიციალური არჩევნებზე საერთაშორისო მეთვალყურეები გამოცხადდნენ, ან ალ-იარონ ამრიგად არჩეული ორგანო სამართლებრივ სუბიექტად. ამიტომ ზემოდ ჩამოთვლილ სირთულეებს მათი გადაჭრის შემდგომ კიდევ ერთი პრობლემა ემატება – ბრძოლა ეროვნული კონგრესის საერთაშორისო სამართალ-სუბიექტად გახდომისათვის. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს სირთულეები არ დაიძლია, არასაბჭოურ არაოფიციალურ არჩევნებს მაინც აქვს აზრი, რადგან მოხდება საქართველოს მოსახლეობის თუნდაც უმცირესობის მიერ გარკვეული ორგანოსადმი ნდობის მანდატის გადაცემა, რომელსაც ამის შემდეგ უკვე ექნება მორალური (სამწუხაროდ, მხოლოდ მორალური) უფლება საქართველოს მოსახლეობის თუნდაც ამ უმცირესობის სახელით ილაპარაკოს. დღემდე ასეთი არც მორალური და არც იურიდიული უფლება საქართველოში არავის არა აქვს, ეს წინგადადგმული ნაბიჯი იქნება უდაოდ, მაგრამ ასეთი ტემპებით ალბათ ვერ შევძლებთ არსებული პოლიტიკური ჩამორჩენის დაძლევას დღევანდელ უაღრესად სწრაფი პოლიტიკური დინამიკის ეპოქაში.

აღნიშნულ თუ არაღნიშნულ მიზეზთა გამო, მრგვალი მაგიდის გარშემო გაერთიანებული პოლიტიკური ორგანიზაციები აყენებენ საქართველოში ოფიციალური არასაბჭოური არჩევნების ჩატარების საკითხს. ბუნებრივია, არც ამ იდეის რეალიზაციაა წინააღმდეგობათაგან თავისუფალი, მაგრამ მისი განხორციელება უფრო რეალისტურად და მეტი სარგებლიანობის მომტანად მიგვაჩნია. ოფიციალური არასაბჭოური მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად საქართველოში უნდა არსებობდეს შესაბამისი პოლიტიკური სიტუაცია, რომლისათვისაც რამოდენიმე წინაპირობაა აუცილებელი:

1. საქართველომ უნდა შეიძინოს თავისი რეალური პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისი პოლიტიკური სტატუსი. ამისათვის საქართველოს უნდა შეეცვალოს შეიარაღებული აგრესიისა და ანექსიის შედეგად თავსმოხვეული უკანონო სახელი – საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

ალბათ არ არის გამართლებული ამ ეტაპზე გამოცხადდეს საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია. მსოფლიო პოლიტიკა დამოუკიდებლად სცნობს ქვეყანას მხოლოდ შემდეგი პირობების იურიდიული და ფაქტიური შესრულების შემთხვევაში: ა) ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ აშკარად გამოხატული ნება.

ბ) ქვეყნის ტერიტორიის იურიდიულად დადგენილი საზღვრები და  
 გ) ქვეყნის დამოუკიდებელი მთავრობის სრული სუვერენიტეტი  
 (კონტროლი) მის მთელ ტერიტორიაზე.

ამ პირობათა შეუსრულებლობა ართულებს ლიტვის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ცნობას იმ სახელმწიფოებშიც კი, რომლებსაც ბალტიის ქვეყნები არასდროს უღიარებიათ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. მით უფრო გაჭირდება საქართველოს მიერ გამოცხადებული დამოუკიდებლობის დეკლარაციის მსოფლიო აღიარება. საქ. დამოუკიდებლობის დეკლარაცია უნდა გამოაცხადოს გარდამავალი პერიოდის დროებითმა ხელისუფლებამ ზემოჩამოთვლილი პირობების შესრულების შემდგომ (და არა საქ. ს. ს. რესპუბლიკის ერთპარტიულმა – კომუნისტურმა ე. წ. უზენაესმა საბჭომ), რის შემდგომაც უნდა დაინიშნოს დამოუკიდებელი საქართველოს საყოველთაო დემოკრატიული თავისუფალი არჩევნები. ამასთან, ქვეყნის სახელწოდების შეცვლა (ბუნებრივია, შეიცვლება სახელმწიფო სიმბოლიკაც), ფაქტობრივად ნიშნავს გარდამავალი პერიოდის იურიდიულ დამტკიცებას, რადგან საქ. რესპუბლიკა – არა საბჭოთა და არასოციალისტური – იურიდიულად ვერ ჩაითვლება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში მყოფად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დამოუკიდებლობის დეკლარაციის ამ ეტაპზე არგამოცხადება ალბათ ნაკლებ რეალურს გახდის საბჭოთა კავშირის მხრიდან საქ. ეკონომიკურ ბლოკადას, რაც დღევანდელი საქ. ეკონომიკის სავალალო მდგომარეობიდან გამომდინარე თვითმიზნად არ უნდა დავისახოთ.

2. უნდა შეჩერდეს საბჭოთა კავშირის ანტიკომუნური, არადემოკრატიული კონსტიტუციის მოქმედება ს. მთელ ტერიტორიაზე.

3. ს. საბჭოური კონსტიტუციის მოქმედების შეჩერება, დროებითი კონსტიტუციის შემუშავება, 1921 წ. კონსტიტუციის დაბრუნება თუ საკანონმდებლო აქტებით ქვეყნის მართვა გარდამავალი პერიოდის დროებითი მთავრობის პრეროგატივად უნდა ჩაითვალოს.

ამ პირობების შესრულება არსებული ხელისუფლებისაგან რეალურად არის შესაძლებელი, რადგან ისინი ლოგიკურად არ ეწინააღმდეგებიან მისსავე მიერ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებს. ამდენად მათი არგანხორციელება არსებული მმართველობის მხრიდან ჩაითვლება მხოლოდ როგორც მორიგი აღსრულება ცენტრალური საოკუპაციო ხელისუფლების დიქტატისა, რასაც, ამ კონცეფციის მიღების შემთხვევაში, ქართველი ერი მძლავრი საპროტესტო გამოსვლებით უნდა



დაუპირისპირდეს.

ზემოთ აღნიშნულ პირობათა შესრულების შემდეგ შეიძლება შეიქმნას კომისიები, რომლებიც უზრუნველყობენ ეროვნული პოლიტიკური ძალების და საზოგადოებრიობის ერთობლივი საარჩევნო კომისია, რომელიც რეგისტრაციის შემთხვევაში შეუზღუდავად გაატარებს ყველა იმ ნამდვილ პოლიტიკურ პარტიასა და ორგანიზაციას, რომელიც წარმოადგენს ინდივიდუალურ, სხვა პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან განსხვავებულ პროგრამასა და პლატფორმას და წინააღმდეგობაში არ მოდის საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან. საარჩევნო კომისიის პრეროგატივასვე წარმოადგენს კანონიერი მოსახლეობის სტატუსის განსაზღვრა, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ოფიციალურ არასაბჭოურ არჩევნებში. რამოდენიმე თვით ადრე საქართველოში არსებულ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას საშუალება მიეცეს ერთნაირ პირობებში აწარმოოს წინასაარჩევნო კამპანია. გარდამავალი პერიოდის დროებითი ხელისუფლების არჩევნების პარალელურად უნდა გაუქმდეს დე ფაქტოდ არსებული ე. წ. უზენაესი საბჭო.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია საქ. კომუნისტური პარტია, რომელიც საკავშირო კომუნისტური პარტიის ნაწილს წარმოადგენს, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით ნებისმიერ ქვეყანაში მოქმედებენ მხოლოდ და მხოლოდ ის პარტიები, რომლებიც არ ქადაგებენ ძალადობას, ფაშიზმს, რასიზმს და არ ექვემდებარებიან უცხო ქვეყნის პარტიებს და ორგანიზაციებს. ამდენად, ქართველ კომუნისტთა ოფიციალურ არასაბჭოურ არჩევნებში მონაწილეობა შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ თუ ისინი ორგანიზაციულად არ დაექვემდებარებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას.

გარდამავალი პერიოდის უმაღლესი ხელისუფლების მთავარ დანიშნულებას უნდა წარმოადგენდეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის სამართლებრივი საფუძვლების მომზადება.

**საქართველოს ჰელსინკის კავშირის სახელით:** ზვიად გამსახურდია, გიორგი მარჯანიშვილი, ავთანდილ რცხილაძე, თემურ ქორიძე.

**წმინდა ილია მართლის საზოგადოების სახელით:** თედო პაატაშვილი, მერაბ ურიდია, გელა ჩორგოლაშვილი, თამაზ გველესიანი.

**საქ. მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის სახელით:** თემურ ჟორჟოლიანი, აკაკი ასათიანი, გია ხონელიძე, თენგიზ კიტოვანი.



სრულიად საქ. მერაბ კოსტავას საზოგადოების სახელით: ადამია, ჯემალ გოლეთიანი, ნუგზარ მოლოდინაშვილი, დავით კუპრეიშვილი.

ს. მწვანეთა პარტიის სახელით: ზურაბ უვანია, გიორგი ბარამიძე.

ს. ფედერალურ-რესპუბლიკური პარტიის სახელით: ირაკლი შენგელაია, დავით მარღანიძე.

მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფების საკოორდინაციო კოლეგიის სახელით: თენგიზ სიგუა, ვახტანგ ბახტაძე, გიზო კორძაძე, ზვიად ბოკუჩავა, თენგიზ დიხამინჯია, ალექო მელაძე, გიორგი ხავთასი.

თბილისი, 1990 წლის 12 მაისი.

(გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“ 15 მაისი 1990.)

\*\*\*

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

„მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკური კონცეფციის თაობაზე

ეროვნული ფორუმიდან რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაციის გასვლის შემდეგ დარჩენილმა უმრავლესობამ ფორუმს გარეთ არსებულ ოპოზიციურ ეროვნულ ორგანიზაციებთან ერთად შექმნეს საკოორდინაციო ცენტრი. მასში ფაქტიურად გაერთიანდა ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობაში ჩაბმული ძალების აბსოლუტური უმრავლესობა, ზოგიერთ პრინციპულ საკითხზე პოზიციათა სხვადასხვაობის მიუხედავად. ამგვარი პრინციპით გაერთიანებამ რეალურ გზაზე დააყენა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კონსოლიდაციისა და კოორდინირებული მოქმედების აქამდე მიუღწეველი საქმე. ისახება პერსპექტივა იმისა, რომ საქართველოში არსებული მწვავე პრობლემები და, საერთოდ, ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი გადაიჭრება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში საქართველოს მთელი ინტელექტუალური პოტენციალის ჩართვით და მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების საფუძველზე.

ეროვნული ფორუმიდან გასულმა ორგანიზაციებმა შექმნეს პოლიტიკური ალიანსი, რომელიც გამოდის „მრგვალი მაგიდის“ სახელით. „მ. მაგიდის“ მუშაობაში მონაწილეობენ აგრეთვე, როგორც მათ მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებშია აღნიშნული, „მოწვეული სტ-





უმრები“. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ისეთი წარმომადგენლობითი ორგანოს გვერდით, როგორცაა საკოორდინაციო ცენტრი, „მრგვალი მაგიდის“ არსებობა, რომელიც ამ მოძრაობის უმნიშვნელო ნაწილია, გარკვეულად გამართლებული იქნებოდა, რომ იგი კონსტრუქციულ წინადადებებს იძლეოდას ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციისა და ეროვნული მოძრაობის კარდინალური საკითხების შესახებ. როგორც ერთი, ისე მეორე შემთხვევაში „მრგვალი მაგიდა“ ვერაფერს კონსტრუქციულს ვერ გვთავაზობს, პირიქით ...

ჯერ ეროვნული ძალების კონსოლიდაციის შესახებ. ეროვნული ძალების კონსოლიდაციის პრინციპი თავისთავად ირღვევა ამ ორგანიზაციების ფორუმებიდან გასვლით და „მრგვალი მაგიდის“ შექმნით, მაგრამ ეს არ იქნებოდა ასე საგანგაშო, რომ „მრგვალი მაგიდის“ სპიკერი ბ-ნი ზვიად გამსახურდია იცავდეს ეთიკურ ნორმებს და თავს არ ესხმოდას ფორუმში დარჩენილებსა და სხვა პოლიტიკურ ოპოზიციურ ორგანიზაციებს, რაც კონსოლიდაციის თვალსაზრისით ყოველად დაუშვებელია.

„პოლიტიკური კონცეპცია“ აყენებს ოფიციალური „არასაბჭოთა“ არჩევნების ჩატარების იდეას, მაგრამ ამისათვის აუცილებლად მიაჩნია რამდენიმე წინაპირობის შესრულება. კერძოდ: **1.** „საქ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“ უნდა შეიცვალოს „საქართველოს რესპუბლიკად, ე. ი. ჩამოშორდეს „საბჭოთა სოციალისტური“, რაც კონცეპციის ავტორთა სიტყვით, „ფაქტობრივად ნიშნავს გარდამავალი პერიოდის იურიდიულ დამტკიცებას, რადგან საქ. რესპუბლიკა – არასაბჭოთა და არასოციალისტური – იურიდიულად ვეღარ ჩაითვლება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობაში მყოფად“ **2.** უნდა შეჩერდეს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მოქმედება საქართველოს მიერ ტერიტორიაზე; **3.** საქ. საბჭოთა კონსტიტუცია უნდა შეაჩეროს და **1921** წლის კონსტიტუცია უნდა დააბრუნოს, ან საკანონმდებლო აქტებით ქვეყანა მართოს გარდამავალი პერიოდის დროებითმა მთავრობამ.

ამ სამი წინაპირობის შესრულების შემდეგ უნდა დაინიშნოს ის საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები, რომლითაც შეიქმნება „გარდამავალი პერიოდის დროებითი ხელისუფლება“.

სახელის(შესაბამისად სიმბოლიკის) გამოცვლა, კონსტიტუციის შეჩერება გარეგნული ფორმით თითქოს იდენტურია იმ გადაწყვეტილებების, რომლებიც კანონის სახით მიღებულ იქნა ესტონეთში რვა

\*\*\*\*\*



მაისს, მაგრამ აქ არის ერთი უმნიშვნელოვანესი შინაარსობრივი განსხვავება: ესტონეთში ამ კანონებს იღებს ხელისუფლების ორგანო, რომელშიც არჩევნების შედეგად კომუნისტები უმცირესობაში აღმოჩნდნენ. ეს ორგანო შეთანხმებულად მოქმედებს ესტონეთის კონგრესთან და ყოველივე ამის საფუძველზე აქვს შესაბამისი მორალური და პროფესიული კომპეტენცია, რაც აუცილებელია მოსკოვის შინააღმდეგობის დასაძლევად. არც ერთი ზემოჩამოთვლილი ღირსებათაგანი ჩვენს დღევანდელ უზენაეს საბჭოს (რომლის სახელის შეცვლასაც გვთავაზობენ კონცეფციის ავტორები) არ გააჩნია. გაუგებარია, წარმოდგენილი კონცეფციის ავტორებს არ სურდათ, რომ ამ კონცეფციით გათვალისწინებული ღონისძიებები ხალხის მიერ არჩეულ თუნდაც ნაწილობრივ ოპოზიციურ ორგანოს, გაეტარებია ცხოვრებაში, ამავე დროს კი მზად არიან იმისთვის, რომ ეს გააკეთოს არა ქართველი ერის მიერ არჩეულმა, არამედ ნამდვილად დანიშნულმა კომუნისტურმა ორგანომ.

ვფიქრობთ, ელემენტარული ჰუმანიტებაა, რომ სტატუსის რეალურ ცვლილებას განაპირობებს არა სახელის გადარქმევა, არამედ ერთი ძალაუფლების შეცვლა პრინციპულად სხვა არსის მქონეთი. სახელის გადარქმევა უამისოდ არის მხოლოდ უღირსი ფალსიფიკაცია, ქართველი ერისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის შეცდომაში შეყვანის ცდა, რამეთუ ასეთი „რესპუბლიკა“ ძველებურად საბჭოთა იქნება, მასში ხომ დემოკრატიულ არჩევნებზე დაფუძნებული ხელისუფლების ცვლილება არ მომხდარა და არჩევნები მხოლოდ შემდეგაა დაგეგმილი. ვინ იღგება ხელისუფლების სათავეში „არასაბჭოთა“ რესპუბლიკაში“ და ვინ უნდა განახორციელოს ეს ვითომდაც „არასაბჭოთა არჩევნები“? „პოლიტიკურ კონცეფციაში“ ეს საკითხი განგებ გაბუნდოვანებულია, მაგრამ კონტექსტიდან გამომდინარეობს, რომ ეს უნდა იყოს ან სრულიად კომუნისტური ძველი უზენაესი საბჭო, ან გარდამავალი მთავრობა.

ახლა ის ვიკითხოთ, რომელ გარდამავალ მთავრობაზეა საუბარი? არჩევნები ჯერ არ ჩატარებულა, ე. ი. ძალაუფლების დე იურე ერთადერთ წყაროდ (კონცეფციის ავტორები ხომ სწორედ ოფიციალურს, დე იურეს უსვამენ ხაზს) ისევ და ისევ ამჟამინდელი შემადგენლობის უზენაესი საბჭო, ე. ი. კრემლის ნება რჩება და სწორედ მისი ნებით იქნება ნაკურთხი „ახალი“ „გარდამავალი“ ხელისუფლება. ამგვარი კონცეფციის განხორციელება მხოლოდ მოსკოვის ძალა-



უფლების შენარჩუნებას უზრუნველყოფს საქართველოში, ხოლო ასეთ შემთხვევაში როგორი დემოკრატიული და არასაბჭოთა არჩევნები ჩატარდება, ადვილი წარმოსადგენია. ნიშანდობლივია, რომ კონცეფციის მიხედვით მასში მონაწილეობა უნდა მიიღონ „ნამდვილმა“ პოლიტიკურმა ძალებმა, ხოლო „მრგვალი მაგიდის“ სპიკერის პოზიციიდან ნამდვილი პოლიტიკური ორგანიზაცია საქართველოში მხოლოდ ისაა, რომელსაც იგი სცნობს ასეთად, ანუ ის ორგანიზაციები, რომლებსაც უშუალოდ ის უდგას სათავეში, ან მოცემულ მომენტში მათთან არიან ალიანსში; სხვაგვარად მოაზროვნეები კი – „მტრები“, „ცრუ პოლიტიკური ორგანიზაციები“, „მაფიები“ არიან.

ნათელია, რომ სახელის შეცვლას წინ უნდა უსწრებდეს ხელისუფლების თვისებრივი ცვლილება, რაც მხოლოდ ხალხის ნების გამომხატველი არჩევითი ორგანოს შექმნის გზით უნდა მოხდეს. სახელის შეცვლა კი მხოლოდ უკვე რეალურად მომხდარის გარეგნულ ასახვას უნდა წარმოადგენდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ უფლებას ვაძლევთ კრემლს ახალით მოგვევლინოს და, ამგვარად, ახალი მარიონეტული მთავრობის დიქტატორულმა მოქმედებამ მისი „პერესტროიკის“ პრესტიჟი ოდნავადაც არ შელახოს. ან რა გარანტია გვაქვს, რომ ასეთი „არასაბჭოთა“ რესპუბლიკის მთავრობა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას არ დადებს განახლებულ იმპერიასთან?

საინტერესოა კონცეფციის ერთი ფრაზა, რომელიც ე. წ. „გარდამავალ პერიოდს“ შეეხება: „ყოვლად დაუშვებელია საოცრად დინამიურ, გარდამავალ პერიოდში ისეთი მოქმედება, რომელიც ერისა და ქვეყნის ინტერესებიდან არ გამომდინარეობს...“ კონცეფციის ავტორები ცდილობენ შეაპარონ მკითხველს ძლიერი ხელის საჭიროება, რაც ტოტალიტარიზმის გარკვეული სახეცვლილებით იქნება მიღებული და შესაძლებლობას შექმნის „ქვეყნის ინტერესების“ განსაზღვრის პრეროგატივა ახლადგამომცხვარმა დიქტატორმა მიითვისოს. ამით საქართველო კარგა ხნით დაიშორებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პერსპექტივას. თანაც ისმის კითხვა: რატომ არ წამოაყენეს „მრგვალი მაგიდის“ ორგანიზაციებმა ეს კონცეფცია ფორუმში ყოფნისას, არამედ ეროვნული ერთობის საზიანოდ დატოვეს ფორუმი? ანდა ახლა, როცა სხვადასხვა პოლიტიკურ პოზიციაზე მდგომი ორგანიზაციები საკოორდინაციო ცენტრში ათანხმებენ თავიანთ მოქმედებებს, რატომ რჩება „მრგვალი მაგიდა“ ასეთი თანამშრომლობის გარეშე? ამის ნაცვლად 17 მაისის „ახალგაზრდა ივერიელში“ ზვიად

\*\*\*\*\*

გამსახურდია ფორუმში დარჩენილ ორგანიზაციებსა და პირებს სხვა დასხვა ცილისწამებლური ეპითეტით ამკობს. იგი, ან ნებისმიერი სხვა პირი ვერ დაამტკიცებს ფორუმის წევრთა უზნებობას, ტერორისტობასა თუ კორუმპირებულებას. ეროვნულ ფორუმში გაერთიანებული პირები და ორგანიზაციები მოითხოვენ ამ ბრალდებების დამტკიცებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ზ. გამსახურდიას დაეკისრება მორალურ-პოლიტიკური პასუხისმგებლობა ამ ცილისწამების გამო. მსგავსი ცილისწამებები მხოლოდ და მხოლოდ ამზადებენ ნიადაგს იმ სამოქალაქო ომისათვის, რაზეც ასე ხშირად უყვართ ლაპარაკი „მრგვალი მაგიდის“ წევრებს და რომელსაც ეროვნული ფორუმი, საკოორდინაციო ცენტრი არ დაუშვებს.

17 მაისი, 1990 წელი, თბილისი.

ეროვნულ ფორუმსა და საკოორდინაციო ცენტრში გაერთიანებული 41 პოლიტიკური პარტია, საზოგადოება, კავშირი, კერძო პირი.

(გაზეთი „თბილისი“, 19 მაისი, 1990 წელი)

\*\*\*

ეროვნული ფორუმისა და საკოორდინაციო ცენტრის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(ოდნავი შემოკლებით)

ა. წ. 22 მაისს „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნდა ე. წ. მრგვალი მაგიდის განცხადება, რომელიც ეროვნული ფორუმის საწინააღმდეგო მორიგ პასკვილად შეიძლება აღიქვას მკითხველმა.

„მაგიდა“ აცხადებს რომ „ფორუმის გადაწყვეტილება ყრილობის მოწვევის შესახებ უნდა ჩაითვალოს თვითნებურად და არამართლზომიერად“, რადგანაც „მრგვალი მაგიდა ე. წ. ეროვნულ ფორუმს მიიჩნევს დაშლილად...“ რატომ? რა მოტივით მიაჩნია „მრგვალ მაგიდას“ ფორუმი დაშლილად და ეროვნული ყრილობის მოწვევა თვითნებურად და არამართლზომიერად? ფორუმი მის წევრთა ნახევარმა უკვე დატოვა და ორი მესამედით არ არის გადაწყვეტილება ყრილობის მოწვევის შესახებ მიღებულიო, აცხადებს „მაგიდა“. ჯერ ერთი ფორუმი მისი შემადგენლობის ნახევარმა კი არა, მცირე ნაწილმა დატოვა. მეორეც, „ორ მესამედში“ უკვე არსებულის ორი მესამედი იტულისხმება და არა ფორუმიდან გასულებიც, რადგან ფორუმიდან გასული აღარ არის ფორუმის წევრი და წესდების მუხლები მასზე



არ ვრცელდება. არ უნდა დაგვაფიწყდეს ისიც, რომ ეროვნულ ყრილობას იწვევს არა მარტო ფორუმი, არამედ საკოორდინაციო ცენტრიც, რომელიც ორმოცზე მეტ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ფაქტიურად მთელ ეროვნულ მოძრაობას აერთიანებს.

„მრგვალი მაგიდა“ ადანაშაულებს ეროვნულ ფორუმს, რომ მან თურმე „როდიონოვი, ნიკოლსკი და პატიაშვილიც“ მოიწვია ყრილობაზე? ეს სიცრუეა, არც ერთი მათგანი არ მოგვიწვევია ყრილობაზე. ეროვნულ ყრილობაზე ჩვენ მოვიწვიეთ ე. წ. საკავშირო და რესპუბლიკური უმაღლესი საბჭოების ქართველი დეპუტატები და ესეც არა იმიტომ, რომ შეუთრგებელი ოპოზიცია და უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ერთ აზრზე დგანან, უბრალოდ, რადგანაც ეს არის ეროვნული ყრილობა, საჭიროა ყრილობამ მოისმინოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატების აზრიც. ან რატომ „უკვირთ“ „ჰეირათისა“ და „აიდგილარას“ ეროვნულ ყრილობაზე მოწვევა? განა არ გვირჩევენია, რომ კონფლიქტები სისხლისღვრით კი არა, დიალოგით გადაწყდეს? მაშ რა მიზნით მიიღო ზვიად გამსახურდიამ კოლხურ კომპოში „აიდგილარას დეპუტაცია? ეროვნული ფორუმი „აიდგილარას“ კი არ ეთანხმება, არამედ გვინდა თუ არ გვინდა, „აიდგილარა არის რეალური ძალა აფხაზეთში და მას ანგარიში უნდა გაეწიოს: ქართულ მოსახლეობას „აიდგილარასაგან“ საფრთხე არ უნდა ემუქრებოდეს, აი ეს უნდა ფორუმს! „მრგვალი მაგიდას“ მკითხველის შეცდომაში შეყვანა აქვს განზრახული და აცხადებს, ფორუმი მწერალთა კავშირში მოვიწვიეთ და არ გამოცხადდაო.

უნდა განვაცხადოთ, რომ დიალოგი შეიძლება შედგეს მხოლოდ მაშინ, როცა საწინააღმდეგო მხარეს იარღიყებს არ აკერებენ, შეუტაცხოფას არ აყენებენ და მართლა მთელი გულით გასურს დიალოგი.

22 მაისი 1990 წელი.

ეროვნული ფორუმი და საკოორდინაციო ცენტრი

\*\*\*

ე რ ო ვ ნ უ ლ ი ყ რ ი ლ ო ბ ა

1990 წლის 23 -25 მაისს გაიმართა საქართველოს ეროვნული ყრილობა. მონაწილეობდნენ პოლიტიკური პარტიების, ორგანიზაციების, შემოქმედებითი კავშირების, სასწავლო დაწესებულებების თუ წარმოება-დაწესებულებების დელეგატები. ყრილობა აკურთხა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა





ილა მეორემ. ძირითად საკითხი იყო ეროვნული კონგრესის არჩევნების აუცილებლობა. ყრილობამ მიიღო რამდენიმე რეზოლუცია და კანონპროექტი.“ (საქ. სახ. ფრონტის ორგანო „საქართველო“ № 10)

**განმარტება:** ეროვნული ყრილობის მთავარი ღონისძიება იყო: საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრის შექმნა, რომელმაც ეროვნული კონგრესის დემოკრატიული არჩევნები უნდა მოაწყო. გ უ შ ა გ ი.

\*\*\*

„ს ა ქ. ე რ ო ვ ნ უ ლ ი კ ო ნ გ რ ე ს ი ს ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი  
1990 წ. 30 სექტ. ს. ეროვნული კონგრესის არჩევნების დღეა

1990 წლის 29 მაისს საქ. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბბინაში (შოთა რუსთაველის გამზირი № 29) გაიმართა ს. ერ. განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრის პირველი სხდომა. როგორც ცნობილია, ს. ერ. ყრილობის საკოორდინაციო ცენტრი არჩეულ იქნა, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროებითი ხელმძღვანელი და მკოორდინებელი ორგანო, რომელიც იფუნქციონირებს საქ. ეროვნულ კონგრესის არჩევნებამდე. საკოორდინაციო ცენტრის პირველ სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი წერეთელი.

სიტყვებით გამოვიდნენ: გურამ ბერიშვილი (თბილისის პოლიტიკური კლუბი), თენგიზ შარმანაშვილი (ს. დემოკრატიული პარტია), მამუკა გიორგაძე (ს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია), დავით გამყრელიძე (ს. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი), ვიქტორ რცხილაძე (წმ. დავით აღმაშენებლის ქრისტიანთა კავშირი), აკაკი ვასაძე (მწერალთა კავშირი), გიორგი ჟორჯოლიანი (თბ. პოლიტიკური კლუბი), ალექსანდრე რუსეკი (ასოციაცია ეროვნული თანხმობა), თენგიზ კიკალიშვილი (მხატვართა კავშირი), დავით ზოდელავა (პროგრესულ-დემოკრატიული პარტია), ჯაბა იოსელიანი (ს. მხედრიონი), და სხ. სხდომის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ აკადემიკოსები ლალი ჯავახიშვილი და მერაბ ალექსიძე, პროფესორი ვახტანგ გოგუაძე.

სხდომაზე განისაზღვრა ს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრის შემადგენლობა. გადაწყდა, რომ ს. ეროვნული კონგრესის ცენტრალური საარჩევნო კომისიის არჩევა და დამტკიცება მოხდეს პარასკევს, 1990 წ. 1 ივნისს. არჩეულ იქნა სა-

კოორდინაციო ცენტრის სარედაქციო კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: დავით ზოდელავა, გიორგი თვალავაძე, ბადრი მამუკაშვილი, ლევან მესხი, გელა ნიკოლაიშვილი, გიორგი ჟორჯიანი, თენგიზ შარმანაშვილი, ირაკლი წერეთელი, ილია ხაინდრავა.

ს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრმა მიიღო გადაწყვეტილება: იმ შემთხვევაში თუ ადგილი

ექნება საქართველოში ე. წ. მესხეთელი თურქების მასობრივ შემოსახლებას, რაც უდიდეს, შეიძლება ითქვას, მომაკვდინებელ დარტყმას მიაყენებს ქართველი ერის დემოგრაფიულ მდგომარეობას, მაშინ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრი იძულებული გახდება სრულიად საქართველოს მასშტაბით გამოაცხადოს საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობა საქართველოს დეოკუპაციისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით. საკოორდინაციო ცენტრმა გამოყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა უმოკლეს ვადაში დაადგინოს ზუსტი ვითარება აღნიშნული საკითხის გარშემო.

ს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრის მეორე სხდომა დაინიშნა პარასკევს 1 ივნისს, განისაზღვრა დღის წესრიგი: რეგლამენტის დადგენა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის დამტკიცება, ს. ეროვნული კონგრესის ფონდის შექმნა, ს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრის საინფორმაციო სამსახურის შექმნა, მიმდინარე საკითხების განხილვა.

სხდომის დასასრულს საკოორდინაციო ცენტრის წარმომადგენლები გია ჟორჯიანი, თენგიზ შარმანაშვილი, გუდა აფაქიძე, ირაკლი წერეთელი და გურამ ბერიშვილი შეხვედენ და ესაუბრნენ საფრანგეთში მცხოვრებ თანამემამულეს, საქმიანი წრეების გაგლენიან წარმომადგენელს რამაზ პაპუაშვილს, რომელმაც ახლახანს პარიზში ჩამოაყალიბა საქართველოს კულტურული და ეკონომიკური მოდერნიზაციის საბჭო. რამაზ პაპუაშვილმა მოიწონა ს. ე. განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციისა და ეროვნული ყრილობის გადაწყვეტილება საქ. ეროვნული კონგრესის არჩევის შესახებ. “

აქვე განცხადებულია, რომ საკოორდინაციო ცენტრის წარმომადგენლებს დაგეგმილი აქვთ მოაწიონ შეხვედრა: 4 ივნისს მხატვრებთან და 6 ივნისს თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტ-პედაგოგებთან იმ მიზნით, რომ მათ მხარი დაუჭირონ ეროვნული კონგრესის არჩევნებს. “

\*\*\*\*\*

„ს. ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის მრავალპარტიული პოლიტიკური ორგანიზაციათა და წევრთა შიშა-რთვა ქართველი ერისადმი და მსოფლიო საზოგადოებასადმი“

პოლიტიკური პროცესები, რომლებიც საქართველოში მიმდინარეობს, იძლევა იმის გარანტიას, რომ ახლო მომავალში ს. ადიდგენს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და აღსრულდება ქართველი ერის ნება. დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე დიდი დაბრკოლება ამ გზაზე არის დემოგრაფიული ექსპანსიის გაძლიერება, რომელიც მთელი სიმძაფრით აისახა ე. წ. თურქი მესხების საქართველოში რეპატრირაციის საკითხის დაყენებით. ქართველმა ერმა ერთსულოვნად და საყოველთაოდ გამოხატა თავისი დამოკიდებულება – ამ პრობლემის სრული გადაჭრა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პრეროგატივად ჩათვლილიყო. დღესდღეობით მისი მოწესრიგების არავითარი პირობები არ არსებობს. მიუხედავად ამისა, ცენტრი აგრძელებს თავისი გეგმების მიზანდასახულ განხორციელებას, რაც აისახა ქართველი ერის საწინააღმდეგო, მადისკრიმინირებულ დადგენილებაში, რომელიც მიიღო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ნაციონალური პოლიტიკისა და ეროვნებათაშორისო ურთიერთობის კომისიამ. აღნიშნული დადგენილება ფაქტიურად ხელფებს უხსნის ნახევარ მილიონამდე თურქს საქართველოს ტერიტორიის უკანონოდ დაკავებაში. საბჭ. კავშირის პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილ განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ ორგანიზაცია „ბატანი“-ს ლიდერები (რ. სარგაროვი, რ. საიდოვი და სხ.), ულტიმატუმის სახით დაყენებულია მოთხოვნა, თუ აღნიშნული დადგენილების მუხლები არ იქნება დაკმაყოფილებული ა. წ. 1 მაისამდე, საბჭოთა თურქები იწყებენ მთელი შემადგენლობით „მშვიდობიან“ ტოტალურ სვლას საქართველოსაკენ. თუ რას უქადის ამ ურდოს შემოჭრა საქართველოს, ძნელი წარმოსადგენი არაა. როგორც ახლახანს ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამ მუქარის აღსრულება უახლოეს ხანშია მოსალოდნელი. ე. წ. „თურქ-მესხთა“ ძირითადი არგუმენტია“ ის, თითქოს მესხეთი არის მათი ისტორიული სამშობლო. ჩვენ ვაცხადებთ, რომ თურქთა ისტორიული სამშობლო თურქეთია და არა მესხეთი, რომ მესხეთში მათი დამკვიდრება იყო ოკუპაციის შედეგი, ამდენად, ეს მოსახლეობა მუდამ უკანონოდ იყო ამ მხარეში. სსრკ მთავრობამ უკანონოდ მი-

იჩნია დებორტირებულ ვოლგისპირეთის გერმანელთა მოთხოვნა და აზიიდან კვლავ ვოლგისპირეთში დაბრუნებისა, თანაც განმარტა, რომ გერმანელთა ისტორიული სამშობლო გერმანიაა და არა ვოლგისპირეთი. ასევე უნდა განვაცხადოთ ჩვენ, რომ უკანონოა მესხეთის გამოცხადება თურქთა ისტორიულ სამშობლოდ.

ამ ვითარების გათვალისწინებით, ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების წაყრუება და ღუმილი ამ საკირობო საკითხთან დაკავშირებით.

მრგვალი მაგიდის წევრი ორგანიზაციები და მასში შემავალი პიროვნებები კატეგორიულად მოითხოვენ საქ. დღევანდელი ხელისუფლებისაგან: **1.** ოფიციალურად იქნეს აღიარებული და მიეცეს პოლიტიკური შეფასება ეროვნებათშორისო კომისიის აღნიშნულ დადგენილებას. **2.** დაგმოხილ იქნეს საქ. საზოგადოებრიობის გვერდის ავლით მოსკოვსა და ანკარას შორის არსებული მოლაპარაკებები ამ საკითხთან დაკავშირებით. **3.** კატეგორიულად მოეთხოვოს საკავშირო და რესპუბლიკურ მთავრობებს არ დაუშვან თურქთა მრავალთასიანი არმიის თავისუფალი გადაადგილება მათსავე ტერიტორიაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლო შედეგების მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება საკავშირო მთავრობას.

ამ მოთხოვნების დაუქმყოფილებლობა ს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მასში შემავალი ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ აღიქმება, როგორც ღალატი ქართ. ერის სასიცოცხლო ინტერესებისადმი. ამ შემთხვევაში საქ. ერ. განთავისუფლების მოძრაობა მიმართავს პოლიტიკური ბრძოლის უკიდურეს ფორმას — მოუწოდებს ქართ. ერს სრული ორგანიზებული დაუმორჩილებლობისაკენ.

ჩვენი ღრმა რწმენით მრავალტანჯული ქართ. ერი ამ ექსტრემალურ ვითარებაშიც გამოიჩენს მაღალ ეროვნულ, მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას მოსალოდნელი არანახული საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

საქ — ს ჰელსინკის კავშირი, მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია, წმ. ილია მართლის საზ — ბა, სრ. საქ. მერაბ კოსტავას საზ — ბა, მ. მაგიდის მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფების საკოორდინაციო კოლეგია.

თბილისი, 1990 წ. 25 მაისი“  
 („თბილისი“ 29 მაისი 1990 წ.)

\*\*\*\*\*



გაზ. „თბილისი“-ს რედაქციის აგან:

ე. წ. „თურქი მესხების“ პრობლემა ბოლო დროს უკიდურესად იძაბა. ის ამბავი, რომ მათმა წარმომადგენლებმა ოფიციალურად განაცხადეს, საქართველო ჩვენი სამშობლოა და იქ უნდა დავსახლდეთო, ხოლო ცენტრალურ ხელმძღვანელობას ამაზე არავითარი რეაგირება არ მოუხდენია, მრავლისმეტყველია. ახლა, ჩანს, იდგმება მორიგი, უაღრესად სახიფათო და მოსალოდნელი შედეგებით გაუთვალისწინებელი ნაბიჯი – ათიათასობით „თურქი მესხის“ „მშვიდობიანი“ სვლა საქართველოსაკენ.

საქართ. მთავრობას არაერთხელ გამოუთქვამს მტკიცე აზრი, რომ ჩვენს რესპუბლიკაში „თურქი მესხების“ ჩამოსახლება დაუშვებელია, რასაც იზიარებს და მხარს უჭერს მთელი ქართველი ხალხი. როგორც ვხედავთ, ახლა დგება რეალური, კონკრეტული ღონისძიებების ხორც-შესხმის დრო.

მთელმა მსოფლიომ მკაცრად დაგმო თავაწყვეტილ თურქმენ ექსტრემისტთა ველურობა (მათს მოქმედებას სხვაგვარად ვერ შევაფასებთ) თურქმენეთში მცხოვრები „თურქი მესხების“ წინააღმდეგ, რომლებიც იძულებული გახდნენ აყრილიყვნენ თავიანთი სამოსახლოდან და სხვაგან ეძებნათ თავშესაფარი. მას შემდეგ განვითარებული მოვლენები, კერძოდ, წაყრუება თურქმენეთში მომხდარი მასობრივი ქლეტისა და დარბევების მიმართ, ობიექტურად მოწმობენ მოძალადეთა გამარჯვებას. ეს ჩვენი დროის პარადოქსიაა, რომელიც შორს მიმავალ დასკვნებს გვიკარნახებს.

\*\*\*

პ რ ე ს ი ს კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა ზ ე

პ ა რ ი ზ შ ი 7 ივნისი 1990.

საფრანგეთში ქართული სათვისტომოს გამგეობის  
წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ი თ ი ს ი ტ ყ ვ ა

როგორც ბევრი სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკა, საქართველო ამჟამად იმყოფება უყურესად მღელვარე და მშფოთვარე პერიოდში.

მცირე ხნის დამოუკიდებლობის (1918 - 1921) შემდეგ ძალით იქნა საქართველო შეყვანილი საბჭოთა კავშირში. მისი ანექსიის შემდეგ საქართველომ იცის მრავალი აჯანყება თუ მანიფესტაცია,





რომლის მიზანიც იყო ქართული ენის, ტრადიციების და ეროვნული განსაკუთრებულობის დაცვა.

1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი რეპრესიების შემდეგ ადგილი აქვს ქართული საზოგადოებრივი აზრის რადიკალიზაციას და, სსრკ საყოველთაო რღვევის პირობებში, ძალიან ბევრი მოძრაობები გამოჩნდნენ დღის სინათლეზე.

ამ მთავარი პოლიტიკური პარტიების და მოძრაობების წარმომადგენლები იმყოფებიან დღეს პარიზში იმისთვის, რომ ინფორმაცია მიაწოდონ საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრს.

თუ სტრატეგიასა და საშუალებებში ვერ თანხმდებიან ქართველი ოპოზიციონერები, საბოლოო მიზანში, საქართველოს დამოუკიდებლობაში, ყველა ერთად იყრის თავს და მათ მხარს უჭერს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა.

საფრანგეთი, რომელმაც 1920 -ან წლებში კარი გაუღო და თავშეშადარი მისცა საბჭოთა უკუპაციას გამოქვეყნულ თითქმის მთელ ქართულ ეროვნულ ემიგრაციას, აირჩია ქართულმა ეროვნულმა ოპოზიციამ, რომ წამოს და აზრი გამოთქვას საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელ მდგომარეობაზე და სამომავლო პერსპექტივებზე.

\*

ე რ ო ვ ნ უ ლ ი   გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს   მ ო ძ რ ა ო ბ ა  
ს ა კ ო ო რ დ ი ნ ა ც ი ო   ც ე ნ ტ რ ი ს   მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი

### პრეამბულა

1990 წლის 23, 24 და 25 მაისს, თბილისში, მიმდინარეობდა „ეროვნული კრება“, რომელშიც მონაწილეობდა ექვსი ათასი დელეგატი რამდენიმე ასეული პოლიტიკური, რეგიონული, კულტურული, სამეცნიერო, სოციალური, ეთნიური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ამ დელეგატებმა, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის დაჯერებული მომხრენი არიან, თითქმის ერთხმად ხმა მისცენ:

– „ეროვნული კონგრესის“ შექმნას, რომელიც არჩეული იქნება



საყოველთაო კენჭის ყრით და არ შეევა საბჭოთა კონსტიტუციის კანონიერებაში.

– შეიქმნას „საკოორდინაციო ცენტრი“, პოლიტიკური პარტიების, ორგანიზაციების და საზოგადოებების წარმომადგენლებისაგან პარიტეტულ ნიადაგზე, რომელიც დროებით უხელმძღვანელებს მოძრაობას და მოაწყოებს კონგრესის არჩევნებს. გათვალისწინებულს 30 სექტემბერს 1990.

ყრილობის გადაწყვეტილებებს! ფართოდ გამოეხმაურა ქართული პრესა.

საკოორდინაციო ცენტრის წევრებმა, რომლებიც 1990 წლის ივნისში პარიზში იმყოფებიან, ხელი მოაწერეს შემდეგ

მ ა ნ ი ფ ე ს ტ ს

ვინაიდან 1921 წლიდან დაწყებული ქართველი ერი იბრძვის მისი ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის,

ვინაიდან ქართველი ერი უარყოფს ფედერაციის ან კონფედერაციის ყოველგვარ ფორმას,

ვინაიდან საქართველოს დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ბრძოლა არის არა მხოლოდ ბრძოლა თავისუფლებისათვის, არამედ აგრეთვე ქართველი ერის გადარჩენისათვის.,

ვინაიდან საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ, 1990 წლის 23, 24 და 25 მაისს, გადაწყვიტა, რომ შეიქმნეს ეროვნული კონგრესი, არჩეული საქართველოს მთელი ხალხის მიერ,

ამ მანიფესტის ხელის მომწერნი აცხადებენ:

1. რომ დამთავრდა შემოუბრუნებლად ჩვენი მოძრაობის გაერთიანების ძნელი პროცესი.
2. უარი ეთქვას საბჭოთა სტრუქტურის განახლების პოლიტიკას, საბჭოთა წესწყობილება ძალით იქნა თავს მოხვეული ქართველ ხალხზე, მოვითხოვთ მის დამსხვრევას და დემოკრატიული სახელმწიფოს შენების დაწყებას.
3. ყოველგვარი ღონისძიება იქნას განხორციელებული, რათა ეროვნული ოპოზიციის ყველა იმ ძალებმა, რომლებიც, 1990 წ. 23, 24 და 25 მაისს ეროვნულ ყრილობაში არ მონაწილეობდენ, თავი მოიყარონ მის წიაღში.
4. ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც წინ აღუდგებიან კონგრეს-

\*\*\*\*\*



სის არჩევნებს, მიჩნეული იქნან ეროვნული დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე ძალებად.

5. რომ თავისუფლება და დემოკრატია განუყოფელი არიან და რომ ყველა ცდა იმისათვის, რომ ეროვნული დამოუკიდებლობისა და ინტერესების საბაზით, არსებული ეროვნული ჩაგვრა შეიცვალოს ახალით, ძირშივე უნდა იქნეს განადგურებული.

და ბოლოს, ხელის მომწერნი იმედოვნებენ, რომ დასავლეთი, რომელიც მხურვალე დამცველია დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების, მტკიცედ დაუჭერს მხარს დემოკრატიულად არჩეულ კონგრესს და ქართველი ხალხის სამართლიან ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობის აღსადგენად.

- ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია: ვარლამ კილაძე
- ეროვნულ-დემოკრატიული პარტია: გიორგი ქანტურია
- ილია ჭავჭავაძის საზოგადოება: გუძა აფაქიძე
- თბილისის პოლიტიკური კლუბი: გურამ ბერიშვილი
- კავშირი ქრისტიან დემოკრატებისა: დავით გამყრელიძე
- დემოკრატიული პარტია: ვახტანგ ტალახაძე

\*\*\*

თ ე ვ ლ ო რ ე პ ა ა ტ ა შ ვ ი ლ ი ს გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა \*

ქ-ბო, ბ-ებო, ძვირფასნო თანამემამულენო, პირველ რიგში მინდა მოგახსენოთ მაღლობა იმისთვის, რომ საშუალება მოგვეცით პარიზში მოსვლის. ამ მოწვევას ადგილი აქვს საქართველოსთვის საბედისწერო მომენტში. მაღლობას ვუხდი აგრეთვე საფრანგეთს იმ მორალური მხარდაჭერისათვის, რომელიც მან გაუწია ქართველებს და იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც ჩვენ ვიგრძენით მოსვლისთანავე. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები მოწმობენ, რომ კომუნიზმი მის უკანასკნელ დღეებს ითვისებს და რომ ის მალე მწარე მოგონებათდა დარჩება კაცობრიობის კოლექტიურ მეხსიერებაში. იგივე დღეშია საბჭოთა იმპერიაც, რომლის რღვევის მთავარი ფაქტორია თავისუფლებისაკენ ლტოლვა იმ ერებისა, რომლებიც მან დაიპყრო.

ბალტიის ქვეყნებისაგან განსხვავებით, რომლებიც, 1940 წ. საბჭო-ჯარების შესვლის შედეგად, იძულებულნი იყვნენ ხელი მოეწერათ

\*\*\*\*\*

საბჭოთა კავშირში შესვლის ხელშეკრულებაზე, — საქართველოს ლოგალურ ხელისუფლებას არასოდეს დაუშვია, რომ რაიმე ვატიკანის მსგავს ხელშეკრულებაზე ხელი მოეწერა და მით უფრო არც სსრკ შემადგენლობაში საქართველოს რესპუბლიკის შესვლის ხელშეკრულებაზე. საბჭოთა რუსეთის ჯარების შეჭრის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ მხოლოდ დროებით შეაჩერა, 1921 წ. 17 მარტს, კონსტიტუციის მოქმედება. ამიტომ არავითარი რეალური იურიდიული დოკუმენტი არ უდევს საფუძვლად საქართველოს რესპუბლიკის ყოფნას საბჭოთა კავშირის საკუთრებაში.

ამჟამად საქართველოში არსებობს ფართო და მძლავრი ეროვნული განთავისუფლების მოძრაობა, რომელსაც მიჰყავს ქვეყანა დამოუკიდებლობისაკენ. სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ გარდუვალია და, როგორც ჩანს, არაფერს არ შეუძლია მისი შეკავება. ყველა ნიშნების მიხედვით საქართველო ფაქტიურად უკვე იმყოფება „გარდამავალ პერიოდში“, რომელიც დამოუკიდებლობით და ეროვნული თვითხელმწიფებით დასრულდება.

დღეს საქართველოში სამი მთავარი პოლიტიკური მიმართულებაა: მრგვალი მაგიდა, ეროვნული ფორუმი, ლიბერალური ოპოზიცია. მრგვალი მაგიდის ირგვლივ გაერთიანებულმა პოლიტიკურმა მოძრაობებმა, პარტიებმა და ორგანიზაციებმა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ერთი საერთო სტრატეგია მიიღეს. ესენი არიან:

პელსინკის კავშირი, ილია მართლის საზოგადოება, მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია, მერაბ კოსტავას საზოგადოება, მწვანეთა მოძრაობა და რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია;

მრგვალი მაგიდის მთავარი პრინციპი გამოიხატება ლეგალიზაციის პროცესში, რომელიც გარდამავალი პერიოდიდან ქვეყანას მიიყვანს დამოუკიდებლობამდე. პირველ რიგში უნდა შეიცვალოს საქართველოს სსრ სახელწოდება, რომელიც დაპყრობის შემდეგ უკანონოდ დაარქვა მას დამპყრობელმა (ამასთან უნდა შეიცვალოს ყველა სიმბოლიკა, რომელიც გვაგონებს სსრკ - ში ყოფნას.) ეს ცვლილებები ლეგალურმა ხელისუფლებამ, ე. ი. უმაღლესმა საბჭომ უნდა მოახდინოს ფაქტიურად. ამის შემდეგ არასაბჭოთა და არასოციალისტური საქართველო აღარ შეიძლება ჩაითვალოს სსრკ შემადგენელ ნაწილად და შემდეგ, ლოგიკურად, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო რესპუბლიკის აღარ შეიძლება იყოს უზენაესი საბჭო.

„გარდამავალი ხანის“ დროს, რომელიც უაღრესად კრიტიკული იქ-

ნება, საჭიროა შეიქმნას ხელისუფლების ორგანო, რომელიც მოსახლეობის რაც კი შეიძლება ფართო წარმომადგენლები იქნებიან. ეს ორგანო მხოლოდ შექმნილი ობიექტიური ვითარებების მიხედვით იმოქმედებს და არა ცენტრალური ხელისუფლების ბრძანებების შესაბამისად ან კომპრომისულად.

ასეთი ხელისუფლება რომ განხორციელდეს საჭიროა, რომ გარდამავალი პერიოდის დროებით ხელისუფლებაში კომუნისტები იყვნენ უმცირესობაში. ისინი საქართველოს კომპარტიის წევრები უნდა იყვნენ და არა საბჭოთა კავშირის.

**I** ნომერს დაიწყება ჰელსინკის მეორე კონფერენცია, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი იქნება ევროპის სახელმწიფოთა საზღვრების გადასინჯვა (ჰელსინკის პირველ კონფერენციაზე 1975-ში არსებული საზღვრები გამოცხადდა ხელშეუხებლად.)

ჰელსინკი **II** კონფერენციაზე აღძრული იქნება ბალტიის სახელმწიფოების საკითხიც, რომელიც აგრეთვე გახდა საერთაშორისო პოლიტიკის საგნად. როდის ექნება ადგილი საზღვრების საკითხს?

აუცილებელია, რომ ამ მნიშვნელოვან საერთაშორისო მოვლენამდე საქართველომ შეიძინოს იურიდიული პირის აღიარება მსოფლიო სახელმწიფოების მიერ. მაშინ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შეეძლება საქართველოს საკითხის დაყენება კონფერენციაზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველო სხვაგვარად ვერ გახდება იურიდიული პიროვნება, თუ არა ერთი, ოფიციალური, დემოკრატიული და არასაბჭოთა არჩევნებისა. ესაა მრგვალი მაგიდის მთავარი იდეა.

არჩევნების ერთადერთობა არის აუცილებელი. მართლაც, პარალელური არჩევნები გამოიწვევს ორი ხელისუფლების შექმნას.

საერთაშორისო პოლიტიკის სამყარო ცნობს, როგორც ოფიციალურს, საბჭოთა არჩევნებს. არჩევნების ოფიციალური ცნობა არის აუცილებელი, ერთის მხრით იმისთვის, რომ ქართველი ხალხის დიდმა უმრავლესობამ მიიღოს მასში მონაწილეობა, მეორეს მხრივ კი, რათა დემოკრატიულად არჩეულმა ოფიციალურმა ორგანომ მემკვიდრეობით იურიდიული ინდივიდუალობა მიიღოს.

არჩევნების არასაბჭოურობა აუცილებელია იმისათვის, რომ მასში მონაწილეობა მიიღოს საქ. ეროვნული დამოუკიდებლობის მოძრაობის რადიკალურმა ფრთამ. მხოლოდ ამ შემთხვევაში და პირობებში გაიმარჯვებენ ეროვნული ძალები პრო-კომუნისტურ ძალებზე.





ვინ უნდა შეასრულოს არასაბჭოთა და არასოციალისტური ტიპის ტველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება?

„გარდამავალი პერიოდი“ ორ ნაწილად წეიძლება გაიყოს: პირველი ეტაპი გარდამავალი ხელისუფლების არჩევნებამდე და მეორე ეტაპი — არჩევნიდან საქართველოს სუვერენობის დამკვიდრებამდე. პირველ ეტაპზე, საქართველოს რესპუბლიკის გამოცხადებისთანავე უნდა შეიქმნას ეროვნული კომისია არჩევნებისათვის, რომლის შემადგენლობაში შევლენ ოპოზიციურ ძალთა, საზოგადოებების და ოფიციალურ ძალების წარმომადგენლები. ამ კომისიამ უმოკლეს ვადაში (2-3 თვე) უნდა მოამზადოს ხელისუფლების არჩევნები, რომელიც გაუძღვება გარდამავალი პერიოდის სახელმწიფო საქმეებს.

არსებულმა უზენაესმა საბჭომ ამ კომისიას უნდა გადასცეს მისი საკანონმდებლო უფლება-მოვალეობანი, რომ კომისიამ შეძლოს:

- ა) შექმნას საარჩევნო სისტემა, ბ) მოახდინოს პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების აღრიცხვა, გ) განსაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა.

ამ ხნის განმავლობაში (2-3 თვე) შეჩერდება საკანონმდებლო მოქმედება.

**კონგრესის** შესაქმნელად პარალელური არაოფიციალური არჩევნები ჩვენ გვესახება არარეალურად და მიუღებლად. 1. გამორიცხულია, რომ ქართველების უმრავლესობამ მონაწილეობა მიიღოს არაერთადერთ, არაოფიციალურ, პარალელურ არჩევნებში. მეორე მხრივ, ილუზიად მოჩანს იმ უზარმაზარ საქმიანობასთან შექიდება, როგორცაა ხუთნახევარ მილიონიან ქვეყნის არჩევნები არაოფიციალური გზის გამოყენებით. აგრეთვე, ქართველების უმრავლესობა (32 პროცენტი მხოლოდ არაქართველი) განწყობილია უკვე, მონაწილეობა მიიღოს მომავალ მრავალპარტიულ ოფიციალურ არჩევნებში.

მცირერიცხოვანი მონაწილეობით არჩეული კონგრესი აღმოჩნდება არასახარბიელო მდგომარეობაში.

2. შეუძლებლად მიგვაჩნია, რომ არაოფიციალური გზით არჩეულმა ეროვნულმა კონგრესმა მიიღოს იურიდიული ინდივიდუალობა. ასეთ მდგომარეობაში არ შეიძლება მოველოდეთ, რომ არჩევნებს დაესწრონ საერთაშორისო ექსპერტები და მეთვალყურენი. მოსალოდნელია აგრეთვე, რომ ამგვარად არჩეულ ეროვნულ კონგრესს არ გადასცეს მისი უფლება მოსილებანი არსებულმა ოფიციალურმა უზენაესმა საბჭომ.

\*\*\*\*\*



3. კონგრესის არჩევნებისთვის შემოთავაზებული წესი არჩევნების კომისიის არჩევნებით, მაგალითად, შეიძლება, რომ არჩეული იყოს სსრკ-ს კომპარტიის წევრი. ამრიგად, ეროვნული კონგრესის შემადგენლობაში შეიძლება აღმოჩნდნენ უცხო ქვეყნის პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენლები, რაც წარმოადგენს საერთაშორისო რეგლამენტის ამკარა დარღვევას.

4. არაოფიციალური ორგანოს არჩევა დღევანდელ პირობებში გაუმართლებლად მიგვაჩნია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დისიდენტური არაფორმალური ეროვნული მოძრაობები უნდა გარდაიქმნან მშენებარე პოლიტიკურ ოპოზიციად. ეს არჩევნები მწვავედ აყენებენ პოლიტიკური პასუხისმგებლობის პრობლემას. თუ არჩეული ორგანო დარჩება არაფორმალური და არაოფიციალური, მაშინ მისი პოლიტიკური ჩანაფიქრი არ განვითარდება.

საქართველოს ბედი უპირველესად საქართველოში წყდება, მაგრამ მის ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის თქვენი, უცხოეთში მცხოვრებ ქართველების, და თქვენი ყველასი, ვინც მონაწილეობთ ინფორმაციის გავრცელების დარგში, წვლილი მნიშვნელოვანია.

\*) ბ-ნ თ. პაატაშვილის განცხადება წარმოადგენს „მრგვალ მაგიდაში“ გაერთიანებული ორგანიზაციების შემდეგ წარმომადგენლების აზრს:

- |                          |                      |
|--------------------------|----------------------|
| მონარქისტული პარტია:     | ბ-ნი გიორგი ხონელიძე |
| ჰელსინკის კავშირი        | ბ-ნი გიორგი ხოშტარია |
| ფედერალისტ-რესპუბლიკური: | ბ-ნი დავით მარღანია  |
| წმ. ილია მართლის საზ.:   | თედო პაატაშვილი      |

განმარტებისათვის: ჩვენს ხელთ აღმოჩნდა როგორც საკოორდინაციო ცენტრის, ისე მრგვალი მაგიდის განცხადებების ფრანგული ტექსტი და იძულებული ვიყავით, ისევ ქართულად გვეთარგმნა, ამიტომ, შესაძლებელია, რომ ორიგინალებში ნახმარი ზოგიერთი ტერმინი დაზარალდა. რედაქცია.

\*\*\*

ე რ ო ვ ნ უ ლ ი დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ო ბ ი ს ზ ე ი მ ო ბ ა

წელს, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის 72-ე წლისთა-

\*\*\*\*\*



ვი მით იყო გამორჩეული სხვა წლებთან შედარებით, რომლის ემიგრაციის მანიფესტაციებში სამშობლოს წარმოგზავნილობაში მიიღეს მონაწილეობა და ამ ინიციატივას ჩვენი სათვისტომოს გამგეობასაც უნდა ვუმადლოდეთ, რომლის მოპატიუებითაც გვესტუმრენ:

**ქ-ნი ნანა ნემსაძე** (მწვანეთა მოძრაობის წარმომადგენელი), **ბ-ები: გუდა აფაქიძე** (ილ. ჭავჭავაძის საზ-ბა), **გურამ ბერიშვილი** (თბილისის პოლიტიკური კლუბი), **დავით გამყრელიძე** (დემოკრატიკრიტიანთა კავშირი), **გოგი ხოშტარია** (პელსინკის კავშირი), **გიორგი ხონელიძე** (მონარქისტული პარტია), **ვარლამ კილაძე** (ერ. დამოუკიდებლობის პარტია), **დავით მარღანია** (ფედერალისტურესპუბლიკური პარტია), **გიორგი ჭანტურია** (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია), **ვახტანგ ტალახაძე** (დემოკრატიული პარტია), **თედო პაატაშვილი** (ილია მართლის საზოგადოება). **ბ-ნი ნოდარ ნათაძე**, სახალხო ფრონტის თავმჯდომარე დაგვიანებით ჩამობრძანდა და მხოლოდ ცხრა ივნისის დღესასწაულში მიიღო მონაწილეობა. მოწვეული იყვნენ აგრეთვე ბ-ები: **ზვიად გამსახურდია**, **აკაკი ბაქრაძე** (რუსთაველის საზ. თავ-რე), **ზურაბ აბაშიძე** (სოც. დემოკრატიული პარტია), **დავით ბერძენიშვილი** (რესპუბლიკური პარტია), მაგრამ არ ვიცით რატომ არ ჩამობრძანდნენ.

პარიზის საოცდაეჭვმაისო მანიფესტაციებში მრავლად მონაწილეობდნენ აგრეთვე პროფესიული თუ ტურისტული მიზნით პარიზში ამ დროს მყოფი თანამემამულენი, მათ შორის, დავასახელებთ ზოგიერთს: კინორეჟისორი **ბ-ნი გიორგი შენგელაია**, ფილოსოფოსი პროფესორი **ბ-ნი მერაბ მამარდაშვილი**, მწერალი **ლევან ხაინდრავა მეუღლით**, მხატვარი **ლევან ჭოლოშვილი მეუღლით**, დამოუკიდებელი ჟურნალისტი, საინფორმაციო სააგენტო „მაცნეს“ პოლიტიკური დირექტორი **ბ-ნი ვახტანგ ბახტაძე**, პელსინკის კავშირის წევრები **ბ-ნი გიორგი მარჯანიშვილი** და **ბ-ნი თენგიზ დიხამინჯია**, **ბ-ნი გოგი ხოშტარიას მეუღლე ქალბატონი ირინა გუნცაძე**, **დალი** და **რამაზ აბაშიძე** და სხვა.

მაისის თვეში მრავალი უქმე-დღესასწაულებია საფრანგეთში, რომლის დროსაც პარიზის დიდძალი მოსახლეობა ქალაქს სტოგებს და აგარაკებზედ მიეშურებიან. ამ მიზეზით **26** მაისობის დღესასწაულობა ცხრა ივნისში იყო დანიშნული ქალაქ სენ-კლუს (პარიზის გარეუბანი) მუნიციპალიტეტის სალონში.

ზეიმი გაიხსნა ქართული და ფრანგული ეროვნული ჰიმნების გალობით, „მერანის“ გაძლიერებული გუნდის შესრულებით და ოთარ პატარიძის ლოტბარობით.



თავმჯდომარე სერჟ მელიაევამ, მის შესავალ სიტყვაში, **ფაკულტეტი** ხაზი გაუსვა მომენტის განსაკუთრებულებას და იმ სინჯულს, რომელიც მელსაც განიცდის ჩვენი საზოგადოება იმის გამო, რომ ჩვენს შორის იმყოფებიან საქართველოს ეროვნული ოპოზიციის წარმომადგენლები, რაც პირველი შემთხვევაა ეროვნული ემიგრაციის არსებობის 69 წლის განმავლობაში, და, როცა ისინი სათითაოდ წარმოადგინა, ფეხზეამდგარი საზოგადოება აღფრთოვანებით შეეგება და მჭუხარე ტაშით დააჯილდოვა თითოეული. ს. მელიაევას შემდეგ მასპინძელთა სახელით სიტყვა წარმოთქვა, გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, პარიზის ჰელსინკის ჯგუფის დამაარსებელმა, ოთარი ზურაბიშვილმა, რომლის ტექსტი ქვემოთ ქვეყნდება. შემდგომ სიტყვები მიეცათ საქ. ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს: **ბ-ნ გოგი ხოშტარიას, ჭ-ნ ნანა ნემსაძეს და ბ-ნ ნოდარ ნათაძეს.**

ბ-ნმა ნოდარ ნათაძემ თავის საინტერესო მოხსენებაში ხაზი გაუსვა, რომ საქ. სახალხო ფრონტი მომხრეა ყველა დემოკრატიული გზა და საშუალება გამოიყენოს საქართველოს დამოუკიდებლობის მისაღწევად, მაგრამ იგი მზადაა, თუ მდგომარეობა ამას მოითხოვს, სისხლიც დაღვაროს.

ზეიმს ესწრებოდნენ ჯერ კიდევ საბჭოთა კლანკებში მყოფი ერების ჩვენსავით ემიგრირებულთა წარმომადგენლები, მათგან საკმაოდ ვრცელი სიტყვით გამოვიდა ლიტვის ემიგრაციის წარმომადგენელი **ბ-ნი რიშარ ბაშკისი**, რომელმაც, სხვათა შორის, მკაცრად დაგმო დასავლეთის სახელმწიფოთა სილაჩრე მისი სამშობლოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით.

მიტინგს მოყვა ნადიმი-გალა, რომლის დროსაც ჩვენმა მომღერალთა გუნდმა „მერანი“ (ოთარ პატარიძე, ირენ ოდიშელიძე, თინა კერესელიძე, ნიკოლა კინსკი-ამილახვარი, მიშა ჭავჭავაძე, ოთარ ზურაბიშვილი) შეასრულეს სხვადასხვა ქართული ხალხური სიმღერები და კუთნილი ოვაციები დაიმსახურეს. კონცერტი დასრულდა დაძმბა თამარ და სანდრო ერისთავების შესანიშნავი ღუეგით. განსაკუთრებული მოწონება და ოვაციები ხვდა მათ მიერ შესრულებულ სიმღერას, მიძღვნილს ცხრა აპრილის მსხვერპლთადმი.

ემიგრაციის მხრიდან დასწრება არ შეგვიძლია მრავალრიცხოვნად ჩავთვალოთ. სამაგიეროთ სიამოვნებით გვინდა აღვნიშნოთ თავად გიორგი ბაგრატიონის და თავად კონსტანტინ ანდრონიკოვის და

\*\*\*\*\*



მათი ოჯახების პირველად მონაწილეობა ჩვენს ეროვნულ დღესასწაულში, რომლის საერთო ლეიტმოტივიც გახლდათ: დიდება დამოუკიდებელ საქართველოს.

გ თ ე რ ი

\*

ძ ვ ი რ ფ ა ს ო თ ა ნ ა მ ე მ ა მ უ ლ ე ნ ო ,  
ძ ვ ი რ ფ ა ს ო მ ე გ ო ბ რ ე ბ ო !

გასული წლის ცხრა აპრილის მოვლენებმა განსაზღვრა 26 მაისის საზეიმო და ამავე დროს მძიმე ტრაგიკული მდგომარეობა.

მის შემდეგ ისტორიული მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება, და ის, რაც მიუწვდომლად მიგვაჩნდა სულ ცოტა ხნის წინ, ეხლა რეალურ სახეს იღებს.

დღეს ჩვენი პოლიტიკური ემიგრაცია ხედება საფრანგეთის მიწაზე ქართულ ეროვნულ ოპოზიციურ ძალების წარმომადგენლებს. პირველად ამ ხნის განმავლობაში რეალური კავშირი დამყარდა ჩვენს წარმოებულ ბრძოლასა აქ, საფრანგეთში და საქართველოს ქართველების ბრძოლას შორის.

ამ ძლიერი და მტკიცე ოპოზიციის არსებობა დღევანდელ საქართველოში, არის ჩვენი და ჩვენი მამების ბრძოლების გამართლება და ხორცშესხმა.

ჩვენ თავს არ ვარიდებთ პასუხისმგებლობას.

ის ისტორიული დრო, რომელსაც ჩვენ განვიცდით და ვცხოვრობთ, ჩვენ გვავალდებულებს, ვიყოთ უფრო დარწმუნებულნი, უფრო ფრთხილნი და უფრო შეერთებულ-შეკავშირებულნი, ვიდრე არასდროს. ჩვენ ვიქნებით!

გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს!

ო თ ა რ ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი

\*

ს ო შ ო ს ს ა თ ვ ი ს ტ ო მ ო შ ი

სოშოს ქართულმა სათვისტომომ 19 მაისს იდღესასწაულა ჩვენი





ძვირფასი სამშობლოს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

საზეიმო ზალა მორთული იყო ქართულ-ფრანგული დროშებით.

საზეიმო სხდომა გახსნა ჩვენი სათვისტომოს თავმჯდომარე ბნ ქრისტიან ჭირაქაძემ, რომელმაც მიმოიხილა რა საერთაშორისო მდგომარეობა დაასკვნა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა მოიპოვეს დამოუკიდებლობა და თავისუფლება და საქართველოც მალე მოიპოვებს მათო. თავმჯდომარის შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ ბ-ები: რეიმონ ბენარი, მელიტონ ჟღენტი და შალვა ზედგინიძე.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა ქართული ნადიმი. მას თამალობდა ჩვენი საზოგადოების უხუცესი წევრი ბნი მელიტონ ჟღენტი. ნადიმს ესწრებოდნენ ფრანგი მეგობრებიც, რომლებმაც შეამკეს სადღეგრძელოებით საქართველო და მისი ღირსეული შვილები. ნადიმი მზიარულად გაგრძელდა საღამომდე და ბოლოს ერთმანეთს გამოვეთხოვეთ დიდი რწმენით და იმედით, რომ მალე აფრიალდება სამფეროვანი დროშა თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობის სასახლეზე.

ვ. ე მ უ ხ ვ ა რ ი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

### ს ა ი თ მ ი დ ი ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

საკითხი იმის შესახებ, თუ რა მიმართულება აქვს აღებული თავის განვითარებაში საქართველოს, უაღრესად აფიქრებთ მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ადამიანს და — არა მარტო მათ. როგორ უყურებენ საქართველოს დღევანდელი წამყვანი პოლიტიკური ძალები მის მომავალს და რა გზას, როგორ მეთოდებს ირჩევენ მომავალი განვითარებისათვის, ამას ფრიალ დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ქართველი ადამიანის ბუნებაში ცნება „სამშობლოს დამოუკიდებლობა“ ოდითგანვე გაიგივებული იყო მშობლებისა და დამძმის სიყვარულთან, და ვინ იცის, რამდენი სადღეგრძელო შესმულა ჩვენი ქვეყნის განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

საქართველოს გამოჩენილმა შვილებმა, რომლებიც დღეს ქვეყნის ეროვნულ მოძრაობას უდგანან სათავეში, დიდი ვაი-ვაგლახი და ტანჯვა-წამება გადაიტანეს იმ ვითარების შესაქმნელად, როდესაც რეალური შესაძლებლობები გამოჩნდა ქართველი ხალხის მიზნის მისაღწევად, — ქვეყნის დაკარგული დამოუკიდებლობის აღსადგენად.

და ამ გზაზე, უამრავი სახის დაბრკოლებების, ხელისუფლებასთან შეჯახებების, პატიმრობის, ფსიქიატრიულ საპატიმროებში მოთავსებისა და სხვა მრავალი განსაცდელის პირობებში, ქართულ ეროვნულ მოძრაობას არ დაუტყარგავს არასოდეს ვითარების რეალური შეგრძნობა. იგი ყოველთვის საღად აზროვნებდა და მიტომაც შედეგებიც დადებითი იყო.

ახლა, დღეს, როდესაც ვაკვირდებით საქ. საერთო მდგომარეობას, პირდაპირ გაცხებული ვრჩებით იმ დამოკიდებულებით, რომელიც ვლინდება საქ. ეროვნული მოძრაობის ცალკეული პოლიტიკური პარტიებისა თუ დაჯგუფებების მხრიდან სხვადასხვა სახის პრობლემებისადმი; კერძოდ კი ისეთი საკითხებისადმი, როგორებიცაა: ეროვნებათშორისი ურთიერთობა საქართველოში და საქართველოს დამოკიდებულება მის მეზობელ ქვეყნებისადმი. გაცებას იწვევს აგრეთვე ისიც, რომ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჯერაც თითქმის არცერთ პოლიტიკურ პარტიას თუ გაერთიანებას შემუშავებული არაა აქვს დეტალური კონკრეტული პროგრამები საქ. ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და საზოგადოების სხვა სფეროების განვითარებისათვის, თუმცა ჟურნალმა „გუშაგმა“ თავის მარტის ნომერში გამოაქვეყნა საქ. სახალხო ფრონტის ასეთი სახის პროგრამა.

პირადად მე, და ალბათ არა მარტო მე დასავლეთში, ვერ წარმომიდგენია ოპოზიციასში მყოფი პარტია, რომელსაც არ გააჩნდეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამები იმ შემთხვევისათვის, თუ ის ხელისუფლების სათავეში მოხვდება.

ძნელი გასაგებია, თუ საქ. პოლიტიკური პარტიები როგორ ფიქრობენ მომავალ მრავალპარტიულ არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების მოგროვებას, თუ თითოეულ ამომრჩეველს ზუსტად არ ეცოდინება ის, რომ, გარდა პოლიტიკური მიმართულებისა, რას ჰპირდება მას ესა თუ ის პარტია.

გარდა ამისა ძნელი წარმოსადგენია ისიც, რომ ახლანდელ პირობებში საქ. მიერ ცალმხრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში, როგორც ეს ლიტვაში მოხდა, საბჭოთა კავშირის მხრიდან შესაძლო ეკონომიკურ ბლოკადის შემთხვევაში, როგორ წარიმართება ახლად შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეკონომიკური ცხოვრება, თუ წინასწარ არ იქნა შემუშავებული მისი რამდენიმე დახვეწილი ვარიანტი, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება



ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის შესაძლო ცვლებადობა უნდა ითქვას, რომ ასეთი სახის პროგრამები, როგორც ჩანს, ასევე უნდა ას ჰქონებია, და ამიტომ მოხდა, რომ იგი საბჭოთა ეკონომიკური ბლოკადის წინაშე მოუშვადებელი აღმოჩნდა. იმისთვის, რომ ასეთ-ივე რთულ ვითარებაში არ აღმოვჩნდეთ, ვფიქრობ, ქართულ ეროვნულ მოძრაობაში შემავალმა პარტიებმა ეკონომიკის, სოციოლოგიის, კულტურისა და სხვა დარგების განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხების დასამუშავებლად ამთავითვე უნდა მიიზიდონ საქართველოს მეცნიერები და სპეციალისტები, ხოლო შესაძლებლობისამებრ კი დასავლეთის ქვეყნების მეცნიერ-სპეციალისტებიც.

ამეამად დასავლეთის ქვეყნებში საქართველოდან ბევრი ქართველი ჩამოდის და როდესაც მათთან ვსაუბრობთ ირკვევა, რომ საქართველოს ეროვნული მოძრაობა უარყოფს კონტაქტებს ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. თურმე, ჩვენი ეროვნული მოძრაობა ასე იმიტომ იქცევა, რომ ინტელიგენცია კომუნისტებთან თანამშრომლობდა. ნაწილობრივ მე ვიზიარებ ჩვენი ეროვნული მოძრაობის ასეთ შეხედულებას, მაგრამ, ალბათ, ამ საკითხში ხელაღებით ყველასი და ყველადრის უგულვებლყოფა არ შეიძლება.

სამწუხაროდ, მხოლოდ ერთპარტიულ-კომუნისტური სისტემის მქონე სახელმწიფოს პირობებში მოუხდა ჩვენს ინტელიგენციას შემოქმედებითი მოღვაწეობა, და მიუხედავად მრავალი მეცნიერის, სპეციალისტის, ლიტერატორის თუ ხელოვანის პარტიულობისა, პროფესიულ ასპარეზზე მათ ერისთვის სასარგებლო შედეგებს მიაღწიეს; და ჩემი სრულიად ანტიკომუნისტური მსოფლმხედველობის მიუხედავად, ვფიქრობ, დღევანდელ პირობებში სწორი არ იქნება, თუ მათი პიროვნებების შეფასებისას, ყურადღება მათ პარტიულ წარსულზე გამახვილდება და უპირატესობა არ მიეცემა ამ ადამიანების პროფესიულ მომზადების დონეს.

ასეთი მიდგომა, რასაკვირველია, ხელაღებით არ შეიძლება, გამოყენებული იქნეს ინტელიგენციის ყველა წარმომადგენლის მიმართ, ვინაიდან ისიც კარგად არის ცნობილი თუ რამდენი ზიანი მიუყენებიათ ჩვენი სამშობლოსათვის კომპარტიისადმი თავდადებულ ინტელიგენციის ამა თუ იმ წარმომადგენლებს. მაგრამ, საბოლოო ჯამში, მე მაინც იმ აზრისა ვრჩები, რომ ყველა ვითარებების გათვალისწინებით, საზოგადოების განვითარების პერსპექტივების შემუშავება ვერ მოხერხდება მეცნიერების, სპეციალისტებისა და ინტელი-



გენციის სხვა წარმომადგენელთა მონაწილეობის გარეშე სხვათა შორის, ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც უნდა უსაყვედუროთ, რომ, რამდენადაც ჩვენამდე მოდის ცნობები, ზოგიერთი მისი წარმომადგენელი ქ. ეროვნულ მოძრაობას ცხვირაწეული უყურებს და ქედმაღლობს. ქართული ეროვნული საქმე კი მოითხოვს ყველა ძალების კონსოლიდაციას, საზოგადოების ყველა ფენებს შორის საერთო ენის გამონახვას, საქართველოს წინაშე მდგარი უაღრესად სერიოზული და რთული ამოცანების გადასაწყვეტად მაღალკვალიფიციურ დონეზე ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის აღსადგენად.

ზემოდ მე ვახსენე ეროვნებათშორისი პრობლემები საქართველოში. რამდენადაც ჩვენ ვრწმუნდებით, ეს საკითხი გაღვივებულია საქართველოს მტრების მიერ და თუ იგი დროულად არ იქნა მოწესრიგებული, მან შეიძლება სავალალო შედეგები გამოიღოს. საქართველო ყოველთვის იყო ცნობილი იმით, რომ მის მიწა-წყალზე ათობით ეროვნების ხალხი მშვიდობიანად და ნაყოფიერად შრომობდა. ალბათ ამ საკითხშიც ქართული და სხვა ეროვნებების ინტელიგენციის წარმომადგენლების ჩართვაა საჭირო, რათა სერიოზულად და საფუძვლიანად იქნას ხოლმე შესწავლილი ამ პრობლემასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი და მხოლოდ შემდეგ კეთდებოდეს პოლიტიკური განცხადებები.

რაკი პოლიტიკურ განცხადებებს შევებე, არ შემიძლია ყურადღების გარეშე დავტოვო ამასწინანდელი საქართველოს ჰელსინკის კავშირის, წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მიერ გამოქვეყნებული მიმართვა ქართველი ხალხისადმი, იმის შესახებ, რომ საქართველოში დაშვებული არ იქნას საცხოვრებლად არცერთი ეთნიკური თურქი და თურქული ეროვნული თვითშეგნების მქონე მოქალაქე, რაც ჩემის აზრით გამოწვევას წარმოადგენს თურქეთის მიმართ. ვფიქრობ, რომ ამ საკითხშიც აჩქარება იგრძნობა და ასეთი სახის მიმართვის გამოქვეყნებამდე, ალბათ, აქაც საჭირო იყო საკითხის ძირეული გაანალიზება. ერთი ხელის მოსმით თურქი ეროვნების ხალხის უგულვებელყოფა, ვფიქრობ, არ შეესაბამება არავითარ საერთო საკაცობრიო ნორმებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თურქეთი ჩვენი უშუალო მეზობელი, ნატოს კავშირის წევრი სახელმწიფოა, რომელთანაც დამოუკიდებლობის პირობებში თანამშრომლობა მოგვიწევს და მასთან ურთიერ-



ქართველთა  
ჟურნალისტთა  
კავშირთა

თობების გაფუჭება სრულებითაც არ იქნება ჩვენთვის ხელსაყრელია

აქვე მინდა მოვიყვანო ჟურნალ „გუშაგის“ მ. წ. მარტის 21-ე ნომერში გამოქვეყნებული ბ-ნ ზურაბ ნარსიას სტატია, სათაურით: „საქართველოს გასაჭირი“, რომელშიც ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში წარმოშობილი ეროვნებათშორისი პრობლემები, საქართველოსი და ამ ხალხების მტრების ნახელავია. ამ საკითხში, რასაკვირველია, ორი აზრი არ არსებობს; მაგრამ თავისი სტატიის დასასრულს მისი ავტორი ეხება საქართველოში მესხების დაბრუნების პრობლემას და იგი გადაჭრით გამოდის იქ მესხების ჩასახლების წინააღმდეგ, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ ცოტა უხერხულია მესხებისთვის უარის თქმაო. ჩემის აზრით, ეს უაღრესად სერიოზული საკითხია და ასე ხელაღებით მსჯელობა მესხების საქართველოში დაბრუნება-არდაბრუნების შესახებ, მე პირადად, მიზანშეუწონლად მეჩვენება. მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი ღრმად უნდა იქნეს შესწავლილი ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლების მიერ და წყნარად, ყოველგვარი აურზაურის გარეშე გადაიდგას მიზანშეუწონილი ნაბიჯები, იმის გათვალისწინებით, რომ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, 300-350 ათას „თურქ-მესხში“ 20 - 25 ათასი კაცი ჭეშმარიტად ქართული სულისკვთებითაა გამსჭვალული. მაგრამ ყველაფერს, ვიმეორებ, ძალზე სერიოზული და ფრთხილი მიდგომა ესაჭიროება.

ჩვენ კარგი დამოკიდებულება გვესაჭიროება აგრეთვე მომავალ დემოკრატიულ რუსეთთან და რუსი ერის ხელაღებით უგულუბელყოფა ასევე არ იქნება სწორი. ჩვენ მოგვიწევს კარგი ურთიერთობის დამყარება ირანთანაც, თუ აღარაფერს ვიტყვით აზერბაიჯანსა და სომხეთზე.

ახლა, კიდევ ერთი საკითხი, რომლის შესახებაც მსურს ჩემი პირადი აზრი გამოვთქვა. დღეს ისეთი პოლიტიკური ვითარებაა შექმნილი მსოფლიოში გორბაჩოვის პიროვნებასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა იმპერიაში შემავალი ქვეყნებისა და, მათ შორის, საქართველოს დამოუკიდებლობის პრობლემებს დასაველეთში ჯერ-ჯერობით სერიოზულად არავინ უყურებს. ამიტომ მუშაობა და მოძრაობა ამ მიმართულებით უმთავრესად თვით საქართველოში უნდა სწარმოებდეს, გულ-ხელი არ უნდა დავიკრიბოთ და უცადოთ თუ როდის შემოგვიბრუნდებიან დასაველეთის ქვეყნები.

დღეს საქართველოსათვის ყველაზე მისაღები პოზიციაა მხოლოდ



\*\*\*\*\*



დიალოგი, რომ გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს ფართო მასშტაბიანი აზრთა ურთიერთგაცვლის საფუძველზე და, კიდევ განვიხილავთ, მეცნიერებისა და სპეციალისტების აზრის გათვალისწინებით, იმისთვის, რომ ნებისმიერი პოლიტიკური გადაწყვეტილება ყოველგვარი იყოს გააზრებული, რათა ჩვენი ეროვნული მოძრაობის მიერ მიღებული ყველა სახის პოლიტიკური დოკუმენტი პატივისცემასა და მხარდაჭერას პოულობდეს არა მარტო ქართველებში, არამედ მსოფლიო საზოგადოების თვალშიც.

ქართველები ყოველთვის გამოვიჩრქოდით იმით, რომ გაგვაჩნდა დიპლომატიის დიდი უნარი. ჭკუთა საკმარისად გვიჭრიდა და ამ თვისებას საქართველო მრავალგზის გამოუყვანია გამარჯვებული სხვადასხვა პოლიტიკური კრიზისებიდან. იყო დრო, როცა საკითხებს მახვილის მეშვეობით ვწყვეტდით, ახლა დრონი იცვალნენ. ჩვენი მცირერიცხოვანი ერისათვის ყველაზე მისაღებია სხვადასხვა ხალხებთან და ქვეყნებთან „საერთო ენის“ გამონახვა, კარგი ურთიერთობის დამყარება და არა ემოციების გამოვლენა, შუღლის ჩამოგდება. ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეების უმთავრესი ამოცანა სწორედ სიბრძნის, შორსმჭვრეტელობისა და საკითხებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის გამოვლენაში უნდა მდგომარეობდეს.

ახლანდელ ვითარებაში, საქ. ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ყველა მიმდინარეობებმა გეზი უნდა აიღონ იმისაკენ, რომ ქართ. ხალხის ცხოვრებაში ნელ-ნელა დაინერგოს დასავლეთის დემოკრატიის ფასეულებანი, იმ ვარაუდით, რომ საფუძველი ჩაეყაროს მოქალაქეობრივ საზოგადოებას. ეს კი მნიშვნელოვნად გაუადვილებს მომავალში დასავლეთს, იცნოს საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, დაეხმარება მას იმაში, რომ საქართველოში დაინახოს ევროპული თანამეგობრობის სრულფასოვანი და სასურველი წევრი.

ნ ო დ ა რ ე რ ი ს თ ა ვ ი  
მიუნხენი. 24 აპრილი 1990 წელი.

\*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*

ი ნ ტ ე რ ვ ი უ    „ რ ა ტ ო მ   ბ ლ ო ფ ო ბ ე ნ   რ უ ს ე ბ ი “

„საქართველოს არ ეჩქარება გამოაცხადოს მისი დამოუკიდებლობა, თუ დაუფჯერებთ გიორგი ჭანტურიას: 35 წლის ისტორიკოსს, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის თავმჯდომარეს და

\*\*\*\*\*

ეროვნული განთავისუფლების ერთ-ერთ მეთაურს, გავლით მყოფმა პარიზში, მან თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარა „კოტიდიანი დე პარი“-ს, რესპუბლიკებში დამოუკიდებლობის მოძრაობების და გორბაჩოვის „განახლებული კონფედერაციის“ სტრატეგიის თაობაზე.

**კოტიდიანი:** რას ფიქრობთ თქვენ რუსეთის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე და ბორის ელცინის პიროვნებაზე?

**გიორგი ჭანტურია.** რუსეთის დამოუკიდებლობა ბლოფია ისევე, როგორც დამოუკიდებელი ლიტვა და ბორის ელცინი კლოუნია. მე ვფიქრობ, რომ გორბაჩოვის ის სპირიტუალობა ისევე, როგორც ლიგაჩოვი, ის მათ ამოძრავებს, ხან ერთს, ხან მეორეს იმ მიზნით, რომ დააფრთხოს მის მარჯვნივ და მარცხნივ. ის ფაქტი, რომ მათ ერთმანეთი ძულთ, არაა მნიშვნელოვანი: ჰიტლერს და სტალინს ძულდათ ერთმანეთი, ამან მათ ხელი არ შეუშალა, გაენაწილებიათ ევროპა.

**კოტიდიანი.** საქართველოს სახალხო ფრონტს აქვს აგრეთვე განზრახვა მოითხოვოს დამოუკიდებლობა?

**გ. ჭ.** - საქართველოს სახალხო ფრონტი სრულებითაც არაა პოპულერ (სიტყვა *populaire* ორაზროვანია: სახალხო და პოპულიარული. არ ვიცი, რომელი აზრით იხმარა გ. ჭანტურია. რედ.) საქართველოში და ჩვენ ყველა ვართ მისი წინააღმდეგი იმიტომ, რომ ეროვნული პარტიები უპირველესად ანტიკომუნისტები არიან, სახალხო ფრონტი კი მათ დებულობს. ვის წინააღმდეგლა უნდა იბრძოდოს? ხომ ვხედავთ, რომ სახალხო ფრონტმა ვერაფერს ვერ მიაღწია ლიტვაში. სახალხო ფრონტის იდეა კრემლის მიერაა შთავგონებული, ეროვნული მოძრაობების გასაკონტროლებლად. სხვათა შორის, სახალხო ფრონტები ნებადართული არიან, სხვა პარტიები კი - არა. ბალტიის ქვეყნების ახლანდელი ვითარება არის ერთი ნაბიჯი კონფედერაციისაკენ. სახალხო ფრონტები აკონტროლებენ ამ ევოლუციას. ეს იმიტომ, რომ მოსკოვი მიხვდა: მას აღარ შეეძლო იმპერია ისე შეენარჩუნებია, როგორც ის იყო, მაგრამ მას მაინც სურს მისი როგორმე შენარჩუნება და ის ეძებს ახალ, უფრო ასატან ფორმულებს.

**კ.** - კეთილი, მაგრამ, ბალტიის ქვეყნებმა მაინც გამოაცხადეს დამოუკიდებლობა.

**გ. ჭ.** - დამოუკიდებლობის გამოცხადების ფაქტი არაა დამოუკიდებლობა. რაც ჩვენ, ქართველებს შეგვხვება, ჩვენ დამოუკიდებლობას გამოვაცხადებთ მხოლოდ ჩვენი ტერიტორიიდან საბჭო

თა ჯარების ევაკუაციის შემდეგ, რადგანაც მოსკოვს აინტერესებს, რომ საქართველომ ახლავე გამოაცხადოს მისი დამოუკიდებლობა. მაშინ გორბაჩოვი შეწუხებულ სახეს მიიღებს, დაჰკრავს მაგიდაზე ხელს, დესტაბილიზაციის შანტაჟით შეაშინებს დასავლეთელებს და მერე დააწესებს ბლოკადას, როგორც ეს ქნა ლიტვაში. სახალხო ფრონტი ჩაერევა მაშინ, რათა ბლოკადის შესამსუბუქებლად გააკეთოს დათმობები. ესაა მეტად პრიმიტიული, მაგრამ მომგებიანი სტრატეგია. მაშინ სსრკ ისევ გააგრძელებს მართოს ჩვენი საგარეო პოლიტიკა, წითელი არმია დარჩება საქართველოში კ. გ. ბ. დარჩება უცვლელი. შექმნიან ავტონომიურ რეგიონებს, რომლებსაც გამოაცხადებენ სსრკ საზოგადო ინტერესის მქონედ, ჩვენ კი ხელში დაგვრჩება მხოლოდ სახელოვანი დამოუკიდებლობის გამოცხადება, რომელიც არაფერს არ ნიშნავს.

კ. - მაშ, რა უნდა ვაკეთოდე?

გ. ჭ. - ის, რასაც მოსკოვი ეძებს, ესაა განახლებული კონფედერაცია. შემთხვევით არაა, რომ გორბაჩოვი მუდამ მოუწოდებს რესპუბლიკებს „ეკონომიკური დამოუკიდებლობისკენ“.

ასეთია მართლაც კრემლის ამბიცია: ეკონომიკური დეცენტრალიზაცია, რაც სასარგებლო იქნება იმპერიისათვის. სახალხო ფრონტები შეიქმნენ ამ პოლიტიკის განსახორციელებლად. მაგრამ ეს მიუღებელია თავისუფლებისმოყვარე ხალხებისათვის. საკმარისია მოცდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღეიდან ორ წელიწადში იმპერია დაინგრევა. ჩვენ შეგვეძლება მაშინ გამოვაცხადოთ დამოუკიდებლობა.

კ. - თქვენ ფიქრობთ, რომ დაშლა გარდუვალია?

გ. ჭ. - ამის თავიდან ასაცილებლად, რომ გორბაჩოვმა გამოიგონა „გლასნოსტი“ და „პერესტროიკა“. ის იძულებული იყო, რაც არ უნდა დაჯდომოდა, მიედო ასეთი პოლიტიკა.

დაშლის ტენდენცია წინ უსწრებდა მის მოსვლას ხელისუფლებაში. საბჭოთა ექსპერტები ხედავდნენ მას, რასაც ვერ ხედავდნენ დასავლეთელები: პერესტროიკა და გლასნოსტი მხოლოდ პროფილაქტიკური ღონისძიებებია. იმისათვის, რომ შეაკავონ აფეთქება.

დასავლეთელები ილუზიებს ეძლევიან, როცა გორბაჩოვის წარმატებებს ნატრობენ. გორბაჩოვმა, რომ მის საწადელს მიაღწიოს, ეს იქნება განიარაღების დასასრული, სსრკ-ში დემოკრატიზაციის დასასრული და ეს იქნება აგრეთვე ჩემი სამუდამოდ გამოთხოვება პარიზთან.



ბლობისათვის. მეორეს მხრით, მარტის არჩევნები უნდა ჩატარებულიყო ლიუო ძველი საბჭოური ერთპარტიული წესით, რომლითაც არავითარი შანსი არ არსებობდა იმისა, რომ ეროვნული განთავისუფლების ძალები უმრავლესობაში აღმომჩნდარიყვნენ. განმეორდებოდა იგივე, რასაც ადგილი აქვს სსრკ კონგრესზე მოსკოვში, სადაც ორიოდ ქართველი დეპუტატი მიყუყულა სადაც ზღვა რუს და სხვა მილეთის იმპერიის მსახურთა შორის. ხანდიხან ტრიბუნაზედაც გამობედავენ, გვარიან მორალურ და პატრიოტულ სიტყვებსაც გაატაკუნებენ, რასაც აღფრთოვანებაში მოყავს მოსკოვში აკრედიტებული დასავლეთის კორესპუნდენტები. ისინიც მათ საზოგადოებრივ აზრს ახარებენ, თუ როგორი სრულყოფილია გორბაჩოვის დემოკრატია. და მერე? მერე ეს პატივცემული დეპუტატები აბსოლუტურად უძლურნი არიან, რაიმე, თუნდ უმნიშვნელო, ცვლილება შეიტანონ საბჭოთა სახელმწიფო კანონებსა და საქმეებში. აქ ისინი სპექტაკლის საჩვენებლად ჰყავთ მოყვანილი.

ახლა კი, მადლობა ღმერთს, არჩევნების წესი, სიტყვითა და კანონით მაინც, საქმეზე კი ჯერ ვერაფერს ვიტყვით, — შეიცვალა. დაშვებულია, რომ მასში შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კომუნისტების გარდა სხვა პარტიებმაც და საარჩევნო კომისიაშიც მონაწილეობა მიაღებინონ ოპოზიციის წარმომადგენლებს. არც ეს იქნება ალბათ უმანკო და უნაკლო, მაგრამ ასე არჩეული საკრებულო გაცილებით უკეთესი გამომხატველი იქნება ამომრჩეველთა ნება-სურვილის, ვიდრე ერთპარტიული არჩევნების დროს. ამიტომ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების რამდენიმე თვით დაგვიანება მეტიმეტად ნუ დააღონებს ზოგიერთ ჩვენ ემიგრანტს.

მიუხედავად საარჩევნო კანონების გადემოკრატულებისა, დღეს, როგორც აქვე მოხმობილ დოკუმენტებიდანაც ჩანს, ქართველი ხალხის წინაშე დგას საკითხი: მიიღოს თუ არა მონაწილეობა საბჭოთა საქართველოს უმაღლესი ორგანოს მომავალ არჩევნებში. ეროვნული განთავისუფლების მოძრაობის ორივე ფრთის პასუხია: არა! რაც შეეხება სახალხო ფრონტს, მისი უცვლელი სტრატეგიაა ყველგან და ყველგან მიიღოს მონაწილეობა.

ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური ძალების უარი, საბჭოთა სისტემის ყოველგვარ არჩევნებში, დასაბუთებულია ლოღიკურად და პრინციპიალურად. არ შეიძლება, მას არ დაეთანხმოს ქართველი პატრიოტი, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ სწორი პრინციპებით ხშირად შო-



\*\*\*\*\*

რს ვერ წახვალ შენი დაპყრობილი და დაბრეცებული სამშობლოს სამსახურში. ეროვნული ემიგრაცია, რომ ყოველ პირობებში ერთგული დარჩეს მისი ძირითადი პრინციპის, ეს სასურველიცაა და სასარგებლოც, მაგრამ იქ, მშობლიურ გარემოში, მოღვაწე მამულიშვილებმა, თავიანთ საქმიანობაში, უდავო პრინციპებთან ერთად უნდა გაითვალისწინონ: ადგილობრივი, საკავშირო და მსოფლიო მდგომარეობა. განსაკუთრებით უნდა დაგვაფიქროს ამიერკავკასიაში დაბანაკებულმა უზარმაზარმა სადამსჯელო იმპერიულმა ჯარებმა, რომლის მთავარი შტაბი თბილისშია. ამ თითქოს უნუგეშო მდგომარეობამ არ უნდა შეაშინოს არც ეროვნული მოძრაობის ლიდერები და არც ქართველი ხალხი. თუ ქართველი ხალხი ერთსულოვნად მტკიცედა და დაჯერებით გააგრძელებს პოლიტიკურ ბრძოლას, მას უეჭველად სოლიდარობას გამოუცხადებს თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობა და ის მიაღწევს ამ ჯარების ევაკუაციას საქართველოს ტერიტორიიდან.

ასეთ პირობებში, მე დასაშვებად მიმაჩნია, რომ ეროვნული განთავისუფლების მოძრაობამაც მონაწილეობა მიიღოს განზრახულ ოფიციალურ არჩევნებში, იმ რეზერვით, რომ ეს არჩევნები არამც და არამც არ ჩაითვალოს, როგორც ქართველი ხალხის თვითგამორკვევა და ამგვარად არჩეულმა ორგანომ თავი არ წარმოიდგინოს თავისუფალი ქართველი ერის პოლიტიკური ნებისყოფის გამობატლებად. მე ვფიქრობ, რომ ქართველი ხალხის მობილიზაციის პირობებში არჩეულ ორგანოში უმრავლესობაში იქნებიან საღი ეროვნული ძალების წარმომადგენლები და ისინი ნებას არ მისცემენ, რომ ახალი საბჭოთა უღელი კანონიერად დაადგან საქართველოს.

რაც შეეხება ქართველი ერის თვითგამორკვევას, ეს მან მოახდინა 1921 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებით, რომელიც იცნო მაშინდელ მსოფლიო სახელმწიფოთა უმრავლესობამ, მათ შორის ლენინის საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებამაც 1920 წლის 7 მაისის ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებით. საქართველოს ამ დამოუკიდებელმა სუვერენულმა სახელმწიფომ მშვიდობიანად იარსება სამი წლის განმავლობაში და მისი არსებობა შეწყვიტა იგივე საბჭოთა რუსეთის სამხედრო ოკუპაციამ, რომელსაც ქართველი ხალხი არასოდეს შეერიგებია და რომ ეს ოკუპაცია და ანექსია გრძელდება დღემდე უკვე 69 წლის განმავლობაში. ამ ფაქტებს დღეს ქართველი კომუნისტები

\*\*\*\*\*

და უზენაესი საბჭოც აღიარებენ და გმობენ.

ახლა გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მთელი ეროვნული ხალხი ელის იმ ბედნიერ მომენტს, როცა რუსეთის ხელისუფალნი, იქნებიან ისინი საბჭოთა თუ არასაბჭოთა, აღიარებენ მათი წინამორბედი ხელისუფლების საერთაშორისო დანაშაულს და შენდობას ითხოვენ. მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი თანამშრომლობის ახალ ხელშეკრულებაზე. მაგრამ ეს ხომ ფანტაზიის ნაყოფია?!

ქართველი ხალხი, რა თქმა უნდა, რუს ხელისუფალთა ასეთი კეთილი ნების გამოვლინებას ვერ დაელოდება, იგი იბრძოდა, იბრძვის და იბრძოლებს იმისთვის, რომ სიმართლემ და თავისუფლებამ იზეიმოს. ამ ბრძოლაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ვინ უწინამძღვრებს მას: კრემლიდან მიღებული ბრძანებების შესრულებაში გამოწაფული აპარატჩიკები თუ ერისა და ადამიანის საყოველთაო უფლებათა დაცვისათვის დევნილ-შევიწროებული, ეროვნული გამოფხიზლების ცნობილი აქტივისტები. ეს უკანასკნელები არიან, რომლებმაც დასაბამი მისცეს ეროვნული განთავისუფლების მოძრაობას. ეს ეროვნული მოძრაობა სპონტანურად იშვა 1989 წლის 9 აპრილს დაღვრილ ქართულ სისხლის კვალზე, იგი ურთულეს გარემოცვაში ვითარდებოდა და ჯერჯერობით არ გვაქვს მორალური უფლება მათზე გული ავიყაროთ. იმათ თუ გამოცდილება აკლიათ შეივსებენ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, — ერის ინტერესებს გააფთრებული ლომის ბოკვერით დაიცავენ. ეტყობა, ქართველი ხალხიც გრძნობს ამას და უმრავლესობაც მათ თანაუგრძნობს. ეს თანაგრძნობა, ეს ნდობა ძვირფასია, მაგრამ ამ ნდობას ისინი ვერ გაამართლებენ თუ ისინი ერთმანეთს სამტროდ დაუპირისპირდებიან. მათ განგებისგან მისჯილი აქვთ ერთად ბრძოლა, ერთად გამარჯვება, ან ერთად დამარცხება და შერცხვენა.

მრგვალი მაგიდის და ეროვნული ფორუმისა და საკოორდინაციო ცენტრის განცხადებები მე არ მაძლევენ საბაბს, რომ თითქოს მათ ამოუვსებელი უფსკრული თიშავდეს.

მრგვალი მაგიდის მთავარი პოლიტიკური იდეაა საქართველოს დროებითი ხელისუფლების შექმნა, რომელიც, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და მისი სიმბოლიკის გაუქმების შემდეგ, ხელში აიღებს ქვეყნის ძალაუფლებას, უწინამძღვრებს დამოუკიდებლობის რეალურ განზორციელებას და მოაწყობს კანონიერი ხალისუფლების არჩენებს, რომელსაც გადასცემს თავის უფლებამოსილებას. გარდამავალი

\*\*\*\*\*

ხელისუფლების შექმნის საკითხში ყოველგვარი მაკიაველიზმი გამოირიცხული უნდა იყოს. მასში უნდა მონაწილეობდნენ თუ უნდა იქნებოდნენ არა, ეროვნული განთავისუფლების მომხრე უმრავლეს ძალთა წარმომადგენლები. ეს წარმომადგენლობა შეიძლება პარიტეტულ ნიადაგზეც განხორციელდეს, მაგრამ გაცილებით უკეთესი იქნება თუ ეს განხორციელდება საყოველთაო მრავალპარტიულ დემოკრატიული არჩევნებით. მე მგონია, სწორედ ამ მიზანს ემსახურება ეროვნული კონგრესი და მის ასარჩევად შექმნილი საკოორდინაციო ცენტრის საარჩევნო კომისია, შექმნილი პარიტეტულ პრინციპზე. თუ ვინაა ამ ორგანოს შექმნის ინიციატორი, ეს მეორე ხარისხოვანია. მთავარია, რომ ის უკვე არსებობს და რომ მისი კარები ღიაა ყველა პოლიტიკური ორგანიზაციისათვის და განსაკუთრებით, ვიმედოვნებ, მრგვალი მაგიდისათვის. საყოველთაო კენჭის ყრით არჩეული კონგრესი არამცთუ ისარგებლებს დიდი ავტორიტეტით, არამედ აგრეთვე, მასში ნათლად გამოჩნდება თითოეული პოლიტიკური პარტიის თუ ორგანიზაციის პოპულიარობაც. კონგრესს შეეძლება დროებითი მთავრობის ფუნქცია შეასრულოს და იგი გადაწყვეტს მიიღებს თუ არა მონაწილეობას საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს მიერ გათვალისწინებულ არჩევნებში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებლად მიმაჩნია, რომ ეროვნული განთავისუფლების ორივე ფრთამ ერთმანეთთან ითანამშრომლონ ეროვნული კონგრესის ასარჩევ კომისიაში და საერთო ძალების მობილიზაციით, ქართველი ხალხის დიდ უმრავლესობას მიაღებოს მონაწილეობა ამ არჩევნებში.

საქართველოს ეროვნული ბრძოლის წარმატებისათვის მე დიდ საჭიროებად მიმაჩნია, არამც თუ ეროვნული ფორუმისა და მრგვალი მაგიდის თანამშრომლობა, არამედ აგრეთვე ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა და მრგვალი მაგიდისაც. მათი მტრობა ემიგრაციაშიც კი სწამლავს ატმოსფეროს, არამც თუ სამშობლოში. მათი შერიგება იქნება ამავე დროს, განსვენებულ მერაბ კოსტავას ანდერძის აღსრულებაც, რომლის სახელიც, დარწმუნებული ვარ, ორივე მოძრაობის წევრებისთვის ძვირფასია.

**აქვე** მინდა შევეხო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის თავმჯდომარის ბ-ნ გიორგი ჭანტურიას განცხადებას ფრანგულ გაზეთში, რომელიც აქვეა გამოქვეყნებული. იქ ერთ ადგილას ნათქვამია: „საკმა-რისია მოცდა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღეიდან ორ წელიწადში იმ-

\*\*\*\*\*



პერია დაინგრევა. ჩვენ შეგვეძლება მაშინ გამოვაცხადოთ "დემოკრატიული რევოლუცია"-ო. წინააღმდეგ ამ განცხადებისა, მე ვერ ვხედავ ვერაფერს. რა ვითარ ნიშანს იმისას, რომ სსრკ იმპერია აუცილებლად თავისთავად და ისიც ორ წელიწადში დაიშალოს. მართალია, კომპარტიის, იმპერიის ეს ერთ-ერთი დასაყრდენი, ირღვევა, მაგრამ იგი კვლამას კი არა, მეტამორფოზას განიცდის. საბჭოთა იმპერიის მეორე-მთავარი დასაყრდენი: - ჯარი, წითელი არმია მძლავრი და მონოლითური, არ ჩანს მისი რღვევის არავითარი ნიშანი. თვით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების აზვირთებულ რევოლუციურ მომენტებშიც კი არცერთი შემთხვევა არაა ცნობილი იქ დაბანაკებული საბჭოთა ჯარების ნაწილების დამპობილებისა თავისუფლების ქარიშხალთან. მეც იმ აზრს ვემხრობი, რომ სერიოზულმა პოლიტიკურმა მოღვაწემ წინასწარმეტყველება არ უნდა დაიწყოს და, განსაკუთრებით, ვადა არ უნდა განსაზღვროს, რადგან პოლიტიკური მოვლენები სიყვარულს ჰგავს, იგი მაშინ მოდის, როცა არ ელი. მას თითქოს ვაგიყვებით სიამოვნებს წინასწარმეტყველების გაწვილება.

მე კი აქ განსაკუთრებით მიტომ აღვძარი ეს საკითხი, რომ ბნელ კანტურისას ეს განცხადება, სიმართლაც რომ იყოს, მავნებელია იმ პოლიტიკურ მოძრაობისათვის, რომელსაც ის წარმოადგენს და ბოლოს იგი მავნეა, საქ. ეროვნული განთავისუფლებისათვის. თუ მას დაუჯერებს, ქართველი ხალხი მშვიდად უნდა ელოდოს ორი წლის განმავლობაში, საბჭოთა იმპერია თავისთავად დაირღვევა, საოკუპაციო ჯარები პარადული მარშით დასტოვებენ საქართველოს ტერიტორიას და მხოლოდ ამის შემდეგ საქართველო გამოაცხადებს დამოუკიდებლობას.

მე ვერ დავიჯერებ, რომ ასეთი იყოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ტაქტიკა. მე უფრო მგონია, რომ ეს ლაპსუსია, რომელსაც ავტორი გამოასწორებს.

დამოუკიდებლობის გამოცხადება მართლაც არ ნიშნავს მის განხორციელებას, მაგრამ იგი პირველი აუცილებელი ნაბიჯია ამ გზაზე. ლიტვის დამოუკიდებლობა კიდევაც რომ დამარცხდეს, მაინც დიდი მიღწევაა და დიდ მოვლენად დარჩება ამ ქვეყნის ისტორიაში. ჩვენთან განსხვავებული პირობებია და ვალდებული არ ვართ მას მივბაძოთ, მაგრამ როდი უნდა ვაკრიტიკებდეთ და ვუწუნებდეთ.

დამოუკიდებლობის მტრებმა რესპუბლიკების ავტონომიური წარმო-

ნაქმნების საფრთხობელა აუფრიალეს წინ ჩვენს ეროვნულ მოძრაობას და სამწუხაროდ ვერცერთი მისი მიმდინარეობა ვერც დაგებულ მახეს, ყველა შიგ გაება და ამიტომ მთავარი—ეროვნული განთავისუფლების საქმე შეფერხდა.

წესრიგის დაცვა ხელისუფლების საქმეა. ოპოზიცია კრიჭაში უნდა ედგას მას, მაგრამ მისი საქმეების კეთებაში პრაქტიკულად არ უნდა მონაწილეობდეს. ეროვნულმა მოძრაობამ ჯერ ძალაუფლება უნდა აიღოს ხელში და მხოლოდ მერე უნდა იმთავრობოს. იგი ურყევად უნდა იდგეს მოთხოვნაზე, რომ კრემლმა ცნოს დამოუკიდებელი საქართველო იმ საზღვრებში, რომელშიაც ის ცნობილი იყო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით.

მე ვეთანხმები ნოდარ ერისთავს: ეროვნული განთავისუფლების მოძრაობას და მის ცალკეულ მიმდინარეობას უნდა ჰქონდეთ, რაც შეიძლება სრული და დახვეწილი პროგრამები დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობისათვის, მის ყოველ უბანზე, მაგრამ მათ განხორციელებაზე ახლა კი არ უნდა ზრუნავდენ.

აგრეთვე არ უნდა დაგვაფიწყდეს დიდებული შოთას შეგონება: „მუშა მიწყვი მუშაკობდეს, ფალავანი ფალავნობდეს“.

ყველა ქართველი თავს უნდა გრძნობდეს მობილიზებულად ეროვნული განთავისუფლების წმინდა საქმეში, მაგრამ ამავე დროს ყველამ თავის დაზგასთან იმუშაოს და მიჰყვეს მის რჩეულ პოლიტიკოსს.

კვლავ მწვავედ დგას საკითხი თანამშრომლობა-თანაბრძოლისა ეროვნულ-განთავისუფლების მოძრაობასა და, ერთი მხრით, კომუნისტებს და, მეორე მხრით, შეგუებულ-კოლაბორაციონისტური ინტელიგენციის შორის. უნდა ვაღიაროთ, რომ საკითხი მტკიცეულია და მის მორჩენას დრო სჭირდება. უდავოა, რომ დღევანდელ კომუნისტებს მათი პოლიტიკური წინაპრების ცოდვები არ უნდა მოეთხოვოთ. ვისაც ქართველი კაცის სისხლში ხელი არ აქვს გასვრილი, არავის არ უნდა ეთქვას უარი, ჩადგეს ეროვნულ მებრძოლთა რიგებში. ინტელიგენციის მოწყვეტა, ჩამოშორება იქნება ეროვნული მოძრაობის უეჭველი მარცხი. მხოლოდ, ინტელიგენციაც არის და ინტელიგენციაც. არის შრომისმოყვარული, მცოდნე, შემოქმედი და პატიოსანი ინტელიგენცია და არის მოინტელიგენტო, პარტბილეთიანი სხვადასხვა დარგის, ხელისუფლებისგან ნდობით აღჭურვილი დირექტორები. ისე კი: საქართველოს სად ჰყავს შვილი დასაკარგავი. ღარიბი კაცი ძველმანებსაც ვერ იმეტებს გადასაყრელად.





თბელებს შეუმოკლებლად და შეუსწორებლად  
 -----  
 შიშვენიერება

„აკაკი რამიშვილი, ლონდონი 4 ივნისი 1990 წ.“

(თქვენი სტატია: „გუშაგი“ №21, მარტი 1990, გვ.  
 137 - 146 )

ბატონო რედაქტორო!

ახლა ხომ აშკარაა, რომ „ბოიკოტის“ მომხრეების ძალდატანით არჩევნების გადადება შემდეგისთვის შეცდომა იყო. ყველა სხვა რესპუბლიკებში მოხდა არჩევნები და აირჩიეს სახალხო ფრონტების კანდიდატები. მარტოკა საქართველოს დაურჩა 100%-ანი კომუნისტური პარლამენტი: ამით ქართველი ერი (დროებით) მოკლებულია იურიდიული ორგანოთი, რომელსაც შეუძლია გამოვიდეს მთელი ქართველი ერის სახელით საერთაშორისო ასპარეზზე.

მაშასადამე გამართლდა ის „განცხადება“ რომელსაც ხელი მოაწერა მარტოკა პატარა ნაწილმა ემიგრაციის. მათი სურვილი იყო, რომ ქართველებს აერჩიათ „ერთად ყოფნა“ და სახალხო ფრონტი მოეხმარათ როგორც ყველა პარტიათა საერთო პლატფორმა, არაკომუნისტების ასარჩევად პარლამენტში. ეს იყო დამყარებული ლეგალენსას და სოლიდაროსის მაგალითზე პოლონეთში: მაგათ ხომ არავენ გაუბედავს დააბრალონ „სუკის აგენტობა“, „მოსკოვის მიერ მოწყობილი არჩევნების მომხრეობა“, „მოსკოვის დეზინფორმაციის მსხვერპლად ყოფნა“, ანდა „თავიანთი ერის დამოუკიდებლობის წინააღმდეგობა“ (რაც აშკარად ყალბად გამოცხადებას უდრის), ანდა მათ წინააღმდეგ „უნდობლობის რეზოლუციის“ გამოტანას?

მე მივიჩნევ, რომ ამას კადრულობენ ვიღაცეები ჩვენ სამშობლოში და ემიგრაციაშიც. ამისთანა ბრალდებების წამოყენება დემოკრატიის უარყოფაა: ამისთანა საშუალებებს ხმარობს ან ფაშისტები, ან კომუნისტები. თქვენ, ბატონო რედაქტორო, ცუდათ ვაგიგიათ: „განცხადების“ ხელმომწერი ყველანი მომხრეა დამოუკიდებლობის, და ყველანი თაყვანს სცემს მერაბ კოსტავის ხსოვნას.

ერთი აშკარა რამ მოჩანს: 1918 წლის გაზაფხულს საქართველო იმყოფებოდა საშინელ პირობებში. მას არ ჰქონდა არც თავისი სახელმწიფო, ტერიტორია, ადმინისტრაცია, სახელმწიფო აპარატი, არც ქართულ ენაზე აღზრდილი ხალხი= მას მარტოკა ჰყავდა ქართველი ერი, რომელსაც ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდა ოსმალეთის

იმპერია. მაგრამ ქართველმა ერმა მაინც შესძლო თავისი დამოუკიდებლობის გამოცხადება და კიდევაც შენარჩუნება 3 წელიწადის მანძილზე ისთვის მოხდა, რომ ჩვენ ერს ჰყავდა გამოჩენილი პოლიტიკური ლიდერები **ს ა მ ი ვ ე** მთავარი პარტიის (დემოკრატიის მცოდნენი). 1990 წელს საქართველო იმყოფება გაცილებით უკეთეს პირობებში დამოუკიდებლობისათვის = მას ჰყავს თავისი (მართალია საბჭოთა) რესპუბლიკა, საზღვრები, მთელი სახელმწიფო აპარატი, და კიდევაც ათასობით მომზადებული სპეციალისტები ყოველივე დარგებში, — ყველანი აღზრდილნი ქართულ ენაზე; და 9 აპრილის შემდეგ კი არ მოიპოვება ქართველი რომელსაც არ უნდოდეს დამოუკიდებლობა. მაგრამ მომზადებული პოლიტიკური მოღვაწეები არა ჰყავს, ანდა ვინცა ჰყავს იმისთანებს ემტერებიან: ნუთუ ის პირები, რომლებმაც აიძულეს პროფესორი მამარდაშვილი თავი შეეფარებია საზღვარ გარეთ, ანდა პროფესორი აკაკი ბაქრაძე რომ გადამდგარიყო რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარეობიდან, — არ არიან თვითონვე „ანტიეროვნული ელემენტები“? ყველგან სადაც პარტიზანული მოძრაობის ლიდერებმა ხელში ჩაიგდეს ხელისუფლება, ამას მოჰყვა არა დემოკრატია, — მაგრამ დიქტატურა.

#### აკაკი რამიშვილი“

**ჩ ე მ ი პ ა ს უ ხ ი:** ჯერ ერთი, მითითებულ სტატიას ხელს აწერს გიორგი წერეთელი და არა ბ-ნი რედაქტორი. თუმცა ეს ერთი და იგივეა, მაინც რა საჭირო იყო პომპოზური „ბატონო რედაქტორო!“ მეორეც, იმ სტატიაში არსად არაა თქმული, რომ ბ-ნი ა. რამიშვილი ან „განცხადებაზე“ ხელის მომწერნი „სუკის აგენტები“, ან „დამოუკიდებლობის წინააღმდეგნი“ იყვნენ. ხოლო, რაც შეეხება მერაბ კოსტავას, რომ თქვენ თაყვანს სცემთ მის ხსოვნას, ამას მე ვესალმები, მაგრამ ლოდიკა მოითხოვს, რომ მის უახლოეს თანამებრძოლებს „ფაშისტებად“ და „ექსტრემისტებად“ არ იხსენიებდეთ.

მე აქ ისტორიის ლექციის ჩატარებას არ ვაპირებ, თუ არა სულ ადვილია იმის დამტკიცება, რომ დღევანდელ პირობებში გაცილებით უფრო ძნელია დამოუკიდებლობის გამოცხადება და განხორციელება, ვინემ ეს იყო 1918 წლის 26 მაისს. რაც შეეხება მაშინდელი და ახლანდელი ლიდერების შედარებას, ეს რა საკადრისია! მაგრამ ერთ რჩევას გკადრებთ: დაუნჯებული სიძველე, დიახაც ძვირფასია, — მაგრამ დღევანდელი ლობიო გერჩიით, ოდესღაც მირთმეულ ხიზილალას. პატივისცემით,

თქვენი გიორგი წერეთელი

ამ წლის დასაწყისიდან დღემდე, შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრი დრო დაეთმო საქართველოს და ქართველებს. „გუშავის“ მკითხველთათვის უკვე ცნობილია აქ იანვარში ჩატარებული სიმპოზიუმი საქართველოზე. ამას თან მოყვა მომღერალთა და მოცეკვავეთა გუნდ „რუსთავის“ გასტროლები კანადაში და შ. შტ. - ში, ნიუ-იორკში, სადაც იმავე დროს საგასტროლოდ იმყოფებოდა რუსთაველის თეატრი, რომელმაც წარმოადგინა შექსპირის „მეფე ლირი“. შეიძლება ითქვას, რომ ერთკვირიანი გამოსვლები „რუსთავის“ გუნდისა და „რუსთაველის“ თეატრისა ჩაითვალოს ქართული კულტურის ჩვენების დიდ წარმატებად.

შ. შტ. - ში აგრეთვე იმყოფებოდა მომღერალ-მოცეკვავეთა გუნდი „მეტეხი“, რომლის შესახებ ცნობები ცოტაა, აგრეთვე ქ. ვაშინგტონში ერთ-ერთ რადიო სადგურმა საქართველოზე ჩაატარა ერთსაათიანი გადაცემა. 9 აპრილს „პუბლიკ ტელევიზიის“ ერთსაათიან ეროვნული მასშტაბის გადაცემაში 45 წუთი დაეთმო საქართველოს და იქ ამჟამად არსებულ მდგომარეობას. აგრეთვე, საქართველოდან ჩამოსული პროფესორი გაჩეჩილაძე ორი თვის განმავლობაში მოხსენებებს აკეთებდა საქართველოზე სხვადასხვა ქალაქებში, ვაშინგტონში, ნიუ-იორკი, ჩიკაგოს ჩათვლით. როგორც გავიგე, ქართველები ხშირად სტუმრობენ ჯორჯიას შტატის დედაქალაქ ატლანტას და ვაშინგტონის შტატის ქ. სიატელშიამ ზაფხულში უნდა გაიხსნას ქართული კულტურის ცენტრი.

„რუსთავის“ კონცერტს იხილავს გაზეთ „ნიუ იორკ ტაიმის“-ს ცნობილი კრიტიკოსი ანა კისელგოფი. ვრცელ სტატიაში, ის მკითხველს განუმარტავს ცეკვებისა და გუნდის ისტორიას და საერთოდ ქართული ცეკვების ისტორიასა და ტრადიციებს, რაც აუცილებლად დახმარებას უწევს მკითხველს მის გაგებაში. ის წერს: „ცეკვებთან ერთად გუნდი დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს მუსიკასაც და ცდილობს ახალი რამ შემატოს წარმოდგენას, რომელიც ინარჩუნებს ტრადიციულ გამოსახულებას“. სტატიის ავტორი ოდნავ შედარებას მიმართავს „რუსთავის“ გუნდსა და საქ. სახელმწიფო მოცეკვავეთა ანსამბლს შორის, რომელმაც პირველმა გააცნო ამერიკის კონტინენტს ქართული ცეკვები, და ის წერს: „ამ ჯგუფებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. „რუსთავის“ პროგრამაში ცეკვასთან ერთად მისი ნაწილია მამაკაცების ჩინებული ხორო. თუ კი არასდროს მოგი-

\*\*\*\*\*  
 სმენიათ ქართული ხოროს მშვენიერი პოლიფონიური უღერხ. ამან-  
 გთავაზობთ ათკაცთა ხორო აღსანიშნავი სიძლიერით“.

ქალ—ნი კისელგოფი აღნიშნავს, რომ „რუსთავის“ ჯგუფი უფრო მოდერნულად გამოიყურება და ფრიდონ სულაბერიძის ქორეოგრაფია ზოგჯერ უფრო აწინაურებს მარდ ნიმუშებს, ვიდრე დეკორაციულს. „სახელმწიფო მოცეკვავეთა ანსამბლის მამაკაცებს ჰქონდათ უფრო მეტი დაუმუშავებელი ენერჯია, იმ დროს, როდესაც „რუსთავის“ მიერ წამოწეულია დახვეწილი ვირტუოზულობა. მაგრამ საკუთარი ენერჯიის ნაწილი არასდროსაა საეჭვო. ავტორი მის ვრცელ რეცენზიას შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „ქარბუქისეულ მუხლებზე ტრიალს მასურებელი მიჰყავს აღფრთოვანებულ შეძახილებამდე, მეტის თხოვნამდე, რაც მორჩილებითაა დაკმაყოფილებული და ის დაკავშირებულია ფინალთან — მამაკაცების ხორო მღერის: *America The Beautiful* (მშვენიერი ამერიკა).

რაც შეეხება რუსთაველის სახელობის თბილისის დრამატიული თეატრის ქ. ნიუ იორკში ერთკვირიან გასტროლებს, ამის გადმოცემა შეიძლება სულ უბრალოდ, გაზეთ „ნიუ იორკ ტაიმსში“ თეტრალური ხელოვნებისმცოდნე მელ გუსოვის რეცენზიის განმეორებით: „რობერტ სტურუას მიერ დადგმული „მეფე ლირი“ იმდენად უდრეკი და ძლიერია, რომ ადვილად გასაგებია თუ რატომაა მიჩნეული თეატრის დასის მიერ შექსპირი, როგორც საკუთარი ეროვნული დრამატურგია...“ რეცენზიის ავტორი თავდაპირველად მკითხველს მოკლედ აცნობს სცენაზე მოქმედებათა მიმდინარეობას და ცალკეულ მომქმედებებს ეხება. „მისი სამეფოს განაწილების შემდეგ მეფე ხდება სატანისეული. თუმცა გამოიყურება, როგორც სულელი, იგი არ არის სულელი. როდესაც მეფის პორტრეტს მოულოდნელად და მკაფიოდ აჩვენებს აქტიორი რამაზ ჩხიკვაძე, მეფისა, რომელიც სინამდვილეში არასდროს დათმობს მეფის გვირგვინს, მაშინაც კი, როდესაც სპექტაკლი გადმოგვცემს „მეფე ლირის“ ბუნდოვანებას, მსახიობების მიერ გამოძეღვნილია კომედია. ბნი ჩხიკვაძე განმაიარალებლად სასაცილოა, კარიკატურისეულად; მსგავსი: პატარა მეფის ან ჰოლივუდელი დესპოტი მაგნატისა, რომელსაც შეუძლია მისი სურვილის მიხედვით ვინმე დაამციროს... გლოჩესტერის როლში, ჩასუქებული ხუჭუჭვერიანი მსახიობი ავთანდილ მახარაძე (ცნობილი ფილმიდან: „მონანიება“), გამოუვალ მდგომარეობაშია, როდესაც ვერ გადაუწყვეტია, თუ რომელი ირჩიოს ორ ვაჟიშვილთაგან, და მშო-

ბლის გაუგებრობაში პოულობს კომედიას, მაგრამ მახარაძე არ უნდა ვეებს უყურადღებოდ ადამიანის ბრმა სასოწარკვეთილებას... უსულელის როლში, ბ-ნი ქანრი ლოლაშვილი, ყურებამდე ჩამოშვებული თმით, გამოიყურება, როგორც განგაშით მოცული ჯამბაზი. მსგავსად თვით დადგმისა, ის უფრო აქტიურია, ვიდრე უქმედი და არა ისეთი ვინმე, რომელიც ადვილად განიცდის ლირის უხეშობას...“ აგრეთვე ქე-ბითაა მოხსენებული მხატვარი მირიან მშველიძე.

ამ სამ საათიან პროდუქციაში, ამბობს ავტორი, „ყურმილით მოს-მენილი თარგმანი უფრო ხელის შემშლელია, ვიდრე დამხმარე... იმ-ათთვის, რომლებსაც არ ესმით ქართული ენა, უსათუოდ ეს არის „მეფე ლირი“ შექსპირის სიტყვების გარეშე, მაგრამ ისე როგორც ინგმარ ბერგმანის „ჰამლეტი“ და შექსპირზე დაფუძნებული აკირა კუროსავას ფილმი, სტურუას „მეფე ლირის“ მიერაც გადაღებულია ენათა შორის განსხვავებით შექმნილი დაბრკოლება... ბატონი სტუ-რუა მის „მეფე ლირს“ ამთავრებს ასეთი სახით: ლირი მიათრევს კორდელიას ნეშტს და ჯდება კარნაგის ველის ცენტრში. მისი მწუ-ხარე ღმუილით, ის არის ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი ადამი-ანი, რომელიც იძულებულია დაუპირისპირდეს თავისივე მსხვერპლად გაღებას და განადგურებას მისი სამეფოსი. ცახცახით დეკორაცია იწყებს ნგრევას. როგორც ბ-ნი სტურუა განმარტავს, „მეფე ლირის“ დასასრული არის საშინელი გამოსახულება აპოკალიპსისა“.

რუსთაველის თეატრმა მისი უკანასკნელი წარმოდგენა რვა აპრი-ლს ნასადილევს ჩაატარა, რომელსაც მეც დავესწარი და მინდა „გ-უშაგის“ მკითხველებს გავუზიარო ჩემი არაპროფესიონელის პირადი შთაბეჭდილება: როგორც ეს ქართველებს ხანდახან ჩვევიათ, მეგონა, რომ საქართველოს გაზეთებში დასტამებული ცნობები რუსთაველის თეატრის გასტროლების წარმატებებზე უცხოეთში, გადაჭარბებული იყო, მაგრამ პირადად წარმოდგენაზე დასწრების შემდეგ დავრწმუნ-ნდი, რომ თეატრმა აუცილებლად დაიმსახურა გამოთქმული ქებანი და იმსახურებს უფრო მეტსაც.

სამწუხაროდ, საქართველოში ჩემი ცხოვრების პერიოდში არასდ-როს მქონია შემთხვევა, რომ შექსპირის ნაშრომებიდან რომელიმე მეზილა. უცხოეთის ცხოვრების ხანაში, რომელიც თითქმის სამნახე-ვარჯერ აღემატება საქართველოში გატარებულ დროს, „მეფე ლირი“ ნახული მაქვს სამ სხვადასხვა ენაზე, სხვადასხვა შემადგენლობით წარმოდგენილი, სხვადასხვა დასების მიერ. დღეს ის წარმოდგენები



მეჩვენება, როგორც დაბალი დონის, რუსთაველის თეატრის დადგმის ნახვის შემდეგ.

უპირველეს ყოვლისა უნდა ვილაპარაკო იმ თეატრზე, სადაც სპექტაკლი იყო ნაჩვენები. ეს არის ძველი თეატრი, რომელიც თითქმის დანგრევის პირზეა მისული. სცენა საერთოდ აღებულია და ყოფილი სცენის არე იატაკის იმავე დონეზეა, სადაც ამფითეატრის პირველი რიგი იწყება. ე. ი. თქვენ არ უყურებთ მას დაბლიდან მაღლა, არამედ პირიქით. როგორც ეტყობა, მხატვარმა ადრევე შეისწავლა თეატრის აღნაგობა და დეკორაციაც მას შეუზავა ისე, რომ თეატრში შესულ მაყურებელს ის ეგლინება, როგორც ნაწილი თეატრის მოძველებული და ნაკლებად მოვლილი შენობისა. (ფარდა საერთოდ არ არსებობს).

დაიწყო წარმოდგენა თითქოსდა ნელი ტემპით, ტემპი თანდათანობით მატულობს. უკვე ვერ ვამჩნევ თუ სად ვარ და ვხდები ნაწილი თუ მონაწილე მოქმედებისა. ტემპმა უმაღლეს წერტილს მიაღწია და არც კი მესმის თუ რომელ ენაზე მიმდინარეობს მონოლოგები თუ დიალოგები, მაგრამ ყველაფერი გასაგებია, რადგანაც დარბაზის მთლიანი შემადგენლობა, თითქოს ჯადოთი მოცულნი, გაშეშებულია. მეფე დასტირის მის ქალიშვილს კორდელიას და ის კედლები, რომლებიც თავდაპირველად შენობის ნაწილებად გამოიყურებოდნენ, — ინგრევიან. და მეც, ცრემლებით სავსე თვალებით, ჯადოსგან გამოვედი. ოჰ, მხოლოდ ის ღირდა სანახავად, თუ როგორ აცლის მკვდარ კორდელიას წამწამებში შერჩენილ ცრემლს მეფე, რომლის სახელმწიფო მის თავზე ინგრევა.

სპექტაკლის შემდეგ, როგორც ეს ჩაუფიქრებია ნიკო თოფურიას და სხვა ნიუ იორკელ ქართველებს, მოეწყო თეატრის საპატივცემო წვეულება „ბრუკლინ მუსიკალ აკადემიის“ ერთ დარბაზში, რომელსაც დაესწრო რამდენიმე ამერიკელი და ინგლისელი მსახიობიც, მათ შორის, ინგლისის ერთ ცნობილ თეატრალურ ოჯახიდან, ვენესა რედგრავი. მას ვკითხე თუ როგორ მოეწონა სპექტაკლი. ქ—ნმა რედგრავმა მოკლედ მიპასუხა: მე დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისის მხოლოდ ერთი ან ორი თეატრი წარმოადგენს შექსპირს ამ დონეზეო.

წვეულებაზე დასის შემადგენლობის გარდა იყვნენ მათი თან მხლებლები კორესპონდენტები, ოპერატორები და ჟურნალ „ხელოვნებას“ მთავარი რედაქტორი, მოგვიანებით მოვიდა ანზორ ერქომაიშვილი ოპერატორ იურა ბარამიძის თანხლებით. სიტყვები წარმოსთქვეს

სტუმრებმა, თვით ბ-ნ რობერტ სტურუას ჩათვლით და მჭადუნეშვი-  
თველების სახელით კი ჩვენმა უხუცესმა, 97 წლის, პრიციპალი  
გიორგი ნაკაშიძემ.

ნადიმის მსვლელობაში გადაწყდა, რომ მეორე დღეს 9 აპრილს,  
თბილისის ტრაგედიის ერთი წლისთავი აღგვენიშნა ეკლესიაში პა-  
ნაშვიდით, რაც ასევე მოხდა უკრაინელების ეკლესიაში, სადაც  
„რუსთავის“ ხორომ იგალობა.

გაცხოველებულ კულტურულ ურთიერთობას აქვს ადგილი საქართვე-  
ლოსა და ჯორჯიას შტატს შორის: აპრილში 250 კაციანი საქართვე-  
ლოს დელეგაცია იმყოფებოდა ქ. ატლანტაში, ხოლო ფოთის ქალაქ-  
ის 12 კაციანი დელეგაცია ესტუმრა მასთან დადობილებულ ქ. ლა-  
გრანკს.

ლ ა დ ო ბ ა ბ ი შ ვ ი ლ ი

\*\*\* \*\*

ფ ი ქ რ ე ბ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ი ს ი ა ზ ე  
(გაგრძელება)

სიყვარულის, მშვენიერებისა და ხელოვნების განუყოფლობაში გვა-  
რწმუნებენ აგრეთვე შოპენპაუერის ძვირფასი დაკვირვებები ხელოვნებაზე. განა ფატა მორგანას, ადამიანის ფორმის იდეალურ სურათ-  
ხატს რომ წარმოადგენს მოქანდაკის წარმოსახვაში, მისივე წარმო-  
სახვა არ ქმნის და არ ამთლიანებს ცხოვრებაში დანახული უამრავი  
ადამიანის უმშვენიერეს ნაკვთთაგან და ნაწვეართაგან, რაიც  
ნატურის გარეშე ძერწვის საშუალებას აძლევს მას? განა ამით თა-  
ნაარსი არ ხდება იგი მიჯნურის წარმოსახვაში შექმნილი მშვენი-  
ერების იდეალისა? გინდაც მუსიკის მომნუსხველ ძალას არა ჰგავს  
მგზნებარე სიყვარული, თავს მოხვეულ ნებასავით რომ იპყრობს და  
იმორჩილებს ადამიანის მე-ს? თავსმოხვეულს ვამბობ და არ მავი-  
წყდება, რომ ადამიანი საკუთარი ნებით ეძლევა როგორც ერთს, ას-  
ევე მეორეს. ასე რომ ჩასახვისთანავე სიყვარული ღრმად უკავში-  
რდება ხელოვნების საწყისს, თუნდაც იმით, რომ ორთავემ ზეადა-  
მიანური ძალით იცის შეპყრობა. მაგრამ სიყვარულის ჩასახვას ცხო-  
ვრებისეული, გინდაც ლიტერატურულ რომანში ანაზღად ქორწილი  
როდი უნდა მოხდეს. გამოსაცდელად სიყვარულმა ზამთარიც უნდა  
განვლოს, ჭკნობისა და კვდომის პერიოდი, მრავალი სიძნელე და გა-  
ნსაცდელი უნდა გადალახოს, რისი განხორციელება მხოლოდ გაბედ-

ულ, თავისუფლებისმოყვარე ადამიანებს ძალუძოთ. განა განვითარდობდა რომანის უანრი იქ, სადაც კანონები და ტრადიციები, ჩადრით, თუ უჩადრით ზღუდავდნენ ადამიანის თავისუფლებას და სიყვარულის გრძნობას ბუნებისმიერ საფეხურზე ყინავდნენ? ჩადრის საუფლოში, სადაც მოსახლეობის ნახევარი უუფლებო და გამოთიშული იყო სოციალური ცხოვრებიდან, ვერც რაინდობის ინსტიტუტი, ვერც რომანის უანრი აღორძინდებოდა. ყურანი არ ცნობდა ღმერთის განკაცების შესაძლებლობას, არც თავისუფლების საწინდარს, სულიწმინდას ცნობდა იგი; ამადაც ალაჰის მონებად შერაცხულ ადამიანებში გამოორიცხავდა თავისუფლების მომენტს. შინაგან თავისუფლებას იმ სამყაროში ორთოდოქსალურ მუსულმანობაზე ამაღლებული სუფისტი პოეტები და ცალკეული განვითარებული ინდივიდუალობები თუ აღწევდნენ. ამგვარი ტრადიციების ბატონობას ადამიანებზე განგება ალბათ იქ უშვებდა მხოლოდ, სადაც ჯერ ისევ ეძინა ადამიანის ცნობიერებას, სადაც აზროვნებაზე ჯერ ისევ ემოციები ბატონობდნენ, სადაც ჯერ კიდევ არ მინელებულა მათი თვითნებობასა და აღვირახსნილობაში გადაზრდის და აქედან გამომდინარე სოციალური და ყოფითი ქარსის საშიშროება.

უმადლესი გაგებით, ჭეშმარიტი სიყვარული სრულ თვითდათმობას გულისხმობს, რაც წარმოუდგენელია ორივე სქესის წარმომადგენელთა თავისუფლების გარეშე, ურთიერთისადმი მხოლოდ ინდივიდუალობიდან გამომდინარე სწრაფვის გარეშე, რასაც ვერავითარი ტრადიცია, ვერავითარი დაბრკოლება და სიძნელე წინ ვერ დაუდგება. აქ უკვე მიჯნურთა მორალური მხარე გამოდის წინა პლანზე, ფორმისმიერ მშვენიერებას, ესთეტიკის მომენტს, ერწყმის უფორმო ზნეობრივი მშვენიერება, ეთიკის საწყისად რომ მივიჩნევთ და ქცევებსა და ქმედებებში მით უფრო ძალუძოდ რომ ვლინდება, რაც უფრო მეტ წინააღმდეგობასა და დაბრკოლებას გეთავაზობს ცხოვრება. აქ სიყვარული ტრადიციების გამგონე კი არ ხდება, არამედ ინდივიდუალურ თვისებებად გამოვლენილი, ღირსებისა და მოვალეობის გრძნობის, სიქველისა და თავგანწირვის გასაოცარ მაგალითებს წარმოგვიჩენს. დაბრკოლებათა და საშიშროებათა გადალახვისას ან იმარჯვებს იგი და ქორწინებით მთავრდება, ან გამირები იღუპებიან, რადგან სიკვდილს ამჯობინებენ სატრფოს წინაშე შელახული სინდისითა და ღირსებით წარმოჩენას. რომანის უანრი (გგულისხმობს საუკეთესო ნიმუშებს ამ უანრისას) ცხოვრებაში ღრმად ფეს-

ვებგადგმული თავისუფლების პირმშოა, იმ სოციალური ცხოვრების პირმშო, ქრისტიანობამ რომ აპყარა ბორკილი. თავისუფლებას არმოუდგენელია იმ ვაჟკაცობის გარეშე, რომლის ჭეშმარიტი საფუძველი სიყვარულია მხოლოდ. ადრეც აღგვინიშნავს, რომ სწორედ ქალის იდეალიზებამ დახვეწა ურთიერთობანი ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ვაჟკაცობის ყველაზე კეთილშობილური ფორმა, რაინდობა წარმოშვა. ადამიანებისთვის თანდათან თვალსაჩინო ხდებოდა არა მარტოდენ ქალის სიყვარულის და ვაჟკაცობის განუყოფლობა, არამედ ისიც, რისთვისაც მაცხოვარი და მოციქულები ღალადებდნენ: ღვთისა და საერთოდ მოყვასის სიყვარულის ვაჟკაცობასთან განუყოფლობა.

მხოლოდ სიყვარულს რომ ძაღედვა ქაჯეთის ციხის აღება, კარგად უწყოდა რუსთაველმა, რადგან არა მარტოდენ წაუკითხავს, არამედ მთელის გულითა და გონებით განუცდია ის, რასაც სიყვარულზე მოციქულნი წერდნენ. მან კარგად უწყოდა მნიშვნელობა იოანე ღვთისმეტყველის სიტყვებისა: „შიში არ არს სიყვარულსა თანა, რამეთუ სრულმან სიყვარულმან გარე განდევნოს შიში.“ იცოდა აგრეთვე, რომ, იესომ ქრისტემ მხოლოდ მაშინ აღასრულა უმაგალითო ვაჟკაცობისა და თავდადების მისტერია, მხოლოდ მაშინ მისცა ებრაელებს თავი ჯვარზე საცმელად, როცა ბოლომდე შეიყვარა მოყვასნი თვისნი.

მაგრამ გოლგოთის მისტერია ამავდროს ხელოვნების გასაოცარი მისტერიაცაა, სრულყოფისა და უკვდავების მისტერია.

ჭეშმარიტი შემოქმედება უსაზღვრო სიყვარულსა და ვაჟკაცობას ჰგულისხმობს, მსხვერპლად თავის დადების ფარდი რომაა, რადგან ხელოვანი საკუთარ სულს სდებს თავის ქმნილებაში და რაა მსხვერპლად სულის გაღება, თუ არა სიყვარული და ვაჟკაცობა? განა მისი ნატვრა თავისი ქმნილების, ვითარცა მშვენიერების სრულყოფა და უკვდავყოფა არაა? ხატად ხთვისად შექმნილ ადამიანთა შორის, ხელოვანი ყველაზე მეტადაა მიმსგავსებული პირველხელოვანთან, შემოქმედთან, რადგან მასში სწორედ მისი უპირველესი თვისებაა, შემოქმედების უნარი, არეკილი. უფალმა როდი დაასრულა შესაქმნის უამს ადამიანის შექმნა. ლაბორატორია და სახელოსნო მისი ფარული შემოქმედებითი საქმიანობისა, კაცობრიობის მთელი ისტორიაა. ერთარსებამ სამებისა მამა ღმერთით დაიწყო ადამიანის შექმნა, ძე ღმერთით სრულჰყო იგი, ხოლო სულიწმინდით განასრულებს მი-



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

სი უკვდავების საქმეს.<sup>1</sup>

განა კემმარიტ ხელოვანთა ცხოვრებასა და შემოქმედებასა გოთისაკენ მიმავალი გზა არაა არეკლილი? როგორც ქრისტემ ადამიანი, ხელოვანმაც ბოლომდე უნდა განმსჭვალოს თავისი ქმნილება, მასში იტანჯოს, მასში მოკვდეს და მასშივე აღდგეს მკვდრეთით მისსავე უკვდავსაყოფად. ასე, რომ უმაღალითო ვაჟკაცობაა ხელოვნება, საკუთარი შემოქმედების მიმართ ფანატიური სიყვარულისაგან აღძრული. მაგრამ სიყვარული, უკვდავი სულის ეს უზენაესი გამოვლინება, არა მარტო ზემოაღნიშნული ღირსებების შემკრებია, არამედ სიბრძნესთანაც განუყრელ კავშირშია იგი.

სიყვარულისა და განცვიფრების გრძნობა ხომ საფუძველია სიმპათიის გრძნობისა, სიმპათიის გრძნობა კი მიზიდულობის და კონცენტრაციის, განთავისუფლებისა და შემეცნებისა, ისე ვით ანტიპათია განზიდვისა, გაუცხოვებისა და არცოდნისა. სწორედ სიბრძნის სიყვარულისა და სიყვარულისაგან აღძრული ვაჟკაცობის კავშირია, სიკვდილისათვის მზადებით, სიცოცხლეშივე უკვდავებისათვის რომ ამზადებს ადამიანს. ვაჟკაცობა და სიბრძნე გზაა გამოცხადებისაკენ, ნათელხილვისაკენ, სულიერი სამყაროს წვდომისაკენ. ნურავინ ეცდება მათ გარეშე სულიერ სამყაროსთან უშუალო კონტაქტის დამყარებას. მიცვალების, ან ერთი იერარქიით მალლა მდგომი არსების ხილვისას, შიშისაგან უმაღვე სულს განუტეგებს ადამიანი, თუკი ვაჟკაცობისა, როგორც მორალური ფაქტორის და სიკვდილის შიშის დაძლევის გზა არ აქვს გავლილი. ლოგიკისა და აზროვნების უნარის გარეშე კი იგი ვერ გაერკვევა სულიერი სამყაროს ფაქტებში, ვერ განარჩევს დადებით არსებებს ნეგატიურისაგან. განა ვერ უნდა მიხედეთ, თუ რატომ არის პირველი სიტყვა ანგელოსისა: „ნუ გეშინია“, როცა იგი ბიბლიის პერსონაჟებს ეცხადება, ან რა დაემართებოდა მოსეს, სინას მთაზე პირდაპირ რომ შეეხედა იეჰოვასათვის, ან რატომ ჩამოვარდა ცხენიდან და დაბრმავდა პავლე მოციქული, როცა დამასკოს კარიბჭესთან აღდგომილი ქრისტე იხილა, ან რა განცდა დაეუფლა არჯუნას/ბჰაგავატგიტა/, როცა კრიშნა თავისი ნამდვილი სახით წარმოუჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პირები კაცობრიობის ყველაზე განვითარებული ინდივიდუალობები არიან?

მთელი ძველი აღთქმა ვაჟკაცობიდან სპირიტუალობისაკენ მიმავალი გზაა, ცნობიერებისა და სპირიტუალობისაკენ! იგივე გზის ამსახველია ძველპინდური, შუმერული და ძველბერძნული ეპოსი.



ვაყვაცობიდან უმაღლესი ცნობიერებისა და სპირიტუალობისაკენ მიმავალი გზაა ევროპის რაინდული კულტურის გზაც, ოღონდ ქრისტიანობაში იგი და უფრო მეტად მორალურ ფანტაზიაზე დაფუძნებული, ვიდრე კანონისადმი მორჩილებაზე და სულიერი სამყაროს მიერ იძულებაზე. მრგვალი მაგიდის გრაალისა და ტაძრულ რაინდთა ძმობები ღრმა ეზოტერულ სიბრძნეს ფლობდნენ და მათი საუკეთესო წარმომადგენლები უშუალო კონტაქტს ამყარებდნენ სულიერ სამყაროსთან.

რაინდულმა ინსტიტუტმა საქართველოში ვაყვაცობის, კულტურისა და სპირიტუალობის არანაკლებ დონეს მიაღწია, რადგან დასავლეთ ევროპის მსგავსად, აქაც იგივე ძალების შეწყვილებამ განაპირობა იგი. ევროპაში რაინდული მოძრაობა ირლანდიის იბერიის მისტერიებიდან აღმოცენებული ქრისტიანულ-მისიონერული მოძრაობისა და გერმანულ ტომთა სამხედრო სულისკვთების თანაარსებობის საფუძველზე წარმოიშვა. მეტად მაღალი იყო სპირიტუალური დონე ირლანდიელი მისიონერი ბერების მთელს ევროპას რომ მოედნენ. უზარმაზარ ზემოქმედებას ახდენდნენ ისინი მეომართა ტომების წინამძღოლებზე, ვაყვაცობით გამორჩეულ ინდივიდუალებზე. ჯერ კიდევ მანუს კანონებიდან ცნობილი ბრამინებისა და ქშატრიების სულიერი ნათესაობა ახლებურად ვლინდებოდა ახალ ევროპულ გარემოში. არა ნაკლები ძალით წარმოჩნდა იგი საქართველოშიც, რადგან ბერობა ჩვენში, განსაკუთრებით მეცამეტე საუკუნემდე, მაღალ სპირიტუალურ და მორალურ ძალას წარმოადგენდა. როგორც ანთროპოსოფიური სულიერი მეცნიერების ფუძემდებელი, რუდოლფ შტაინერი აღნიშნავს, ქრისტიანულ მონასტერთა მკვიდრნი აღმოსავლეთში გაცილებით უფრო ღრმა და მნიშვნელოვან საიდუმლო სიბრძნეს ფლობდნენ, ვიდრე დასავლეთის მონასტერთა მკვიდრნი. მაღალი ზნეობრივი და სპირიტუალური ძალების ფლობაზე, სულიერ სამყაროსთან უშუალო კონტაქტზე დალაღებს ჩვენში ასურელ მამათა და სამხრეთ საქართველოს უდაბნოთა მოღვაწეების ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები. იოანე ზედაზნელისა და მისი თორმეტი მოწაფის მოღვაწეობის მასშტაბები და მნიშვნელობა არაფრით ჩამოუვარდება ირლანდიელი კოლუმბანისა და მისი თორმეტი მოწაფის მოღვაწეობის მასშტაბებს. განა ისევე არ ზემოქმედებდნენ საქართველოში რელიგიის მისიონერები სამხედრო პირებზე, როგორც დასავლეთ ევროპაში? განა შიო მღვიმელის უპირველესი მოწაფე არ გახდა ქართლ-

ის მეფის, ფარსმანის მხედართმთავარი ევაგრე? განა დავით გარეჯელის შემწედ არ იქცა შფოთისმოყვარე ფეოდალი ბუხარა, თველი? განა არ აღწერს გიორგი მერჩულე, თუ როგორ გამაკეთილშობელ გავლენას ახდენდნენ საქართველოს მეფეზე და ფეოდალებზე გრიგოლ ხანძთელი, საბა იშხნელი და ძმანი მათნი სულსმიერნი? ცნობილი რელიგიური მოღვაწენი, ათონის მონასტრის ბერები, იოანე მთაწმინდელი და თორნიკე ერისთავი, საქართველოს მეფის მხედართმთავრები არ იყვნენ ოდესღაც? მონასტერში არ დაასრულა ცხოვრება „შენ ხარ ვენახის“ ავტორმა, დიდგორისა და დარუბანდის ბრძოლათა გმირმა, დემეტრე პირველმა? რაინდობის უმაღლეს გამოხატულებას წარმოადგენს დავით აღმაშენებლის ცხოვრება და თამარ მეფის კულტი საქართველოში, ხოლო რაინდული პოეზიის მწვერვალს — რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

სპირიტუალურ უნარებს იმეამად მარტოოდენ სასულიერო პირები როდი ფლობდნენ. მრგვალი მაგიდის, გრაალისა და ტაძრული რაინდების მსგავსად საქართველოშიც ჰქონიათ ერისკაცებს წიაღსვლები სპირიტუალურ სფეროში. მაგალითად დავით აღმაშენებლის არაჩვეულებრივი სპირიტუალური უნარის შესახებ ცნობას გვაწვდიან მისი თანამედროვე ისტორიკოსი („აზმანი შარავანდედთანი“) და პოეტი იოანე შავთელი („აბღულმესია“). მათი თქმით, რაღაც საოცარი უნარის მეოხებით, დავით აღმაშენებელმა იცოდა თითოეული ეკლესიის მსახურისა თუ ფეოდალის არა მარტოოდენ ცხოვრებისეული ფაქტებით განპირობებული ზნეობრივი დონე, არამედ ფიქრებიც და განზრახვანიც. ამის შიშით ვერავინ ბედავდა ღალატისა ან სხვა რამე ბოროტი განზრახვის ფიქრაღაც გავლენას და საქართველო ძლიერების გაუზუნარი შარავანდედით ელავდა. დავით აღმაშენებელი ჯაშუშთა კარგად ორგანიზებული ქსელის მეოხებით რომ ყოფილიყო ამგვარად ინფორმირებული, აქ გასაკვირი არაფერი იქნებოდა, რადგან მსგავსი რამ მავანთა და მავანთა განმგებლობისას სხვა დროშიც მომხდარა. ცხადია, ძლიერი სახელმწიფო არასოდეს გამოირიცხავს უშიშროების საშუალებათა ორგანიზაციის მაღალ დონეს, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში სულ სხვა ამბავთან გვაქვს საქმე, დიახ, სხვა ამბავთან, რადგან მემატთანე ან არ დამალავდა სახელმწიფო უშიშროების საშუალებებით ინფორმირების კონკრეტულ შემთხვევებს იმდროინდელ საქართველოში, ან საერთოდ გაჩუმდებოდა ამ საკითხის ირგვლივ. მაგრამ იგი ასე არ იქცევა, ნაწილო-

\*\*\*\*\*



ბრივ დუმისს გაურბის და ამბობს, რომ თუმცა დავითმა იცოდა, რომ ყველაფერი, თავად ფიქრნი და ზრახვანი თანამემამულეთა მხრიდან მაგრამ ვერ იტყვის, ვერ გააცხადებს, თუ როგორ ახერხებდა იგი ამას. მაინც რატომ გაურბის დავითის ისტორიკოსი გააცხადებას იმისას, რაც იცის? რა თქმა უნდა, საქართველოში ყველამ უწყობდა, რომ მეფისათვის ცხადდება ყოველივე დაფარული, რის გამოც შიშითა თუ რიდით იმსკვალებოდნენ მის მიმართ. მაგრამ საიდან, ან როგორ გებულობდა იგი ყოველივეს, რას წარმოადგენს უნარი, რომელსაც ფლობდა, ან რანაირად მიიღწევა იგი, ერთეულებისათვის თუ იყო ცნობილი. ეს საიდუმლო, დავითის გარდა, ვიწრო ეზოტერულ წრეს უნდა სცოდნოდა მხოლოდ, რომლის წევრიც, შესაძლოა, მისი ისტორიკოსიც გახლდათ, მით უმეტეს, რომ უწყობდა რაობა იმ ძალისა, მკითხველს რომ ვერ უმხვს. დავითის ამ უნარისათვის, თამარ მეფის უფროსი თანამედროვე, პოეტი იოანე შავთელიც უნდა ყოფილიყო გათვითცნობიერებული, რადგან ერთის მხრივ, თამარის ეპოქა არც იმდენად იყო დამორბეული დავითისას და საქმენი დავითისანი ჯერ კიდევ აფორიაქებდნენ ადამიანთა ხსოვნას, თანაც დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი პოემის ავტორს ღრმად უნდა შეესწავლა მისი პიროვნება არა მარტოდ იმ ისტორიული, არამედ სხვა წყაროებითაც. პოემის შექმნამდე ჯერ მოწიწების ობიექტად უნდა ქცეულიყო მისთვის ქართველთა მეფე, რაც ერთდროულად მისი ყოველმხრივი შესწავლის საფუძველი უნდა გამხდარიყო. მეორეს მხრივ, როგორც თამარის ისტორიკოსის მონათხრობიდან ჩანს, შავთელიც უნდა ყოფილიყო ნაზიარები იმ საიდუმლოს, დავითის ისტორიკოსისათვის რომ გახლდათ ცნობილი. მემატინანეს ცნობით, სწორედ იოანე შავთელი იყო მთარგმანებელი ღვთაებრივი შეტყობის ეპოსს, ევლოგი სალოსის მიერ წამოსროლილი სიტყვებისა, რითაც მალემსობოლის მოსვლამდე გაიგეს შინ დარჩენილებმა ქართველების გამარჯვების ამბავი ბასიანთან. ხსენებულ მომენტში შემთხვევით როდი იმყოფებოდნენ შავთელი და ევლოგი სალოსი განმარტოებით. როგორც ჩანს, შავთელს მთარგმანების უნარი გააჩნდა, ის სპირიტუალური უნართაგანი, რომელსაც თავის ერთ-ერთ ეპისტოლეში პავლე მოციქული ერთის მხრივ წინასწარმეტყველების უნარზე დაბლა, ხოლო მეორეს მხრივ ქადაგად დავარდნილის უნარზე მაღლა აყენებს და დასძენს, რომ ქადაგად დავარდნილთა უმწყობრო სიტყვებს მხოლოდ მაშინა აქვთ ფასი, როცა მათ მთარგმნელი გააცნობიერებს. სალო-

სი სწორედ ამგვარი მედიუმი, ნახევრად სომნაბული ადამიანის ცნობიერების უქონლობისა გამო ადვილად რომ იპყრობენ დადებითი, ასევე უარყოფითი სულიერი არსებები და შეპყრობის კონველსიისმაგვარ პროცესში უცნობქმნილის სიტყვებით ცდილობენ რაღაც ამცნონ ადამიანებს, სწორედ აქ არის საჭირო მთარგმანებელი. მან უნდა გააცნობიეროს ეს სიტყვები და დაადგინოს, დადებითი არსებებიდან გამოდის ინფორმაცია თუ უარყოფით სულიერ არსებებიდან. ასე, რომ თარმანება სიბრძნის დარგიცაა. ცხადია, კონკრეტული სპირიტუალური უნარის მქონე შავთელი, თავადაც უნდა ყოფილიყო ნაზიარები გარკვეულ ეზოტერულ სიბრძნეს და იმ სპირიტუალური უნარის წარმომავლობაც უნდა სცოდნოდა, დავით აღმაშენებელს რომ გააჩნდა.

შემთხვევითი არ არის ის ამბავი, რომ პოემაში შავთელიც შეფარულად ლაპარაკობს ამ საკითხზე და დავითის ისტორიკოსივით ამ ძალისადმი მოწიწებით გამსჭვალული, ისიც არ განმარტავს მის რაობას. ამჟამად ძნელი არ არის მიხვედრა, რომ ეს ძალა გახლდათ სპირიტუალური უნარი სივრცული ნათელხილვისა. ევროპაში იგი გრაალის ძმობის რაინდებს გააჩნდათ, შორი მანძილიდან, მონსალვატის მთიდან რომ სჭვრეტდნენ ბოროტების კონცენტრაციის კერებს და დროულად მიემგზავრებოდნენ ან აგზავნიდნენ მეგობრებს ძალმომრეობის ასალაგმავად, სუსტთა და დაჩაგრულთა დასაცავად. დავით აღმაშენებლის ნათელხილველობაზე საუბრობენ სწორედ მისი ისტორიკოსი და იოანე შავთელი, ოღონდ შეფარულად, რადგან ძველ დროში, ძალთა და ღორთათვის რომ არ დაეფინათ მარგალიტი, საკრალურ და სპირიტუალურ მოვლენებს საიდუმლოებით მოსავდნენ. აი, გრაალის რაინდების მსგავსად რატომ გაჩნდებოდა ხოლმე დროულად დავითი იქ, სადაც საჭირო იყო, სადაც, მემატიანის თქმით, მას სულაც არ ელოდნენ მტრები. აი, რატომ აქციეს იგი ლეგენდად ევროპელმა ჯვაროსნებმა, მეფე-მღვდელმთავარ იოანეს რომ უწოდებდნენ მას. ჯვაროსანთა ლეგენდა გვაუწყებს, რომ ქრისტიანმა მეფე-მღვდელმთავარმა იოანემ, მუსულმანთა უზარმაზარი არმიის განადგურებით დიდი დახმარება გაუწია ევროპელ რაინდებს, გარდაუვალი დაღუპვისაგან იხსნა ისინი. იმ ეპოქაში ამგვარი რამ მხოლოდ ერთხელ მოხდა, როცა დავით აღმაშენებელმა დიდგორის ომში მუსულმანთა მრავალრიცხოვანი კოალიციური მხედრობა დაამარცხა, ჯვაროსანთა დაუძინებელი მტერი, ნეჯმ-ედინ-ილ-ლაზი რომ სარდლობდა და ამით დიდად შეუუმსუბუქა მდგომარეობა ევროპელებს.



არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დიდგორში, ქართველების მხედრობას, იერუსალიმიდან საგანგებოდ ჩამოსული ასზე მეტი რაინდ-ნიძირი, რომელთა შორის იყვნენ ტაძრელებიც. ამ დამთხვევებს დავითის თავმდაბლობას, ღრმადმორწმუნეობას და სპირიტუალურ უნარებს თუ დავუმატებთ, არ გაგვიჭირდება ქართველთა სახელოვანი მეფისა და მეფე-მღვდელთმთარ იოანეს იგივეობაში დარწმუნება. იგივეობის ამ ვერსიას უკვე იზიარებს მრავალი, როგორც ჩვენში, ასევე დასავლეთში. მღვდელთმთავრობა მეფისა და მისი სასულიერო სახელი იოანე, მხოლოდ ვიწრო ეზოტერული წრისათვის უნდა ყოფილიყო ცნობილი საქართველოში, რაც უთუოდ მასთან ახლო მყოფმა ტაძრელებმაც იცოდნენ, რადგან ტაძრელთა ძმობის წარმომადგენლებიც ფლობდნენ ეზოტერულ სიბრძნეს და გარკვეულ სპირიტუალურ უნარებს, რაც ამ საიდუმლოს განდობის ღირსად ხდიდა მათ. ზემოთქმული უთუოდ ტაძრელებისაგან გავრცელდა ევროპაში, ოღონდ ქართველთა მეფის საზოგადო სახელის გარეშე, რამაც სინამდვილე ლეგენდის საბურველით დაასაიდუმლოვა. ქართველმა მემატთანემ კი პირიქით, საიდუმლოდ შეინახა მღვდელთმთავრობა და ხელთდასმის სახელი დავითისა. დავითი რომ მართლაც ხელდასხმული იყო, ამისათვის დაღადებენ გელათის ტაძრის კედელზე გამოსახული მისი ფრესკა და თავს ზემოთ ციდან ჩამოშვებული ხელი. საქართველოს არც ერთი მეფე, თუ ფეოდალი არ გამოუსახავთ ამგვარად ეკლესიის კედლებზე. თითოეულ სიმბოლოს კი ჩვენს საეკლესიო ფერწერაში ერთობ ღრმა და ამასთანავე კონკრეტული მნიშვნელობა ენიჭება და ციდან ჩამოშვებული ხელი დავითის თავზე უთუოდ მისი ხელთდასხმის მანიშნებელია, ერთდროულად როგორც განგებისმიერი, ასევე ვიწრო ეზოტერულ წრეში განხორციელებული ხელთდასხმისა. რაინდული ლეგენდა დაღადებს: როცა მეფე-მღვდელთმთავარი იოანე და ფრიდრიხ ბარბაროსა ხელს გაუწვდინაო ერთმანეთს, გამხმარი კვერთხიც მაშინ აყვავდებაო. გამხმარი კვერთხის აყვავება ნიშნავს ვეგეტაციის ძალების მძლავრ მოქმედებას, რაიც რელიგიურ სიმბოლიკაში მარადიული ცხოვრებისა და სპირიტუალობის გამოხატველია.

ისტორია ცხადჰყოფს, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფარულ შინაგან კავშირებს მუდამ გლობალური მნიშვნელობა გააჩნდა, რადგან მაღალი სულიერობით აუნჯებდა კაცობრიობის კულტურას. აქვე, ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც უნდა აღვნიშნოთ. რუდოლფ შტიანერი გაგნერის შესახებ თავის ერთ-ერთ ლექციაში ამბობს, რომ წმინდა



გრაალის ბარძიმი, რომელსაც გრაალის ძმობის რაინდები ინახავენ სათუთად მონსალვატის მთაზე, დასავლეთიდან გადატანის იქნა და მოსავლეთში მეფე-მღვდელთმთავარ იოანესთან, რადგან ევროპაში არსებული ვითარების შეცვლასთან დაკავშირებით აღარ შეიძლებოდა მისი იქ დატოვება. ცხადია, აღმოსავლეთში იგი იმხანად ჯვაროსანთა შორის ყველაზე მაღალი სულიერებით აღჭურვილ ინდივიდუალობებს უნდა წაეღოთ. აღსანიშნავია, რომ ტაძრელებს, ანუ ტამპლიერებს, გრაალის ძმობის წინამძღვრის, პარსიფალის ნახევარძმებსაც უწოდებდნენ. თავიანთი მოღვაწეობის უმთავრეს კერაში, იერუსალიმში, მათ არა მარტოდენ ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ სასულიერო პირებთან, არამედ სპეციალური მისიითაც ჩამოსულან საქართველოში დავით აღმაშენებელთან და შესაძლებელია, ბარძიმის საიდუმლო გადაცემაც მაშინ მოხდა. გადმოცემით, გრაალის ბარძიმი გაკეთებული იქნა იმ ძვირფასი ქვისაგან, ოდესღაც ლუციფერის გვირგვინიდან რომ გადმოვარდა დედამიწაზე და მას შემდეგ დიდი ხელთდასხმულები ინახავდნენ მას საიდუმლოდ. გრაალის ბარძიმი ეს ის თასია, იესო ქრისტეს ფერდიდან გადმოღვრილი სისხლით რომ აავსო იოსებ არიმათიელმა გოლგოთაზე, ხოლო შემდეგ, ჩრდილოეთ ევროპაში, ინგლისში წაიღო იგი. მანამდეც და შემდგომშიც, ბარძიმი ვიწრო ეზოტერული წრეების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა, მსოფლიოს ყველაზე მაღალი ინდივიდუალობების მეთვალყურეობის სფეროში.

\*\*\*\*\*

1 სულიწმინდის მოქმედება უშუალოდ განსაზღვრავს პიროვნებიდან ინდივიდუალობის ჩამოყალიბებას, კოსმიურ ცნობიერებასთან ზიარებით მე ცნობიერების გაფართოებას. მისი მეოხებით იქცევა გააზრებული და შექმნილი ადამიანი, შემომქმედ და გამააზრებელ არსებად, მონა ღვთისა ღვთის ძმად და მეგობრად. იგია ზენა საუფლოთა მიზნის, კაცობრიობის ევოლუციის განმასხორციელებელი ძალა და ამიტომაც ამბობს მაცხოვარი: ძის გმობა ადამიანს მოეტყვებო, სულიწმინდისა კი არა. მ. კ.

მ ე რ ა ბ კ ო ს ტ ა ვ ა

\*

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა: თუ მანამდე არ გამოიცა ცალკე წიგნად განსვენებულ მ. კოსტავას ეს ნაშრომი, მისი ბეჭდვა გაგრძელდება შემდეგ ნომერში. გამოცემის შემთხვევაში წიგნს საჩუქრად მიიღე-

\*\*\*\*\*

ბს ყველა, ვინც კეთილი ინება და შემოსწირა მერაბ კოსტავას წიგნის ფონდში და რომელთა ვინაობასაც ვაცხადებთ ხოლო რეგულირულად. შემოწორულებები გრძელდება. შემოწირულების მინიმუმი 100 ამერიკ. დოლარი, 550 ფრანგ. ფრანკი, ან შესაბამისი სხვა ვალუტა. შემომწირველთა ვინაობა და შემოწირულებათა ოდენობა გამოცხადდება წიგნის ბლოში. წიგნზე მიიღება აგრეთვე ხელის მოწერა. წიგნი ეღირება, ფოსტის ხარჯის ჩათვლით, 100 ფრ. ფრანკი, ან მისი შესაბამისი სხვა ვალუტა. ოღონდ გთხოვთ გარკვევით მიუთითოთ თუ რისთვის გვიგზავნით, რადგანაც ჩვენ ვღებულობთ: გუშაგის და მერაბ კოსტავას წიგნის ფონდისთვის და კიდევ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირისათვის.

საქართველოში ერთ-ერთ დამოუკიდებელ გამომცემლობას ვთხოვთ, პატივი დაგვდვას, მოახდინოს ხელის მოწერა, მის მიერ მისაღებ ფასით, ნოემბრის თვის ბლომდე გვაცნობოს ხელისმომწერთა რაოდენობა და იზრუნოს წიგნების აქედან მიღების უფლებაზე.

როგორც ყოველთვის, რედაქცია უსასყიდლოდ შეასრულებს შრომას. დანარჩენ ხარჯების დაფარვის შემდეგ, ნაშთი გადაირიცხება: მერაბ კოსტავას სახელობის საქ. საადგილმამულო ფონდში.

განზრახული გვაქვს, მერაბ კოსტავას წიგნი, რომელშიც შევა მისი: „ფიქრები საქართველოს მისიაზე“, „მოსკოვისა და საქართველოს შორის არსებულ ურთიერთობათა მიმოხილვა“, რჩეული ლექსები, რამოდენიმე რჩეული სტატია, სხვადასხვა პერიოდის სურათები, სულ დაახლოებით 200 გვერდიანი, 17 - 25 სანტიმეტრის ფართით, - გამოვცეთ 1991 წლის მარტის ბლომდე. გ უ შ ა გ ი.

\*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*

„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს უ ლ ი ე რ ი მ ი ს ი ა“

\* \* \*

წლელს თბილისში „იდრიარტის“ ფესტივალზე, საქ. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ვრცელი სალექციო მოხსენებით წარსდგა, ჩვენთვის ფრიად კარგად ცნობილი, ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცი, გამოჩენილი მეცნიერი, კულტურტრეგერი ბ-ნი ზვიად გამსახურდია.

აი რას წერს ამის შესახებ ჩვენი თანამედროვე: „იდრიარტის“ ფესტივალზე კულმინაციას წარმოადგენდა ბ-ნ ზვიად გამსახურდი-

ას მიერ წაკითხული ვრცელი მოხსენება: „საქართველოს სულიერი მისია“. მოხსენებამ იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ უცხოელი სტუმრები (გერმანიიდან, შვეიცარიიდან, ინგლისიდან, ა. შ. შ.-დან და სხვა ქვეყნებიდან)

მეორე დღეს საგანგებოდ შეხვდნენ მომხსენებელს, რათა დეტალურად შეხებოდნენ ქართული ცხოვრების ქრონიკის დიდ მოვლენებს, მათ სპირიტუალურ არსს კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, შეტად თავისებური ზეგავლენა რომ მოახდინეს, როგორც წარსულს, ასევე ქრისტიანულ სამყაროზეც. „იღრიარტის“ ფესტივალზე წაკითხულმა ამ მოხსენებამ მთლიანად

შეცვალა დღევანდელი ჩვენი სულიერი განწყობილება და თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე განახლებული იმპულსი შემოიტანა“.

**უღრმესი** მადლობა უნდა მოგახსენოთ საქ. ინფორმაციის დამოუკიდებელ სააგენტო „მაცნეს“ მცირე საკრებულოს, რომელმაც გადაიღო ვიდეოფირზე ეს მოხსენება და შემდგომ გაშიფრული და რედაქტირებული მასალა მოგვაწოდა.

მომავალში ჩვენ კვლავ მოგაწვდით ამ მეცნიერის ნამოღვაწარს.

ჟურნალისტი ვახტანგ ბახტაძე

თბილისი - პარიზი. 7.VI.1990. პარიზი.

\*

ძ ვ ი რ ფ ა ს ო მ ე გ ო ბ რ ე ბ ო !

ერთი ლექციის ფარგლებში ყოვლად შეუძლებელია ესოდენ რთული თემის ჩატევა და ამიტომ ამ ლექციას ექნება უფრო მიმოხილვითი ხასიათი, უფრო ზოგადად მოგახსენებთ ყოველივე იმას, რაზეც მიფიქრია მე და ჩვენს მეგობრებს წლების მანძილზე, გვიმუშავია, აგრეთვე ცალკეული გამოკვლევების შედეგებს, როგორც აქ საქართველოში, ასევე დასავლეთში.

ლექციის გეგმა ასეთი იქნება: თავდაპირველად ვისაუბრებთ ქარ-





თველთა ეთნოგენეზისზე. მე ვიცი, რომ დასავლეთის სტალინიზმის დასაყრდენით დაინტერესებულნი არიან ამით და გავაშუქებთ უფრო ისეთ მომენტებს, რომლებიც შეიძლება მათთვის არ იყოს ცნობილი და რომელიც ნაკლებად შუქდება დასავლეთის დღევანდელ მეცნიერებაში. და, გარდა ამისა, უნდა მოგახსენოთ, რომ საბჭოთა იდეოლოგიური დიქტატურის მრავალწლიანი ბატონობის პერიოდში მრავალი რამ ქართული კულტურის ისტორიაში იყო მიჩქმალული, დამახინჯებული და ტაბუირებული. იყო ერთგვარი მეცნიერული ტაბუ ამ საკითხებზე დადებული, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება, ვინაიდან არც ისე ადვილია იმ ავადსახსენებელი ეპოქის ჰიპნოზის შედეგების მოცილება თავიდან. მრავალი საკითხი გაყალბებულია და, შეიძლება ითქვას, საბჭოთა მეცნიერების მიერ არის უზურპირებული, იმპერიული მეცნიერების მიერ და თავისი ინტერესებისადმი დაქვემდებარებული ამ საკითხების განხილვა და, სამწუხაროდ, ყოველივე ამის გავლენის ქვეშ მოქცეულნი არიან ქართველი მეცნიერებიც. მე არ მინდა კონკრეტულად დავასახელო, მაგრამ ისინი ვერ ბედავენ, კვლავ განავითარონ კვლევა იმ მიმართულებით, რაც ნათელს მოჰფენდა ამ საკითხებს. და ამას ყველაფერს ძალიან დიდი და შორს მიმავალი მიზნები ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით, მე მოგახსენებთ, თუ რა კამპანია იყო დიდი ქართველი მეცნიერის— ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარის წინააღმდეგ და რა მიზეზები ჰქონდა ამ კამპანიას. აგრეთვე, როგორ არის მიჩქმალული დასავლეთის ისეთი დიდი მეცნიერების გამოკვლევები იბერთა ეთნოგენეზისის სფეროში, როგორც არის ვილჰელმ ჰუმბოლდტი და სხვანი. ეს იმის გამო ხდებოდა, მეგობრებო, რომ ქართ. ერს სურთ შთაუწერა არასრულფასოვნების კომპლექსი. საბჭოთა მეცნიერებამ, კერძოდ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა შექმნეს თეორია იმის შესახებ (არსებობს სტალინის თეორია ამასთან დაკავშირებით), რომ ქართველი ერი თურმე შეიქმნა მეცხრამეტე საუკუნეში, როგორც ასეთი, და ჩამოყალიბდა ერად, რომ მანამდე თურმე იგი ერი არც ყოფილა და არ არსებობდა, ვინაიდან მეცხრამეტე საუკუნეში შემოვიდა ჩვენში კაპიტალიზმი და ვითომდაც ამან განაპირობა ქართველი ერის ერად ქცევა. ეს არის მარქსისტული თეორია, რომელიც დღემდე ბატონობს, სხვათა შორის, და რომელიც ჩვენს ზოგიერთ მეცნიერს ვერ მოუცილებია თავიდან და კვლავ აგრძელებს მუშაობას. ეს ყველაფერი ისახავდა შორს მიმავალ მიზნებს.

\*\*\*\*\*

სინამდვილეში, როგორია ვითარება ქართულ ეთნოგენეზისთან დაკავშირებით? მეოცე საუკუნეში ჩვენი მეცნიერების დიდი კარი ფეხების მიერ – აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მიერ, ნიკო მარის მიერ გამოკვლეულ იქნა გენეტიური ძირები ქართული მოდემისა, ქართველი ერისა და გამოტანილ იქნა შესაბამისი დასკვნები, რასაც სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ორთოდოქსული საბჭ. მეცნიერება. ამავე დროს, როგორც მოგახსენეთ, მიჩქმალული იყო დიდი გერმანელი მეცნიერის – ჰუმბოლდტის გამოკვლევები. რაში მდგომარეობს ამ გამოკვლევათა არსი და რად იყო ეს ყოველივე მიჩქმალული დღემდე, ტაბუირებული და რად არ ვითარდებოდა კვლევა თანამედროვე ეთნოლოგიური, ენათმეცნიერული კვლევა ამ მიმართულებით?

საქმე ის გახლავთ, რომ ვილჰელმ ჰუმბოლდტი თავისმა გამოკვლევებმა ბასკური ენის სფეროში მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სამხრეთ ევროპის: პირინეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების პირველადი მოსახლეობა, ავტოქტონური მოსახლეობა იყო იბერიული მოსახლეობა. ამ მოსახლეობას უწოდებენ პროტობერებს, რომელთაგანაც მომდინარეობს გვიანდელი ევროპული მოსახლეობა. მეცნიერებაში მიღებულია აგრეთვე ტერმინი: ხმელთაშუა ზღვის რასსა, მედიტერანული რასსა, ანუ მედიტერანული მოდგმა. ამ მოდემის აღსანიშნავად, რომელიც იდენტურია ტერმინისა: კავკასიური რასსა; არის აგრეთვე ტერმინი: პალეოკავკასიური რასსა, ანუ უძველესი კავკასიური რასსა, უძველესი მედიტერანული რასსა, რაც ურთიერთის იდენტურია. საუბარია იმ მოსახლეობაზე, იმ მოდგმაზე, რომელიც სახლობდა პირინეების ნახევარკუნძულიდან ხმელთაშუა ზღვის აუზში, ეგეოსის აუზში, ბალკანებზე, თანამედროვე საბერძნეთში, კავკასიაში და ინდოეთის თანამედროვე ტერიტორიაზე. აგრეთვე მცირე აზიაში და პალესტინაში. ეს არის გავრცელების არეალი ამ პროტობერული მოდემისა, რომელსაც ვილჰელმ ჰუმბოლდტის გამოკვლევების მიხედვით ჰქონდა მრავალი განშტოება. ენა ამ მოდემისა, ამ რასსისა იყო ერთი ძირითადი, რომელსაც ჰქონდა მრავალი დიალექტური განშტოება და, თუ ეს ენაკავები ღებულობდნენ ცალკე ენების ხასიათს, ისინი იყვნენ მონათესავენი და ვითარდებოდნენ როგორც ურთიერთმონათესავე ენები. ამიტომ დამკვიდრდა ტერმინი—პროტობერული, რომელთაგანაც არის დაკავშირებული უძველესი მოსახლეობა, როგორც მოგახსენეთ, პირინეებისა, იტალიისა, კერძოდ, ბასკური, ლუზიტანური, ტურდეტანული, ეტრუსკული, პელაზგუ-



რი და სხვა, რასაც ნიკო მარის გამოკვლევებით დაემატა მსოფლიო აზიაში, მესოპოტამიაში უძველესი იბერიული ტომების – სანტიანოსების გამოკვლევა და, აგრეთვე, ცნობილი ქართველი დიდი მეცნიერის – მიხეილ წერეთლის მიერ გამოკვლეული გენეტიური ნათესაობა სუმერულსა და თანამედროვე ქართულს შორის.

ნიკო მარის და, სხვათაშორის, სომეხი მეცნიერების ობიექტური წარმომადგენლების გამოკვლევაც (მაგალითად კაპანციანის გამოკვლევით), მცირე აზიის მოსახლეობის დიდი ნაწილი მიეკუთვნებოდა ამ მოდგმას და რომ მესხები ანუ მოსხები, კაპადოკიელები, კოლხები, ტაოხები და სხვანი არიან ამ მოდგმის წარმომადგენლები. როგორც ხედავთ, ეს არის სხვადასხვა განშტოებები ერთი და იგივე მოდგმისა, რომელსაც მეცნიერებაში ქართველური მოდგმა ეწოდება, ანუ პროტოიბერიული, ხოლო საკუთრივ საქართველო, საკუთრივ ქართველი ერი, ლოკალიზებული კავკასიის მასშტაბით, დაკავშირებულია იბერიულ-კავკასიურ განშტოებასთან. ე. ი. იბერიულს აქვს მრავალი განშტოება და მათ შორის შემორჩენილია დღესდღეობით ძირითადი პირინეულ-იბერიული ანუ ბასკური და კავკასიურ-იბერიული ანუ ქართული და მისი მონათესავე ტომები ჩრდილოეთ კავკასიაში, დანარჩენი კი ამჟამად ასიმილირებულია ინდო-ევროპული კაცობრიობის მიერ, რომელიც, როგორც ჩანს, არიან გვიან მოსული ევროპის კონტინენტზე, კერძოდ მეორე ათასწლეულის შემდეგ, ხოლო პროტოიბერიული კაცობრიობის ანუ პალეომედიტერანული, პალეოკავკასიური კაცობრიობის მოღვაწეობის ხანად, მისი ზეობის ხანად მიჩნეულია უძველესი დროიდან მესამე ათასწლეულამდე ეპოქა. მესამე ათასწლეულში იწყება დაკნინება ამ რასისა, მისი რიცხოზობრივი შემცირება, მისი ასიმილირება მოსული ინდოევროპელების მიერ. ამ დროიდან და უფრო გვიან წამოიწვეს წინ ხეთური და ძველბერძნული, ელინური სამყაროები. მაგრამ აქ ხდება კულტურათა სინთეზირება: პალეომედიტერანულ ანუ პროტოიბერიულ მოდგმასთან დაკავშირებულია პირველადი კულტურები მინოსისა, ეგეოსის კულტურები, კოლხური (ძველკოლხური), რომელიც უაღრესად მჭიდროდ არის მინოსურთან დაკავშირებული; ხოლო შემდგომ უკვე მეორე ათასწლეულიდან იწყება წამოწვევა ხეთური სამყაროსი, რომლებიც ვედური ბერძნებიდან, ვედური ტომებიდან მომდინარეობს და მოსულია იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც შემდეგ აღმოცენდა ძველბერძნული კულტურა და ძველბერძნული სამყარო. ხოლო პირველადი მოსახლეობა

ძველი საბერძნეთისა განსაზღვრულია როგორც პელაზგური, ძველბერძენი ისტორიკოსების მონაცემებზე დაყრდნობით, პელაზგური, ანუ პროტობერძული. პელაზგები არიან ერთ-ერთი განმტოება პროტობერძებისა, ისევე როგორც ეტრუსკები და სხვა ხალხები, ისევე როგორც კოლხები. კოლხური, პელაზგური, ტროული, მინოსური სამყაროები მონათესავე სამყაროებს წარმოადგენენ, უფრო სწორედ, ერთ სამყაროს წარმოადგენენ და ეს ყოველივე აირეკლა ჰომეროსის დიად ეპოსში და ამის შესახებ უკვე ძალზე სერიოზული გამოკვლევებია თანამედროვე მეცნიერებაში, რომელსაც რატომღაც საკმაო პოპულარიზებას არ უწევენ. დასავლეთში მოღვაწეობს მნიშვნელოვანი მეცნიერი ფურნეი ამ მიმართულებით, რომელსაც ეკუთვნის მნიშვნელოვანი გამოკვლევა წინა ბერძნულის, ანუ პელაზგურის და ქართველურის შესახებ. საქართველოში ნაყოფიერად მოღვაწეობს ამ მიმართულებით რისმაგ გორდეზიანი-პროფესორი, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი მიგნებები ილიადაში მოხსენებულ ტომთა ეთნოგენეზისის გამოკვლევისას, თუ როგორი იყო როლი ქართველური, პროტოქართული ტომებისა ტროას ომში, ილიადაში, და გამოვლენილია გენეტიური ნათესაობა ქართული ენისა ეტრუსკულთან, ქართველური ტომებისა ლიკიელებთან, კარიელებთან და მცირე აზიისა და ეგეოსის მთელ სამყაროსთან და, უპირველეს ყოვლისა – ტროასთან. ტროა უფრო ძველი კულტურული სამყაროა, ვიდრე ელინური სამყარო, ვინაიდან ელინები ლაშქრობენ ტროაში საკრალური, მისტერიალური სიბრძნის ანუ პალადიუმის მოპოვებისათვის. ტროა არის იგივე კოლხური სამყარო, ვინაიდან ტროელებთან აქაველების დავის დროს, ტროელები ხსნიან ელენეს მოტაცებას, როგორც ერთგვარ შურისძიებას, ადრე მათ მიერ მედეას მოტაცებისთვის. ე. ი. ტროელები უხსნიან აქაველებს, რომ ისევე როგორც ადრე მათ მოსტაცეს ქალი, ე. ი. მედეა, ამჟამად მათ მოიტაცეს ელენე, რომელიც ასევე კოლხების მიერაა მოტაცებული. ე. ი. ტროელები და კოლხები ერთი და იგივე მოდემის ხალხია და ეს მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზი, მცირე აზიის მოსახლეობის დიდი ნაწილი, ეკუთვნის ამ მოდემას. აი, ასეთი შორს მიმავალი დასკვნები აქვს თანამედროვე მეცნიერებას, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ხდება ყოველივე ამის ტაბუირება და ხდება ინდოევროპელების როლის წინ წამოწევა იმ არქაულ პრეისტორიულ ეპოქაში, მაშინ როდესაც ჩვენ ვიცით, რომ ინდოევროპული მოდგმა ძირითადად აღზევდა მეორე ათასწლეულიდან.

და ტროას ომი, ილიადა, ფაქტიურად არის პერიოდი, როდესაც დოევროპული მოდგმა უკვე მძლავრობს მცირე აზიამში და სამხრეთ-აღმოსავლეთში და პელაზგურ მოდგმას უკვე დეკადანსი ემუქრება, თუმცა ტროას ომის უდიდესი გმირი — აქილევსი თავად წარმოშობით პელაზგია, ე. ი. ქართველური მოდგმის წარმომადგენელია, ხოლო აგამემნონი და მენელაოსი არიან წმინდა ელინური წარმოშობის ადამიანები და ელინური სამყაროს წარმომადგენლები. აქ არის აშკარა კონფლიქტი ელინურ სამყაროსა და პროტოქართულ სამყაროს შორის. ტროა ეს არის პროტოქართული სამყარო, ელინური სამყარო კი აქაველებია. ამ კონფლიქტში იკვეთება ერთი რამ, რომ ეს ლაშქრობა (მართალია, სიმბოლურად აქ არის ქალის მოტაცების მოტივი, მაგრამ ელენე ანუ სელენე ეს არის სიმბოლო ძველი სოფიასი, ძველი წარმართული სოფიასი ანუ სიბრძნისა) და სოფიას მოტაცება და შემდეგ კვლავ გამოხსნა გავრცელებული მოტივია ანტიურ პოემებში. ასე, რომ ტროაში ელინთა ლაშქრობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი არის პალადიუმის მოტაცება, რომელიც სიმბოლურად ტროასეული ცხენის მეშვეობით ხორციელდება, ხოლო ცხენი, როგორც მოგვხსენებათ, ინტელექტის სიმბოლო არის ძველ ეპიურ პოეზიაში და მითოსში. ე. ი. აქაველთა, ელინთა მისია — ინტელექტის განვითარება — არის უკვე ახალი ეტაპი ცნობიერებისა, ხოლო ძველკოლხური, ტროული, პელაზგური კულტურა ეს არის ნათელმხილველური კულტურა, რომელიც უსწრებს წინ ინტელექტისმიერ, აზროვნებით კულტურას, ხოლო მითოსი, ძველბერძნული მითოსი სინამდვილეში არის არა ძველბერძნული, არამედ პელაზგური მითოსი. ამას აღნიშნავდა დიდი გერმანელი ფილოსოფოსი შელინგიც და პელაზგურ ეპოქას საბერძნეთის განვითარებაში იგი გამარტავდა როგორც საბიზმს, ე. ი. ნათელმხილვითი სიბრძნის ეპოქას. ხოლო შემდეგ ბერძნული მითოლოგიიდან ვიცით ჩვენ, რომ პერსეუსმა და სხვა გმირებმა ნათელმხილველური, პელაზგური კულტურა გადაიყვანეს აზროვნებით კულტურაზე, კერძოდ, ინტელექტისმიერ ელინურ კულტურაზე.

ყოველივე ამასთან არის დაკავშირებული აგრეთვე პრომეთეს მითი. ვინ არის პრომეთე? საერთოდ უნდა მოგახსენოთ, რომ მითოსი და მითოლოგია არ არის იდენტური ცნებები. მითოსი ეს არის მითების სამყარო; ხოლო მითოლოგია არის ამ მითების სამყაროს განმარტება, მნიშვნელობა ანუ ლოგოს, მითოსის ლოგოსი. ასე რომ, ძველბერძნული მითების სინამდვილე შექმნილია პელაზგების მიერ, ხოლო ელინების მიერ იგი არის სისტემატიზებული და ინტერპრეტირებული.

ლი. ჰომეროსი და ჰესიოდე არ არიან შემოქმედნი ძველბერძნული მითებისა, ისინი არიან პელაზგური ეპოქის მითების სინკრეტისა ორები, განმმარტებლები. ისინი არიან მითოლოგოსები, ხოლო პელაზგური ეპოქის მითოსის შემოქმედთა, მითოგრაფოსთა სახელებმა ჩვენამდე არ მოაღწია. მაგრამ მოაღწია ჩვენამდე ღვთაებებმა, მათი მითოსის პერსონაჟებმა. ძირითადი ღვთაებები ძველბერძნული პანთეონისა წარმოშობით პელაზგურნი არიან. მათ შორისაა ზევსი, რომლის კულტიც მუხასთან არის დაკავშირებული, ჰერა ანუ ჰაერა, რომელიც არის უძველესი პელაზგურ-იბერიული ქალღმერთი, აგრეთვე დემეტრე, რომლის ფუძის განმარტებისას აკადემიკოსი იუანე ჯავახიშვილი მიანიშნებდა იმაზე, რომ „დე“ - ფუძე სავსებით უცხოა ძველბერძნულ ენისათვის. „მეტერ“ - მართალია დედას ნიშნავს, მაგრამ „დე“ - ეს არის სუფთა იბერიულ წარმოშობის ფუძე, „დე“ ანუ „დედა“, დედა-ქალღმერთის აღმნიშვნელი. ე. ი. დემეტრე არის ის სახე, რომელშიც უძველესი კოლხური, პელაზგური დედა-ქალღმერთი შეერწყო ძველბერძნულ ქალღმერთს. ასე არის ძველბერძნული პანთეონი, თუ შეიძლება ითქვას, დამყნელი პროტოქართულ, პროტოიბერიულ ანუ პელაზგურ პანთეონზე.

ახლა, რაც შეეხება პრომეთეს. პრომეთეს მითი უმნიშვნელოვანესია კაცობრიობის ევოლუციის თვალსაზრისით და, ამავე დროს, ქართველთა ეთნოგენეზისის თვალსაზრისით, ვინაიდან პრომეთეს მითი, როგორც მოგვხსენებათ, დაკავშირებულია კავკასიასთან და შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ კავკასიასთან დაკავშირებულია ბერძნული მითოსის უმთავრესი მომენტები. გაიხსენეთ არგონავტების ლაშქრობა, გაიხსენეთ პრომეთეს მიჯაჭვა კავკასიის ქედზე, რაც უმთავრესი მომენტებია ბერძნულ მითოლოგიაში. მითოსის პერსონაჟთა მისია, მათი სულიერი რაობა განმმარტებოდა ყოველთვის მათი სახელების მიხედვით. სახელები მითოსის პერსონაჟებისა (როგორც მოგვხსენებათ, მითები იქმნებოდა ძველ მისტერიებში ქურუმების, ხელდასხმულების მიერ, ადებტების მიერ) ამ ღმერთების გმირების, ნახევრადღმერთების, ტიტანების სახელები იქმნებოდა მათი არსობრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე. კერძოდ „პრო - მეთეო“ ძველბერძნულად ნიშნავს წინასწარმეტყველურ აზროვნებას, წინასწარგანჭკვრეტას, ისევე როგორც ეპიმეთე - მისი ძმა, ნიშნავს თანადროულ, განსჯისმიერ აზროვნებას. რა არის პრომეთე? პრომეთე ეს არის იმ კაცობრიობის წარმომადგენელი, რომელმაც უნდა

განავითაროს წინასწარმეტყველური, ანუ ინტუიტიური აზროვნება, ხოლო ეპიმეთე, რომელმაც უნდა განავითაროს განსჯისა და აზროვნების ტექნიკური აზროვნება. ვისი ძეა პრომეთე? იგი არის ძე იაპეტოსისა. იაპეტოსის სახელი განიმარტება ზენონ ელელის მიერ, როგორც ზენა სამყარო, სულიერი სამყარო. იაპეტოს, ე. ი. ის, რაც მიისწრაფვის ზევით—სულიერი სამყაროსაკენ, ე. ი. ზენა სამყაროს ძე, სულიერი სამყაროს ძე არის პრომეთე, ანუ წინასწარმეტყველური აზროვნება. როგორ ამას პლუტარქეც აღნიშნავს, ძველბერძნული მითები და საერთოდ მითები შეიძლება განმარტებული ყოფილიყო თორმეტ სხვადასხვა დონეზე. ე. ი. თითოეულ მითს შეიძლება ჰქონდეს 12 სხვადასხვა ახსნა. ერთ-ერთი მთავარი ახსნა პრომეთეს მითისა კაცობრიობის ევოლუციაში, აზროვნების ევოლუციაში არის ის ეტაპი, როდესაც აზროვნება მიჯაჭვება ადამიანის ფიზიკურ სხეულს, ადამიანის ფიზიკურ სხეულში ჩამოსვლასთან ერთად და არის დატყვევებული ამ ფიზიკურ სხეულში; ხოლო განთავისუფლება პრომეთესი, რომელიც მიჯაჭვული არის კავკასიის ქედზე, კლდეზე, არის განთავისუფლება ამ აზროვნებისა სხეულებრივი საწყისისაგან. განთავისუფლებული პრომეთე ეს არის განთავისუფლებული წინასწარმეტყველური აზროვნება, ხოლო მიჯაჭვული პრომეთე ეს არის აზროვნება მიჯაჭვული ადამიანის ფიზიკურ სხეულზე. ეს კი არის ეტაპი კაცობრიობის ევოლუციაში, რომელიც ცნობილია ადამიანური არსების, სულის ჩაძირვად ფიზიკურ სხეულში, ხოლო შემდეგ ხდება განთავისუფლება მატერიისაგან სულისა. ეს არის ერთი ასპექტი პრომეთეს მითისა, მისი სპირიტუალური, ფილოსოფიური ასპექტი.

მეორე ასპექტი არის ეთნოლოგიური ასპექტი. კერძოდ, პრომეთე არის სიმბოლო იმ მოდგმისა, იმ ხალხისა, რომელმაც უნდა განავითაროს მისტერიათა კულტურა, რომელიც არის შემქმნელი მისტერიათა კულტურისა და ყოველივე იმისა, რაც მოდის ამ მისტერიათა კულტურიდან. სახელდობრ, სულიერი განვითარებისა, ინიციაციისა და სულიერი აზროვნებისა. ასეთია ეს მოდგმა. ხოლო ზევსი, ამ თვალსაზრისით, განასახიერებს იმ მოდგმას, რომელიც უფრო გვიან არის მოსული საბერძნეთში და რომელიც ძალადობით ამკვიდრებს თავის კულტს და მიჯაჭვავს პრომეთეს კავკასიის კლდეზე. რა იყო მიზეზი პრომეთეს მიჯაჭვისა კავკასიის ქედზე? მიზეზი იყო ის, რომ კორინთოში ურთიერთს შეხვდნენ ორი კულტის,





ორი რასის წარმომადგენლები — ერთნი პრომეთესთან დაკავშირებული, ხოლო მეორენი — ზევსთან. ე. ი. აქ სიმბოლურად აღიქვამება შეხვედრა ორ კულტურას შორის, ორ რასას შორის; ერთი, რომელიც იყო მკვიდრი, პირველადი იმეამინდელი საბერძნეთისა; ხოლო მეორე — ეს იყო მოსული, ანუ ინდოევროპული, ელინური. პრომეთე ამ შეხვედრის დროს (პრომეთე და მისი მიმდევარი ქურუმები) მოატყუებენ ზევსს და მის ქურუმებს სამსხვერპლო ხარის დაანაწილებისას. მოატყუებენ იმ გაგებით, რომ მათი ინტელექტი, მათი აზროვნება იყო უფრო შორს წასული. ამიტომ მათ შეძლეს ზევსის ქურუმთა მოტყუება. ეს მოტყუება სიმბოლოა იმისა, რომ მათი ინტელექტი უფრო განვითარებულია, რომ ის კულტურა, რომელიც ინდოევროპელებს დახვდა — პელაზგური კულტურა — უფრო მაღლა იდგა და აზროვნებითი კულტურაც უფრო მაღლა იდგა მათზე, თავდაპირველად. შემდეგ კი მათ განავითარეს ელინური პიროვნებითი კულტურა, რასაკვირველია, უმაღლეს საფეხურამდე, მაგრამ ეს ის პერიოდია, როდესაც პირველი შეხვედრაა ამ ორ რასას შორის, ამ ორ მოდგმას შორის და ამ დროს პრომეთეს ქურუმები დაანაწილებენ ხარს იმგვარად, რომ ზევსის ქურუმებს და ზევსს შეხვედრა ძვლები და ქონი, ხოლო მათ ხარის საუკეთესო ნაწილები, ესეც სიმბოლურია, სიმბოლურია, ვინაიდან აქ მსხვერპლის ორგვარ გაგებასთან გვაქვს საქმე, და ამ დროს ზევსის ქურუმები ისე წარმოსახავენ საქმეს, თითქოს მათ შეგნებულად მოიტყუეს თავი. ამის შემდეგ ზევსი მიმართავს პრომეთეს: — იაპეტოსის ძეო, უკეთილშობილესო ყველა მეუფეთა შორის, ყველაზე დიდო მცნობო მომავლისა, მეგობარო, რად დაანაწილე ხარი ამგვარად?

ე. ი. ზევსი გვიან ხვდება იმას, რაც პრომეთემ განახორციელა. აქედან გამომდინარე, განსაზღვრულია პრომეთეს რაობა და შემდგომ ამისა ზევსი აღარ აძლევს ცეცხლს კაცობრიობას და პრომეთეს მიაჯავრავს კავკასიის ქედზე, ვინაიდან მან კაცობრიობას მისცა ის ცეცხლი. ცეცხლი ამ შემთხვევაში არის სიმბოლო ადამიანის „მე“-სი. თქვენ იცით, რომ ოთხ ელემენტს შორის — ცეცხლი, წყალი, მიწა, ჰაერი — ადამიანის „მე“-ს თვისებას, მეობას შეესაბამება ცეცხლი. ის ფაქტი, რომ ზევსი აღარ აძლევს მეობას კაცობრიობას, რომ კაცობრიობა მოკლებულია „მე“-ს, ხოლო პრომეთე აძლევს ცეცხლს კაცობრიობას, ე. ი. მეობას, ეს ასახავს მისტერიალური კულტურის განვითარების გარკვეულ საფეხურს, როდესაც ადამიანებმა მიიღეს

\*\*\*\*\*

„მე“ ფიზიკურ სხეულში ჩამოსვლით და პრომეთეს მიჯაჭვას სწორედ არის ის ეტაპი (სხვათა შორის, აგრეთვე, ტიტანების დანახვაც ტარტაროსში ამას ნიშნავს, ღმერთებისა და ტიტანების ბრძოლის შემდეგ), როდესაც ადამიანის სული და მისი „მე“ ჩამოდის სულიერი სამყაროდან ფიზიკურ სხეულში და ადამიანს ებადება მე-ცნობიერება. აი, ეს არის პრომეთეს მიერ კაცობრიობისთვის ცეცხლის მიცემა, ვინაიდან „მე“-სგან მოდის ყოველგვარი კულტურა, ისევე როგორც ცივილიზაცია მოდის ცეცხლის გამოყენების სწავლისაგან და ამგვარი სიმბოლოებით ჩვენ ვხვდებით, რომ პრომეთე ასახავს მისტერიათა კულტურას, რომელიც იყო პირველადი ძველ საბერძნეთში და შემდეგ იყო ლოკალიზებული კავკასიაში, რაც სიმბოლურად ასახულია როგორც პრომეთეს მიჯაჭვა კავკასიის ქედზე. (გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში)

ზ ვ ი ა დ გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა

\*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*

პ ო ე ზ ი ა ს ა კ ვ ე ბ ი ა ს უ ლ ი ს ა

თინა ჩიქოვანი

ნ ა კ ა დ უ ლ ი

ნაკადულმა სთქვა, ჩემს სარკეში ეანაობს მთვარე, მთის ფერღობიდან მოგჩუხჩუხებ ანკარად, ნაზად, არავის ვერჩი, ჩემთვის, ქვემოდ მივედინები, ფეხქვეშ ვეგები ლურჯ ყვავილებს მე ფიანდაზად. დაგებადებულვარ გაზაფხულის აპრილის თვეში, ჩემთვის უცხოა ჩივილი და შრომაში დაღლა, და მაინც მდევნის ამა ქვეყნის მანათობელი, წვეთი - წვეთობით მიმაქანებს ზეცაში მაღლა.

1988

ჩ ე მ ი თ ბ ი ლ ი ს ი

ჩემს დედაქალაქს ვეახელ ღამით, შემოსეოდა ვარსკვლავთ ლაშქარი. ველარ ვიხილე ანკარა მტკვარი, ან საღლა იყო ძველი ამქარი. ჩასძინებოდა დაღლილ მდინარეს, გუშაგად ეღგა სეიდაბადი.



მუქად მოსჩანდა თაბორის ციხე,  
თითქოს მოესხა მხრებზე ნაბადი.  
თვალი მოვაგლე მთვლემარე ქალაქს,  
მას ვერაფერი ვერ დაუწუნე  
და ჩემი ერის უძლეველობა,  
ძველი თბილისის ხილვით ვირწმუნე.

\*\*\*

### ი ს ე ვ ჩ ე მ ს თ ბ ი ლ ი ს ს

მიყვარს თბილისის შემოგარენი:  
იქით მახათა, აქეთ მთაწმინდა,  
მამადავითი, თაბორის ციხე –  
სხვა უკეთესი მითხარ რა გინდა.  
ბოტანიკური ბაღის ჩურჩული,  
მტკვარის ბუტბუტი, სიონის ზარი,  
მეტეხის ციხე და ნარიყალა –  
ეს ყველაფერი სამოთხე არის.  
აქ, რუსთაველზე ჰადრების ჩრდილი,  
ახლოს კუს ტბა და შორს თბილისის ზღვა.  
ასე შემკული დედაქალაქი,  
თუ გავუღებათ ქვეყნად კიდევ სხვა?!

1985

თინა ჩიქოვანი

\*\*\*

### ისაკ მეგრელიშვილი

#### ა ვ ე - მ ა რ ი ა

ზეცის სამეფოს მოსწყდა აკორდი,  
ხმების შრიალმა ფიქრი არია...  
ო, საოცრებავ, თითქოს გაორდი,  
ღვთიური მესმის: ავე - მარია.  
ანგელოზივით ფრინავს პეპელა  
ნექტარს აპკურებს გათოშილ ტუჩებს,  
ეს ჯილი მღერის...  
სიქტის კაპელა,  
სიმღერით ებრძვის ტირან მეღიჩებს.

და მომეჩვენა ზეცა გაიხსნა  
წმინდანნი სხედან ცოდვილთ  
სამსჯელოთ:  
ვისთვის ჯვარზეცმა,  
ვისთვის შვება-ხსნა.  
ქამს აქანდაკებს მიქელ-ანჯელო,  
ხმებმა კვლავ გახსნა კოლიზეუმი,  
კილობანივით თრთის ვენეცია,  
წინ მხვდება რომი, ვით მუზე-  
უმი.

\*\*\*\*\*



მე შორს მივეყვები მის ინერციას.  
ო, საოცრებავ, ნუ შეჩერდები!  
ღვთიურმა ხმებმა ამრი-დამრია...  
ღმერთო! მეორედ თუ კი გავჩნდები,  
მესმოდეს ისევ ა-ვე-მა-რი-ა...

ისაკ მეგრელიშვილი  
ბერლინი 1989

\* \* \* \* \*

მარინე ხუციშვილი

\* \*  
\*

მინდა მოვძებნო ორიოდ სიტყვა,  
რათა გაუწყოთ გარდაცვალება.  
თქვენი სახება კიდემდე მიმყვა,  
ასე დაიწყო ჩემი წვალება...

იქ, ჰორიზონტის მიღმა წყვილიადი  
ამობრდღვიალდა სუსამბრისფერად,  
აღელვებული, მზეებრ დიადი,  
ო, მარტოსული ვიქეცი ბევრად.

ჩემი ნამატი თქვენს სამოთხესთან,  
უკუქცეული, დევნილი კიდევ...

ვერ მოვასწარი უკან მოხედვა:  
გზასაცდენილი ცხოვრების კიდე.

საღლა გეძებოთ, მტვერი წარსულთა  
მე ალბათ აღარ დამელოდება,  
ვერ დავემსგავსე წმინდა ასულთა,  
ვერ მოვისმინე სხვათა გოდება.

ნისლად ქცეული არარაობა,  
ვერსაგრძნობი და ვერსაკარები,  
ვერ შევიცანი ჩემი თაობა,  
ჩუმაღ, აუღერდნენ ჩემი ქნარები.

მარინე ხუციშვილი  
11 / IV / 87

\*\*\*

\*\*\*

ირაკლი ოთხმეზური

პ ე რ ე ვ ი ს ა

ამ სოფელმა პერევისამ  
ბავშვობიდან შემითვისა,  
მიყვარდა და მიზიდავდა,  
იყო ჩემი. დარჩა სხვისა.

გორზე თეთრი ეკლესია,  
ზაქარ ბაბუ მისი მღვდელი,  
ქრისტიანულ საგალობელს  
მათგან ნათქვამს ახლაც ვმღერი.

\*\*\*\*\*



მახსენდება, მახარებდა  
ჩემი ბავშვობა ნათელი,  
მეზობლები, ნათესავნი  
და სოფელი იგი მთელი.

ეს სიმშვიდე მოკლე იყო  
მიწები ჩამოგვაცილეს,  
სახლი-კარი დაანგრის,  
ბიძა ნესტორ დაამიწეს.

მისი ტყე და სოკოს გემო,  
მისი ხილი მიმზიდველი,  
წავიდნენ და გამეტალნენ,  
მათ ნახვას აღარ მოველი.

მოგონება! მწარე ბოლო,  
რას ერჩოდა ნეტა ვისსა,  
არ ვივიწყებ ჩემ ბავშვობას,  
მახსენდება პერევისა.

\*

დ ვ ი ნ ო ს  
/თარგმანი/

როს გამჩენმა ადამიანთ  
მიწას წვიმა მოუვლინა,  
ნოე იხსნა დაღუბვისგან  
და მას ღვინო მიუჩინა,  
უთხრა: სვიო ეს სასმისი,

ერგებოდა ბრძენსა თვისი.  
ჩვენც ვსვათ იგი სამუდამოდ,  
გვევალება ერთგულთ, რადგან  
ყველა ავი წყლის მსმელია,  
ეს დამტკიცდა წარღვნისაგან.

ი რ ა კ ლ ი ო თ ხ მ ე ზ უ რ ი

\*\*\*                      \*\*\*                      \*\*\*

ქ ა რ თ უ ლ ი ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა პ ა რ ი ზ ო შ ი

ამ გაზაფხულზე „სინათლის ქალაქმა“ ნამდვილად განიცადა თანა-  
მედროვე ქართული ხელოვნების ცხოველყოფელობა, ფრანგულმა ხელო-  
ვნების სამყარომ მასში შენიშნა არაერთი ყლორტი, რომელიც მზ-  
ადაა გასაფურჩქნად.

იერიში უმთავრესად ქართველმა მხატვრებმა განახორციელეს, მა-  
გრამ მათ აგრეთვე მხარს აძლევდა ეროვნული თეატრისა და მუსი-  
კის წარმომადგენლებიც. პირველები იყვენ მსახობები, რომლებსაც

**24** აპრილიდან **20** მაისამდე პარიზის ცენტრი ეკავათ. მართლაც,  
ბატონ რეზო გაბრიადის უკვე კარგად ცნობილი თოჯინების თეატრი  
მის სპექტაკლებს მართავდა „რ ე ნ ო-ბ ა რ ო ს“ პრესტიჟულ თეატ-  
რში. წელს მეორედ შეხვდა თეატრი ფრანგ მაყურებლებს, პირველ-  
ად შარშან, **9** აპრილის ავად მოსაგონარ თარიღის მომდევნო დღე-  
ებში მოუხდა მისი შემოქმედების ჩვენება, პარიზიდან მოშორებ-



\*\*\*\*\*



ით, ქალაქ ბობინის კულტურის ცენტრში. ტრადიკულ მომენტს არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა აქტიორებზე. წელს ისინი განთავისუფლებულიყვენ დაძაბულობისგან, რაც აშკარად ჩანდა მათ თავისუფალ-ლალ შესრულებიდან.

თეატრმა პარიზელებს უჩვენა რეზო გაბრიადის ორი უკანასკნელი ნაწარმოები: „შემოდგომა ჩვენი გაზაფხულისა“ და „ტრაბიზონის იმპერატორის ასული“. რეზო გაბრიადე უსათუოთ დიდი დიაპაზონის შემოქმედი. მის სპექტაკლებს ახასიათებთ მხვედრი იუმორი, ზომიერება და მაღალი პოეზია. კოლექტივის და ხელმძღვანელის გამარჯვებას მოწმობდა მაყურებელთა მხურვალე ტაში.



თეატრმა წარმატებით გაუძლო განებივრებულ პარიზულ პრესის კრიტიკასაც, რის დასტურადაც იკმარებს 26 აპრილის გაზ. „ფიგარო“: „რა მომხიბლავია, იყო მოხიბლული, მოხიბლული თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრით, რომელიც „რენო-ბაროს“ თეატრშია ოც მაისამდე. რეზო გაბრიადე, სცენის მეტეორი, ამბობს: თოჯინების ავანტიურას ხელი მივყავი, რადგანაც იმ დროს თეატრი განიცდიდა კრიზისს, მე კი მესაჭიროებოდა მელაპარაკნა როგორც ხელოვანს. მას მიაჩნია, რომ მისი სპექტაკლები უფრო დიდებისთვისაა, ვიდრე ბავშვებისთვის, რისთვისაც ის ბოდიშს იხდის პატარების წინაშე. მაგრამ ის თქვენ მოგაგონებთ ბავშვობას, რადგან თოჯინების სამყარო ამსხვრევს რეალობას და გზას უხსნის ოცნებას 7-დან 77 წლამდე“.

**მ ხ ა ტ ვ რ ე ბ ი**

თანამედროვე ქართული მხატვრობის პირველ მასიურ დათვალეირებას პარიზში, ადგილი ჰქონდა, 25 აპრილიდან 26 მაისამდე, ჩათვლით, მონა ბისმარკის ცნობილ ფონდაციის სალონებში, საზოგადოება „არის - ნინოს“ მზრუნველობით, რომლის მთავარი დირექტორი და თავმჯდომარე გახლავთ ბატონი შალვა, ექვთიმე თაყაიშვილის გვარიშვილი, რომელთანაც მკიდროდ თანამშრომლობდენ ხელოვნებათმცოდნეები: პარიზიდან ქალბატონი ლეონ დე-ლა-გრანდ-



ვილი და თბილისიდან ბატონი გოგო ხოშტარია; აგრეთვე უნდა ვუმაღლოდეთ, ლევილელი ბნ ტიერი ბერიშვილის მონაწილეობით, გამოფენის ბრწყინვალე კატალოგს.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 15 ხელოვანის: ალექსანდრე ბანძელაძე, გია ბუღაძე, გია ეძგვერაძე, ლუკა ლაზარ, გიორგი მგალობლიშვილი (რომელმაც წელს იანვარში მოაწყო პარიზში საკუთარი შემოქმედების გამოფენა), კოკა რამიშვილი, ილია ჩიტაძე, ლევან ჭოლოშვილი, გელა წულაძე, მაია და მამუკა ცეცხლაძე, მალხაზ შველიძე, ალექსანდრე კაკაბაძე, ლალი ქუთათელაძე, ნინო ციციშვილი — ორმოცდაათიოდე ტილო, ქანდაკება, კერამიკა, ყველა თავისუბური ხელწერითა და საკუთარი უწყებით. მეტრ ალ. ბანძელაძის გარდა, რომელიც ექვს ათეულ წელსაა გადაცილებული და რომელიც სამშობლოში და საბჭოთა კავშირში სახელმწიფოებრივი არტისტიკა:— ყველა ახალბედა ხელოვანია. მათ პროფესიულ ფორმაციაზე ნაკლები გავლენა ჰქონდა ოფიციალურ, ყბადღებულ „სოციალისტური რეალიზმის“ სკოლას. მათ მიერ გამოფენილ ტილოებში აშკარად იგრძნობა განახლების, თავისუფლების, შემოზღუდულ გარემოდან ლტოლვის დაუოკებელი წყურვილი.

პარიზის გარდა იგივე ხელოვნების ჩვენება მოეწყო, 30 მაისიდან 17 ივნისამდე, ქ. კანის (კოტ-დაზიურ) მახლობლად, ზემო კანის მხატვართა სახლში.

უკანასკნელად ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ წარმოდგენილ 15 მხატვრიდან არჩეული იქნე ოთხი: ლევან ჭოლოშვილი, გია ბუღაძე (მას კარგად იცნობს პარიზის ქართველობა, ის და ბნი გიმერი დარჩია (მხატვარი, მოქანდაკე) ორ თვეზე მეტი იმყოფებოდნ პარიზში, საერთაშორისო ხელოვნების ცენტრში შემოქმედებით მივლინებაში), ლუკა ლაზარი და ილია ჩიტაძე, რომლებიც მიწვეულნი იყვნენ კანის საერთაშორისო ფესტივალზე, დიდი მოწონება ხვდათ და სამი თვის განმავლობაში დარჩება გამოფენილი მათი ნახატები იქ.

თანამედროვე ქართული მხატვრობის დიდი გამარჯვება იყო აგრეთვე 12 ქართველი მხატვრის ასამდე სურათის საჯარო ვაჭრობით გაყიდვა, პარიზის რიშელიო-დრუოს მსოფლიოში ცნობილ ხელოვნების ქემმარიტ ნიმუშების გამყიდველ ინსტიტუტში, რასაც აღვილი ჰქონდა 23 მაისს. მხატვრობა წინა დღით იყო გამოფენილი იქვე რიშელიო-დრუოს სალონებში. გამოფენილი იყო შემდეგი მხატვრების

\*\*\*\*\*



სურათები: ზაზა ბერძენიშვილი, ლევან ლაღიძე, შალვა მატუაშვილი, ჯემალ კუხალაშვილი, ნოდარ ბაღურაშვილი, გელა შანჯაპტრიძე, ლეილა შელია, თეიმურაზ მაქავარიანი, ზალიკო ბაშანაშვილი, გიორგი გუგუშვილი, მიხეილ მახარაძე და ავთანდილ ლელაძე.

ამ შემთხვევისათვის საქ. სსრ ხელოვნების ფონდს შეუძენია სურათები და კულტურის სამინისტროს ზედამხედველობით, რომლის წარმომადგენელიც გახლდათ ბ-ნი ივიკო საყვარელიძე, განხორციელდა ქართ. მხატვრობის საჯარო ვაჭრობით გაყიდვა. ოპერაციის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით გაყიდვის კომისრებს: მეტრ დომინიკ რიბეიერს და მეტრ ფლორანს ბარონს და, აღსანიშნავია აგრეთვე, ხელოვნებათმცოდნე ირინა ასათიან-დავრიშაშვილის ეფექტიური თანამშრომლობა. საჯარო ვაჭრობით გაყიდვის შედეგი?

მხოლოდ ერთი— ლევან ლარიძის „ზამთარი“ გაიყიდა 16.500 ფრანკად, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ქართველი მხატვრები პირველად წარსდგენ საფრანგეთის მხატვრობისმოყვარულ საზოგადოების წინაშე,—დანარჩენებმაც ღირსეულ თანხას მიაღწიეს, რადგან გაყიდვის ჯამმა 300 ათასს გადააჭარბა. და რაც მთავარია, ამ გაყიდვის მონაწილე ახალგაზრდა მხატვრებს უკვე მსოფლიო აღიარება აქვთ და მათი დიდების დასაწყისია.

\*

კანის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატები: ზემოთ ლევან კოლოშვილი, ქვემოთ, მარცხნიდან მარჯვნივ: ვია ბულაძე, ილია ჩიტაძე და ლუკა ლაზარ.





ლევან კოლოშვილი: „ოჯახი“



ზაზა ბურაძე: „ომის სცენა“









იმედი გვაქვს, რომ ბატონი ოთარი ქუდის მოხდის მის პიროვნებისადმი უპატივცემულობაში არ ჩაგვითვლის და სულგრძელად შეგვიწოდებს. ასეა ჩვენი ღარიბი ჟურნალის საქმიანობა, ის პოლიტიკას აძლევს პრიორიტეტს და, მისი დიდი სურვილის მიუხედავად, კულტურის საკითხებისათვის ადგილი აღარ რჩება ხოლმე. ისიც უნდა იყოს მხედველობაში მიღებული, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება უბერებელია, მაშინ როცა პოლიტიკა მდუღარე ლავაა: ის, რაც გუშინ მძვინვარებდა, დღეს არარაობადა და სამარისებრი მდუმარებითაა მოცული.

ბნ ოთარ იოსელიანის ფილმებმა მტკიცედ დაიმკვიდრეს საერთაშორისო კინოფესტივლების „მთავარი ჟიური“ განსაკუთრებული პრემია, რადგანაც, „პასტორალის“ და „მთვარის რჩეულთა“ შემდეგ, მის უკანასკნელ ფილმს: „და იქმნა ნათელი“, 1989 წ. სექტემბერში, ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალზე ისევ ეს პრესტიჟული პრემია არგუნეს.

ო. იოსელიანი თავის წესჩვეულებას არ ღალატობს. ამ ფილმშიც მას პროფესიული მსახიობები არ ჰყავს, დამდგმელი რეჟისორი და სცენარისტიც თვითონვეა, დიალოგები მინიმუმამდეა დაყვანილი. ფილმში „და იქმნა ნათელი“ მოთხრობილია აფრიკის, კერძოდ, სენეგალის ერთი სოფლის ყოველდღიური ცხოვრება სწორედ იმ დროს, როცა იქ იჭრება თანამედროვე ცივილიზაცია, მისი ტექნიკითა და ზნეჩვეულებებით, რომელიც დაუზოგავად ანგრევს ძველ იდილიურ ყოფას. ამ შეუქცევადი პროცესისგან შექმნილი დრამის ჩვენება წარმოადგენს ფილმის მთავარ იდეას.

განსხვავებით ზოგიერთი გამოჩენილი ქართველი ხელოვანისა, ოთარ იოსელიანი ყველგარ და ყოველთვის ამაყად აცხადებს: „მე უწინარესად ქართველი ვარ“ ან „მე ქართველი ვარ“. სწორედ ასეა დასათაურებული მისი ინტერვიუ, გაზ. „ლე მონდ“-ის თანამშრომელ ჟურნალისტ მიშელ სიმანთან, ვენეციის საერთაშორისო კინო-ფესტივალის პრემიასთან დაკავშირებით. ამ ვრცელი ინტერვიუდან გუშავის მკითხველებს ვთავაზობ ერთ მცირე მონაკვეთს.

**მიშელ სიმან:** დღეს თქვენში პირობები უკეთესია იმისთვის, რომ თქვენ იქ გადაიღოთ ის, რაც თქვენ გინდათ.

**ოთ. იოსელიანი:** ამაზე ლაპარაკი მეუხერხულემა. ჯერ ერთი, მე არ მსურს ვეწინააღმდეგო გორბაჩოვს, იმიტომ, რომ: ბევრი ისეთი, რომელიც მე მეზიზღება მისი წინააღმდეგია. მე არ მინდა,



\*\*\*\*\*

ვიყო მის მხარეზეც, რადგანაც არ მსურს ვეკუთნოდე წრეს ან ეკლესიას. ჩემს ქვეყანაში სისხლიანი კონფლიქტებია და ისინი დრამატული არიან. კიდევ მეტი, ყველა ჩემთვის მწმენდელი პროგრესისტი გახდა და ეს გულს მირევს. წინეთ შეიძლება გამოგერჩიათ ისეთები, როგორც ტარკოვსკი ან ფარაჯანოვია, იმათგან, რომლებიც ქედს იხრიდენ; ახლა კი, თუ შენს წარსულს არ აფურთხებ, შენ კაცი არ ხარ და იმისი უფლებაც არ გაქვს: იყო რეტროგადი..." („ლე მონდ“ 17 - 18 სექტემბერი 1989 წელი)

ისლა დაგვრჩენია: ბ-ნ ოთარს ჯილდო მივეულოცოთ და ახალ-ახალი წარმატებები ვუსურვოთ.

\*\*\*

\*\*\*

ეთერი ფაღავას ბალეტის 10 წლის თავი

პარიზის „თეატრ დუ შარდენ-იც“ შეიძლება, ქართული კულტურის ერთ-ერთ კერად მივიჩნიოთ, რადგან მისი სულისჩამდგმელნი: ეთერი ფაღავა ხომ შუმი ქართველია, მაგრამ მისი მეუღლის, ბ-ნ ჟაკ დუეს გულის ერთი გვარიანი ნაწილიც საქართველოს ეკუთვნის.

ამ შესანიშნავმა წყვილმა ეს ძველი მივიწყებული თეატრი ახალი სიცოცხლით აავსეს და იგი აქციეს ევროპის კონტინენტის ახალგაზრდობის კულტურის სივრცედ. თეატრის სპექტაკლები ძირითადად ბავშვებისთვისაა გამიზნული, მაგრამ ის უფროსებისთვისაც ძალიან მიმზიდველია, რადგანაც აქ ახალგაზრდული ენერჯით მღერის თვით ჟაკ დუე და იდგმება მომხიბლავი ეთერი ფაღავას კრეაციები. ამ ბალეტის ათწლისთავთან დაკავშირებით, თეატრმა 13 ივნ-



ეთერი ფაღავა „უიზელის“ როლში ცეკვავს თბილისის ოპერის სცენაზე. 6. XI. 1966



„ეთერ ლუ ჟარდენ“ :  
ეთერი ფაღავას ბალეტი 1990 წ.  
ევროპის უჩვეულების ფესტივალზე



\*\*\*\*\*

ის საღამოს გამართა დიდი სპექტაკლი—გალა. გაჰყვილ დარბაზში ძლივს, ისიც მეორე განყოფილებაში, ვიწოვნე ერთი თავისუფალი სკამი. ამას ხელი როდი შეუშლია სპექტაკლით მიღებულ ტკბობაში. პირველი ნაწილი სპექტაკლის მანქანისაგან მიყვება ჟაკ დუეს. ოვაციებს დასასრული არ ჰქონდა და ისიც დაუღალავად მღეროდა მისი სიმღერების ვრცელ რეპერტუარს. მსმენელს არ სწყინდება მისი სიმღერა, რადგანაც მის ბაგეთგან იღვრება სიხალისე და მულღივი სიჭაბუკე.

სპექტაკლის „ლურსმანი“, როგორც ფრანგები იტყვიან, ეთერის ბალეტის „ნაძალადევი გმირი“ -ს წარმოდგენა იყო. ეთერი ფაღავა ახალბედა ქორეოგრაფი აღარ გახლავთ და როგორც ამ ბალეტით დაერწმუნდით, ის ქორეოგრაფ-დამდგმელის პროფესიას სრულად და ავტორიტეტით ფლობს. „ნაძალადევი გმირი“ საუცხოო სანახაობაა, წარმოდგენილი დიდი ხელოვნებით, ტემპერამენტით, სილამაზით, სიკეკლუტით. იგი ნამდვილი პოეზიაა. კოსტუმების ნაირ-ნაირობა და ტარიელის უზადო განათება კიდევ უფრო ზრდიდა ბალეტის მომხიბვლელობას. ქორეოგრაფს და მოცეკვავეებს წილად ხვდათ უთვალავი თაიგული და დაუსრულებელი ტაში. ეს იყო ერთი ლამაზი და დაუვიწყარი საღამო, რომელიც ნადიმით დამთავრდა.

კიდევ მრავალი შემოქმედებითი ათწლეული!

\*\*\*\*\*

ეროვნული  
ზიგალოთქვა



სამშობლოდან მიღებული ცნობით, ეს სურათი გადაღებულია 1989 წლის 14 აპრილს თბილისში. ცენტრალურ პლანზე მზიარული სამეული: მარცხნივ შევარდნაძე, მარჯვნივ რაზუმოვსკი, მათ შორის ის, ვინც ყველაზე მეტად ისარგებლა ეროვნული ტრაგედიით. ვინ არის ის: მარტყოფის გმირი გიორგი სააკაძე, თუ პარისიდი კახეთის ბატონიშვილი კონსტანტინე-მირზა?

\*\*\*\*\*

### ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი

მ წ უ ხ ა რ ე ბ ი თ ვ ა უ წ ყ ე ბ თ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს:  
წელს, ნიუ-იორკში, 77 წლის ასაკში გარდაიცვალა ბატონი ისიდორე გაუონია. მას დარჩა ქალ-ვაჟი და 2 შვილიშვილი.

\*\*\*

წელსვე 6 აპრილს, ქ. ლიონში (6929 Craponne), 86 წლის ასაკში გარდაიცვალა ბ. გიორგი ყალაბეგიშვილი და დაიკრძალა ადგილო-

\*\*\*\*\*

ბრივად 9 აპრილს. განსვენებულს ჭირისუფლად დარჩა ცოლი შვილი და შვილიშვილები.



\*\*\*

წელს 5 ივლისს, გერმანიაში (5132 Ubach-Palenberg) გარდაიცვალა ბ-ნი დავით ტორონჯაძე და დაიკრძალა 10 ივლისს.

\*\*\*

წელს 9 ივლისს, პარიზში, ხანდაზმული გარდაიცვალა ქალბატონი ელენე ბარნოვი. დაიკრძალა ლევილის სასაფლაოზე 13 ივლისს. განსვენებულს ჭირისუფლად დარჩა ქალიშვილი ქეთევან შედო.

\*\*\*

უკანასკნელ წუთში გვაცნობეს: 18 აპრილს, ნიუ-იორკში, 96-97 წლის ასაკში გარდაიცვალა ბატონი გიორგი ნაკაშიძე.

და გუშაგი ღრმა თანაგრძნობას უცხადებს მათ ჭირისუფალთ.

\*\*\*\*\*

გ უ შ ა გ ი ს ფ ო ნ დ ი, ფრანგულ ფრანკებში

იონა გუნია -	300	ნიკოლა ანთაძე -	200
გივი გაბლიანი (50 დ.)-	256	ვარლამ ანთელავა -	500
დავით ჩხატარაშვილი-	500	მირიან მელუა -	400
რუბენ გვეტაძე -	250	ალექსანდრე მანველიშვილი-	498
სიმონ ბლიაძე -	1000	ირაკლი ოთხმეზური -	323
ვალოდია სალუქვაძე -	200	აკაკი შავგულიძე -	1000

\*\*\*\*\*

დ ა მ ი = 5.427

პეტრე ხვედელიძე -(100 დ.)-ისიძორე გაეონიას მოსახსენებლად - 515

\*\*\*\*\*

ჯ ა მ ი = 5.942

\*\*\*

\*\*\*

\*\*

მ ე რ ა ბ კ ო ს ტ ა ვ ა ს ფ ო ნ დ ი

ექ. დავით ჩხატარაშვილი - (100 დ.) -	500
სიმონ ბლიაძე -	1000
გივი გაბლიანი - (50 დ.) -	256
„გუშაგი“ №21 -ში გამოცხადებული	- 6320

\*\*\*\*\*

ს უ ლ დღეისათვის - 8076





თ ი თ ქ ო ს უ ბ რ ა ლ ო ს ა კ ი თ ხ ე ბ ი ე რ ც ი ვ ნ უ ლ ი  
გ ი ვ ლ ი რ ო ბ ა ქ ი ძ ი ს ფ ო ნ დ ი

ა. წ. აპრილის გაზ. „კომუნისტიდან“ შევიტყვეთ, რომ:  
„ამ ცოტა ხნის წინათ შეიქმნა იუნესკოს საქართველოს საბჭოს  
უცხოეთში მყოფ ქართველ მოღვაწეთა გრიგოლ რობაქიძის სახელ-  
ობის ფონდი“ (ხაზგასმა ჩემია. გ. წ. ) და მისი პასუხისმგებელი  
მდივანია მწერალი ავთანდილ ჩხიკვიშვილი“-ო.

ბ-ნი ავ. ჩხიკვიშვილი, იმავე გაზეთის იმავე სტატიაში, ამ ფონ-  
დის თაობაზე, სხვათა შორის, აცხადებს: „უკვე გაიმართა ფონდის  
დამფუძნებელთა პირველი სამუშაო სხდომა, რომელშიც მონაწილე-  
ობდნენ საფრანგეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები— ბატონ-  
ნი რამაზ პაპუაშვილი და ბატონი დანიელ სიბაშვილი და სხ...“

და ბოლოს, ა. წ. 17 ივლისის გაზ. „კომუნისტი“, შემდეგ კი გაზ.  
„სამშობლო“ (№ 14, ივლისი, 1990) იუწყებიან: „ბატონი ვიქტორ  
ხომერიკი ნათესავეებისა და უცხოეთში მყოფ ქართველ მოღვაწეთა  
გრიგოლ რობაქიძის ფონდის მოწვევით, 69 წლის განშორების შე-  
მდეგ, ჩამოვიდა სამშობლოში“.

მაშ, ე. წ. „გრიგოლ რობაქიძის ფონდს“ პრაქტიკულად პირვე-  
ლი ნაბიჯიც გადაუდგავს: უცხოეთში მოღვაწე ვიქტორ ხომერიკ-  
ისთვის სამშობლო უნახვებია. ამას რა სჯობიაო, იტყვის ზოგიერ-  
თი საქმეში ჩაუხედავი და შეიძლება რიგშიაც ჩადგეს. ხუმრობაა  
სამშობლოს ხილვას მონატრებულ კაცისათვის ერთი თვით იქ მო-  
გზაურობა?!

პარიზის ქართული ეკლესიის კარებზე გაკრული განცხადების  
თანახმად, მეც დავესწარი იმავე ეკლესიაში ა. წ. 13 მარტის სა-  
ღამოს კერძო ხასიათის კრებას, რომელსაც ბ-ნმა ავთანდილ ჩხიკ-  
ვიშვილმა აუხსნა გამიზნული „გრიგოლ რობაქიძის ფონდის“ მი-  
ზნები და ამოცანები, რომლის მთავარი მომხიბლველი ნაწილი  
იყო: „სხვადასხვა დროს უცხოეთში მოღვაწე ქართველ მწერალთა,  
მეცნიერთა, ხელოვანთა და სხვა დარგის გამოჩენილ მამულიშვილ-  
თა შემკვიდრეობა ქართველი ხალხის სულიერ, ინტელექტუალურ, კულ-  
ტურულ განვითარების სამსახურში ჩაყენება“.

„ფონდის“ წევრად გახდომის შემთხვევაში, მომხსენებელი სხვადა-  
სხვა მეტად საინტერესო და სასარგებლო სამსახურსაც გვპირდუ-



\*\*\*\*\*

ზოდა: ნაწერების გამოცემას და საავტორო უფლებების დაცვას საბჭოთა კავშირის მასშტაბით და მის გარეთაც, მსოფლიოში, მხატვრობისა და ხელოვნების სხვა დარგების საჯარო გამოფენებს, ექსპოზიციებს, თუ გაყიდვებს და ა. შ.

ასეთი სამსახური აბა, რომელ ჭკუთმყოფელს არ მოხიზლავდა, არ დააინტერესებდა? მაგრამ მე პირადად მარტო მომხიზლავი დაპირებები ვერ დამაკმაყოფილებდა. ჯერ ერთი, უცნაური იყო, რომ ასეთ მნიშვნელოვან კრებაზე ჩვენი სათვისტომოს და არც ეკლესიის საბჭოს არცერთი წარმომადგენელი არ ესწრებოდა. ჩემს შეკითხვაზე ბნმა ჩხიკვიშვილმა განაცხადა, რომ ფონდის დაარსების თაობაზე არ მიუშართავს გამგეობისათვის, რაც თავისთავად საეჭვოდ ხდიდა ფონდის დაარსების მეთოდს; მეორე და მთავარი, ბნ ავთანდილსაც არ დაუშალავს და მის დარიგებულ „ფონდის“ წესდებაში, თეთრ ქაღალდზე შავად, სწერია:

1. იუნესკოს საქართველოს საბჭოს უცხოეთში ქართველ მოღვაწეთა გრიგოლ რობაქიძის სახელობის ფონდი წარმოადგენს თვითმმართველობის ორგანიზაციას, რომელიც თავის საქმიანობას ეწევა საქართველოს სსრ კანონმდებლობის, წინარე წესდების ნორმებისა და ფონდის გამგეობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

3. ფონდის დამფუძნებელს წარმოადგენს საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო, იუნესკოს საქართველოს საბჭო, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობის და კულტურული კავშირების საქართველოს ორგანიზაცია. დამფუძნებელთა შემადგენლობა შეიძლება გაიზარდოს რესპუბლიკის სხვა დაწესებულებებით და ორგანიზაციებით. (ბ. გ. ჩემია)

წესდების ამ ძირითად მუხლებიდან აშკარაა, რომ ე. წ. გრიგოლ რობაქიძის ფონდი დაარსებულია საქართველოს საოკუპაციო ხელისუფლებისაგან, საოკუპაციო ხელისუფლების უწყებების მიერ და ბატონი ავთანდილ ჩხიკვიშვილი რაგინდ პატიოსანი კაცი არ იყოს, არის საოკუპაციო ხელისუფლების წარმომადგენელი.

ჩემთვის პირადად გაუგებარია და იქნებ ვინმემ გამარკვივოს: ქართული ეროვნული ემიგრაციის არსებითი პრინციპია: არ ცნობა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსისა და მისი მხილება, როგორც უცხო დამპყრობ ძალის მიერ საქართველოზე თავს მოხვეული. როგორ და რანაირადაა შესაძლებელი, რომ ჩვენი ეროვნული ემიგრაციის წევრი იყოს იმავე დროს



წვერი ჩვენი ეროვნული ემიგრაციის არსებითი პრინციპია. ისე, რომ ან ნააღმდევო საზოგადოება—დაწესებულების ისე, რომ ან ერთს ან მეორეს არ უღალატოს?

\*\*\*

### მ ა დ ლ ო ბ ა ც და კ რ ი ტ ი კ ა ც

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისგან მივიღე აკად. თამაზ გამყრელიძის წიგნი: წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა; ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა. თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1989 წ. და უღრმეს მადლობას მოვახსენებ, როგორც გამომგზავნის, ისე წიგნის ავტორს.

ოთხი წელია, რაც ჩემს განკარგულებაშია ბ—ების: თ. გამყრელიძის და ვ. ვ. ივანოვის ერთობლივი ნაშრომი: ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები 2 ტომად, რუსულ ენაზე, თბილისი 1984. რასაც დიდად ვუმადლი ქ—ნ მერი ასათიანს.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ გამოგზავნილი ბ—ნი თამაზ გამყრელიძის ამ წიგნის მიღება მით უფრო ძვირფასია ჩემთვის, რომ ეს პირველი შემთხვევაა ჩემს გრძელ ემიგრანტულ ცხოვრებაში, როცა წიგნს მიგზავნის ჩემი ქვეყნის ოფიციალური დაწესებულება ან პირი.

ბ—ნი თამაზი თანამედროვეობის უდიდესი ქართველი ენათმეცნიერია, რომლის სახელიც, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, შორსაა გაცდენილი ჩვენი სამშობლოსა და საბჭოთა კავშირის საზღვრებიდან. მის ყოველ სიტყვას ძალიან დიდი გავლენა აქვს. სწორედ ამიტომაც მას დიდ ნიჭთან და ცოდნასთან ერთად მართებს დიდი წინდახედულებაც. მე აქ არც საკმარისი ადგილი მაქვს, არც ენათმეცნიერების კვალიფიკაცია გამაჩნია, მაგრამ ბოდიშს მოვითხოვ და მის დასკვნას ქართული ანბანის წარმოშობის დროზე ვერ დავეთანხმები. მე მახსოვს, თუ როგორი მკაცრი კრიტიკა გაუკეთა არამეცნიერმა ილია ჭავჭავაძემ დიდ ენათმეცნიერ ნიკო ნიკოლაძეს, როცა ის შეეცადა, შოთა რუსთაველის ქრისტიანულ ქართულიდან მაჰმადიანურ სამყაროში მოქცევას. მე დიდი ილიას ფეხის მტვერსაც არ წარმოვადგენ, მაგრამ ქართული ანბანის შექმნის საკითხი კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი ეროვნული საკითხია. არა, მე არ ვარ მომხრე უსაზმნო ტრაბახობის, ვითომც ქართველები კაცობრიობის ჭიბი ვიყოთ. მაგრამ არც ისეთი თავმდა-

\*\*\*\*\*

ბლობაა მოსაწონი, რომ ჩვენი წინაპრების ღვაწლი დავამყაროთ და გავადიდოთ ინდოევროპელების, რომლებიც, ყველა სარწმუნოებასთან ერთად, ნაცემით, გვიან არიან მოსული წინააზრისა და ევროპის სივრცე-ზე. და სრულებით არაა გამორიცხული, რომ დამხვედურებს უფრო მაღალი კულტურა ჰქონოდათ, ვიდრე მოსულ დამპყრობლებს. თუ მართლაც უდავო საბუთი აღმოჩნდება, კი ბატონო, მაგრამ, როცა ასეთი არსად ჩანს, რატომ უნდა ვუარყოთ ლეონტი მროველის მო-წმობა: „...ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა...მან შექ-მნა მწიგნობრობა ქართული“ და ვამტკიცოთ: ქართული ანბანი შე-იქმნა ბერძნულის, ისიც შეოთხე საუკუნის ბერძნულის მიბაძვით, „საქართველოში ქართლის მონათელისა და გაქრისტიანებასთან და-კავშირებითო?“

გიორგი წერეთელი

\*\*\*\*\*

შ ი ნ ა ა რ ს ი

- 2. დამოუკიდებლობა: ზეიმი და რეალობა გუშაგი
- 10. მკითხველმა განსაჯოს: ეროვნული ფორუმის განცხადება, მრგვალი მაგიდა. ორგანიზაცია, წესდება, კონცეფცია.
- 26. ეროვნული ყრილობა, კონგრესი და საკოორდინაციო ცენტრი.
- 31. პრესის კონფერენცია. პარიზი. 7 ივნისი 1990.
- 38. ეროვნული დამოუკიდებლობის ზეიმი - ეთერი
- 41. ძვირფასო თანამემამულენო, მეგობრებო! ოთარ ზურაბიშვილი
- 42. საით მიდის საქართველო - ნოდარ ერისთავი
- 47. ინტერვიუ: რატომ ბლოფობენ რუსები - გიორგი ჭანტურია
- 50. როგორია ჩემი განსჯა - გიორგი წერეთელი
- 57. ბატონო რედაქტორო!
- 59. ქართ.-ბი და საქ.-ლო ამერიკის შ.შ. - ლადო ბაბიშვილი
- 63. ფიქრები საქ.-ს მისიაზე - მერაბ კოსტავა
- 73. საქ.-ს სულიერი მისია - ზვიად გამსახურდია
- 83. პოეზია: თინა ჩიქოვანი, ისაკ მეგრელიშვილი, ირაკლი ოთხ-მეზური მეზური
- 86. ქართული ხელოვნება პარიზში - ეთერი
- 95. სამგლოვიარო განცხადებები
- 96. გუშაგის და მერაბ კოსტავას ფონდები
- 97. თითქოს უბრალო საკითხები - გიორგი წერეთელი

\*\*\*\*\*



# GOUCHAGUI

*PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE  
( POLITIQUE - LITTÉRATURE - MÉMOIRES )*

Directeur : GEORGES TSERETELI

ADRESSE : 8, RUE DES MARCHAIS  
75019 PARIS

\*\*\*\*\*

EDITION HORS COMMERCE